წლიწადი მეათე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მარქსის სახ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გამოცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 19 ივლისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 168 (2816)

დღიური

- ინგლისის მთავრობამ, არეულობის შიშით, სამხედრო გემები გაგზავნა ეგვიპტეში.
- საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ფინეთის მთავრობას.
- შესდგა ბულგარეთის მუშათა ყრილობა.
- დიდი დემონსტრაციები ჟირარდოვში (პოლონეთი).
- ღონისძიებები მეცხვარეობის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში.
- ახალი საშუალების აღმოჩენა მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ.

პარტიის XVI ყრილობა სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ

> „პარტია და მუშათა კლასი მთელი ულმობელობით უკუაგდებდნენ და მომავალშიაც უკუაგდებენ მემარჯვენეთა ოპორტუნისტულ კაპიტულიანტობას, რომელიც სინამდვილეში მოასწავებს **ღალატს მუშათა კლასის ინტერესებისას**“.
>
> (პარტიის მე-16 ყრილობის რეზოლიუციიდან)

ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტები პანიკურად უწინასწარმეტყველებდნენ პარტიას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპების დამარცხებას, სასოფლო მეურნეობის დეგრადაციას, მის დაშლასა და გაპარტახებას. ამით ისინი სცდილობდნენ ფაქტიურათ სოციალისტური მშენებლობისადმი ურწმუნობას, მისდამი ლიკვიდატორულ განწყობილებისა და ამ მშენებლობის გაშლილ ფრონტზე პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით მებრძოლ მშრომელთა მილიონებიან არმიებში დემობილიზაციური სულისკვეთების გავრცელებას. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმოებულმა მუშაობამ და მისმა შედეგებმა სასტიკად დაამარცხა ეს წინასწარმეტყველება და ლიკვიდაცია უყო თვით ამ წინასწარმეტყველების ავტორებს, რომლებმაც აღიარეს თავიანთი შეცდომები და აღუთქვეს დამორჩილება პარტიას. მაგრამ დაუნდობელი ბრძოლა მემარჯვენეთა ურწმუნოების და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ არ მოხსნილა ამით პარტიის შემდგომი მუშაობის დღის წესრიგიდან და ის ჩვეული ურყეობით და თანდათანობით გაგრძელებულ იქნება მათ სრულ განადგურებამდე, ყველა მემარჯვენეთა შემრიგებელთა სიტყვისა და საქმის მთლიანად აღკვეთამდე. ამის თავდებია უდიდესი ერთსულოვნება, ერთხელ კიდევ მიღწეული პარტიის მეთექვსმეტე ყრილობაზე და ის ბრწყინვალე მიღწევები, რომლებსაც ჯამი გაუკეთა ამ ყრილობამ და, რომლებიც მოპოებულ იქნა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში. ყრილობის რეზოლიუციაში, რომელიც მიღებული იქნა ამხ. სტალინის მოხსენების გამო, ნათქვამია ამ მიღწევების შესახებ შემდეგი:

„საბჭოთა კავშირმა საანგარიშო პერიოდში ფეხი შედგა სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზულად გაშლის სტადიაში. ცენტრალური კომიტეტის სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი გაქანება და გამოიწვია საწარმოო ენტუზიაზმის უდიდესი აზვირთება მუშათა მასებში, რომლებმაც საშუალება მისცეს პარტიას დაესახა ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელების ამოცანა. პარტიის მიერ მიღწეული ტემპები სოციალისტური მშენებლობისა საშუალებას აძლევენ საბჭოთა კავშირს უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაეწიოს და გაუსწროს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტეხნიკურ - ეკონომიურად. ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპებმა შექმნა წინასწარი პირობები სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. მარცვლეული კულტურის საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მიმდინარე წელს უნდა მოგვცენ ას მილიონ ფუთზე მეტი სასაქონლო პური. საკოლმეურნეო ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე სამეურნეო წელს. კოლმეურნეობებმა უკვე მიმდინარე წელს უნდა მოგვცენ ნახევარ მილიარდ ფუთზე მეტი სასაქონლო პური. წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტების პანიკური მტკიცებისა, სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ, პარტიამ სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელი როლისა და კოლმეურნეობებში წვრილი, ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობების გაერთიანების საფუძველზე, აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობებისათვის დახმარების საფუძველზე საერთოდ წარმატებით გადასჭრა მარცვლეულის პრობლემა. მარცვლეული კულტურებით ნათესმა ფართობმა მიმდინარე წელს პირველად გადააჭარბა ომის წინანდელ დონეს. მიღწეულ იქნა ტეხნიკურ და სასოფლო - სამეურნეო კულტურათა ფართობის თვალსაჩინოდ გაიდიდება. პარტია უკვე შეუდგა მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრას. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბუმბერაზულ ტემპებს თან სდევდა მუშათა კლასის თვალსაჩინო რიცხვობრივი ზრდა, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, შრომის რეალური ხელფასის გადიდება, შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება და უმუშევრობის საფუძვლიანი შემცირება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დარაიონების ბოლომდე ჩატარება თვალსაჩინოდ აჩქარებს წინად ჩამორჩენილი რაიონებისა და ნაციონალური რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, ჰქმნის იქ სამრეწველო პროლეტარულ ცენტრებს და აადვილებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უფრო სწორად და მიზანშეწონილად განაწილებას საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე“.

ასეთია ის მიღწევები, რომლებიც შეაჯამა ყრილობამ.

თავის-თავად იგულისხმება, რომ ბრძოლა ამ მიღწევებისათვის ტარდებოდა უდიდეს სიძნელეთა პირობებში, ეს გამარჯვება მოპოებულ იქნა მშრომელთა მილიონების დარაზმვით, ამ სიძნელეთა გადალახვისათვის მთელი ენერგიის მობილიზაციის შედეგად, გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად. ეს გამარჯვება იყო შედეგი აღებული ტემპების და მომავალი ძლევამოსილი წინსვლაც მხოლოდ ამ ტემპების შენარჩუნებითა და მათი კიდევ უფრო გაძლიერებით არის მოსახერხებელი. ამიტომ ყოველგვარი ლაყბობა ამ ტემპების შენელების შესახებ არის ხელის შემწყობი დამხობილი კაპიტალიზმის ეკონომიური სისტემის რესტავრაციისა, გამომხატველი დამარცხებული კლასების ინტერესების და აშკარა ღალატი პროლეტარიატის, გამცემლობა მისი კლასიური ინტერესების. ამიტომ იყო, რომ ასეთი სიმტკიცითა და ერთსულოვანებით დაარტყა პარტიამ მემარჯვენეებს და ყრილობამაც გამოაცხადა, რომ „პარტია და მუშათა კლასი მთელი ულმობელობით უკუაგდებდნენ და მომავალშიც უკუაგდებენ მემარჯვენეთა ოპორტუნისტულ კაპიტულიანტობას, რომელიც სინამდვილეში მოასწავებს **ღალატს მუშათა კლასის ინტერესებისას**“.

როგორია ის ამოცანები, რომელნიც ყრილობამ დაუსახა მთელს პარტიას და რომლებიც ურყევად უნდა გადასჭრას მან? ასეთებია მძიმე ინდუსტრიის გაძლიერება მთელი შესაძლებლობით, უფრო მეტი განვითარება მსუბუქი მრეწველობის მასიური მოთხოვნილების საგნების დასამზადებლად, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის იმ დარგების განვითარების დაჩქარება, რომლებიც იძლევიან საექსპორტო პროდუქციას, რათა ამ გზით გავადიდოთ საქონლის გატანა უცხოეთის ბაზარზე, გავაძლიეროთ აქტიური ბალანსი ჩვენი საგარეო ვაჭრობის და მოგვეცეს შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო ტეხნიკური მოწყობილობისა და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის შემოსატანად. თავისთავად ცხადია აქ ჩვენ დაგვჭირდება ბრძოლა ეკონომიურ ბლოკადასთან, რომლის რკალის მოწყობას სცდილობენ უცხოეთის გაბატონებული კლასების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ჯგუფები და რომლებიც მოწადინებული არიან ჩაშალონ ან შეასუსტონ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. ძველებურადვე მთელი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანა, რომელზეც მიგვითითებს პარტიული ყრილობა. ეს არის შესრულება ყოველგვარ მიზეზს გარეშე საწარმოო - საფინანსო გეგმების, შემცირება პროდუქციის თვითღირებულების, გაუმჯობესება პროდუქციის ხარისხის, გადიდება შრომის ნაყოფიერების. ამის გარეშე შეუძლებელია „დიდ სამუშაოთა გეგმის“ წარმატებით დასრულება. ჩვენ შესაძლებლობათა მარაგში მოიპოება საკმაო საშუალება, რომ ეს დასახული ამოცანა გადავჭრათ და შევასრულოთ ყრილობის კატეგორიული დირექტივა.

პარტია თავისი უზენაესი ორგანოს სახით მოითხოვს გარდა ამისა ჩვენგან მუშათა რეალური ხელფასის შემდგომ გადიდებას, მოითხოვს იმ ორგანოების სიფხიზლესა და მთელი ენერგიის მობილიზაციას, რომლებიც უშუალოთ არიან დაკავშირებული ამ საქმესთან და პირველ ყოვლისა და უმთავრესად მოითხოვს ამას სამომხმარებლო კოოპერაციისაგან, რომელიც ვერ სდგას ჯერ კიდევ თავისი მოწოდების სიმაღლეზე. ამ უკანასკნელი გარემოების დამადასტურებელი ფაქტები უამრავია ჩვენს სინამდვილეში და საჭიროა გააქტივება ამ უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის მთელი სისტემის, მისი გაწმენდა უვარგისი ელემენტებისაგან, გაძლიერება მუშაკებით, რაციონალიზაცია აპარატის. საჭიროა ყველა ორგანიზაციების დახმარება, რომ კოოპერაციამ გადასჭრას მის წინაშე პარტიის მიერ დაყენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დავალებათა შესასრულებლად, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გასავითარებლად გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს „ხელმძღვანელი, სამეურნეო და ტეხნიკური კადრების პრობლემის“ გადაჭრას, რომელიც იქცევა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის **ცენტრალურ პრობლემად**“.

ასეთია ის ამოცანები, რომლებიც დაგვისახა პარტიის მეთექვსმეტე ყრილობამ, ასეთია ის უდიდესი პრაქტიკული პროგრამა, რომელიც უნდა გაატაროს პარტიამ, უნდა განახორციელოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა. ჩვენ არა ერთი დაბრკოლება გადაგვილახავს ჩვენი განვითარების გზაზე, დაგვიძლევია სიძნელენი ჩვენი შეუჩერებელი ზრდის. ეს მიგვიწევია პარტიის ერთსულოვნებით, ლენინური ცენტრალური კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობით და სოციალიზმის მშენებელი იმ მუშათა მილიონების ბრძოლით, რომელიც დარაზმულ არიან თავისი პარტიის ირგვლივ. პარტია ამ მილიონებთან ერთად წარმატებით გადასჭრის ზემოხსენებულ ამოცანებსაც.

საფრანგეთში აღშფოთებული არიან გერმანიის პასუხით ბრიანის ნოტაზე

ინგლისის თემთა პალატამ უარჰყო მაკდონალდის მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია

ეკონომიური კრიზისის შემდგომი გაღრმავება შეერთებულ შტატებში

„პან-ევროპის გარშემო“

გერმანიის მთავრობის პასუხი ბრიანის მემორანდუმზე

ბერლინი, 18 ივლისი. თავის პასუხში ბრიანის მემორანდუმზე გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ ევროპის გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზი უმთავრესად ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ სტრუქტურაში იმალება, ყოველგვარი ცდა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამოკიდებულია იმაზე — იქნება თუ არა გამოყენებული გამოუკლებლად ყველა სახელმწიფოს მიმართ სრული თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი.

გერმანიის მთავრობის აზრით, ევროპის ქვეყნების უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიურ დარგში უნდა დაუკავშირდეს უფრო მეტი უშიშროების შექმნას. სამხედრო ხასიათის მოსაზრება პირველ საქმედ არ უნდა იქნას მიჩნეული სამეურნეო საკითხების განხილვის დროს. გერმანიის მთავრობა იზიარებს იმ აზრს, რომ ერთა ლიგას არავითარი ზიანი არ უნდა მიაყენოს ევროპის სახელმწიფოების მისწრაფებამ თანამშრომლობისაკენ.

გერმანიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ მახლობელ თათბირზე ჟენევაში დაშვებულ იქნან ევროპის იმ ქვეყნების წარმომადგენელნიც, რომელნიც არ არიან ერთა ლიგის წევრები; თათბირზე დაშვებულ უნდა იქნან აგრეთვე ევროპის გარეშე ქვეყნების წარმომადგენელნიც (ადს).

გერმანიის პასუხმა გააგრაზა საფრანგეთის პრესა

პარიზი, 18 ივლისი. მმართველ წრეებთან დაახლოვებული გაზეთები, „ტან“-ის მეთაურობით, ბრაზმორეულნი ილაშქრებენ გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი იტალიის შემდეგ სარგებლობს ბრიანის პროექტით, რათა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასვას ომის შემდგომი დროის საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი სადაო საკითხები.

„გერმანიის პასუხს ახასიათებს, — სწერს „ტან“-ი, — ფარული მისწრაფება დასვას დღის წესრიგში ხელშეკრულებათა გადასინჯვა“. შემდეგ გაზეთი სწერს, რომ გერმანიას სურს მოიპოვოს შეუზღუდავი შეიარაღების უფლება, მიაღწიოს თავისი აღმოსავლეთის საზღვრების გადასინჯვას, ავსტრიის გერმანიასთან შეერთების განხორციელებას, უარის თქმას ეხლანდელ მდგომარეობაზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და სხ. „მშვიდობიანობის ასეთ ჰარმონიას“, — რომელსაც გერმანია იძლევა, — სწერს გაზეთი, — შეუძლია მხოლოდ კარი გაუღოს ყოველგვარ ავანტიურას“.

გერმანიის წინადადებას ევროპის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის შეყვანის შესახებ პრესა დუმილით გვერდს უხვევს (ადს).

მდგომარეობა ეგვიპტეში

სამხედრო გემების გაგზავნა

ლონდონი, 18 ივლისი. თემთა პალატაში მაკდონალდმა განაცხადა, რომ **2 სამხედრო გემს ბრძანება მიეცა წავიდეს ალექსანდრიაში.** ინგლისის მთავრობამ ინსტრუქცია მისცა ინგლისის უმაღლეს კომისარს ეგვიპტეში — აცნობოს ეგვიპტის პრემიერს სიდკი-ფაშას, რომ ინგლისის მთავრობა იძულებულია დააკისროს მას პასუხისმგებლობა უცხოელთა სიცოცხლისა და ქონების დაცვისათვის ეგვიპტეში. (ადს).

დემონსტრანტების ზეგავლენით

ლონდონი, 17 ივლისი. ალექსანდრიაში (ეგვიპტე) მრავალ ათასიანმა დემონსტრაციამ ალყა შემოარტყა ინგლისურ სამხედრო საავადმყოფოს, სადაც იწვენ ვაფდისტებსა და პოლიციას შორის 15 ივლისს მომხდარი სისხლიანი შეტაკების მსხვერპლნი. ამ დემონსტრაციის ზეგავლენით დემონსტრანტებს გადაეცათ დახოცილთა ნეშტები, პროცესიაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათასი კაცი. (ადს).

პალატამ მაკდონალდს ნდობა გამოუცხადა

ლონდონი, 17 ივლისი. თემთა პალატამ, 312 ხმით 241 ხმის წინააღმდეგ, უარჰყო კონსერვატორების მიერ შეტანილი წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ (ადს).

მაკდონალდი დათმობაზე წავიდა

ლონდონი, 17 ივლისი. მაკდონალდმა, როგორც სჩანს, დაუთმო ოპოზიციას ინდოეთ-ინგლისის კონფერენციის მოწვევის საკითხში და დასთანხმდა, რომ ინგლისის დელეგაციაში ამ კონფერენციაზე შეყვანილ იქნან ყველა სამი პარტიის წარმომადგენლები. გაზეთები იუწყებიან, რომ დელეგაციაში შევლენ მაკდონალდი და ბენი (ინდოეთის საქმეთა მინისტრი), ბოლდუინი და ჩემბერლენი კონსერვატორებიდან და ერთი ლიბერალი (ადს).

შეერთ. შტატებში კრიზისი ღრმავდება

ვაშინგტონი, 17 ივლისი. შეერთ. შტატების მიწად-მოქმედების სამინისტრო იუწყება, რომ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ფასებმა 15 ივლისისათვის მიაღწია 1922 წლის ყველაზე დაბალ დონეს.

ვაშინგტონი, 17 ივლისი. სამრეწველო მუშების ხელფასი ამჟამად 20 პროც.-ით უფრო დაბალია, ვიდრე წარსულ წელში.

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი იუწყება, რომ ფასიანი ქაღალდების კურსი ივნისში 25 პროც.-ით დაეცა აპრილთან შედარებით. (ადს).

საბჭ. კავშირის მთავრობის პროტესტი ფინეთის მთავრობას

მოსკოვი, 18 ივლისი. საბჭოთა კავშირის მთავრობამ საპროტესტო ნოტით მიმართა ფინეთის მთავრობას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ დროს ფინეთიდან საბჭოთა ტერიტორიაზე ძალით გადმოჰყავთ ფინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწენი. ნოტაში გამოთქმულია რწმენა, რომ ფინეთის მთავრობა მიიღებს ზომებს, რათა მომავლისათვის აღკვეთოს საზღვრის ასეთი დარღვევა და ფინეთის მოქალაქეთა არალეგალურად გადმოყვანა ფინეთ - საბჭოთა საზღვარზე, აგრეთვე მიიღებს ზომებს საზღვრის დარღვევის შემთხვევების გამოსაძიებლად და პასუხისგებაში მისცემს ფინეთის იმ თანამდებობის პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამაში. (ადს).

საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის „დაცვა“

ჰელსინგფორსი, 18 ივლისი. ჰელსინგფორსში ფაშისტური გალაშქრების შემდეგ განვლო ხანგრძლივმა პერიოდმა, მიუხედავათ ამისა, ისევ გრძელდება საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის გაძლიერებული დაცვა. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის გადაჭრილი მოთხოვნით პოლიციელთა რიცხვი შემცირებულ იქნა. (ადს).

ბულგარეთის მუშათა ყრილობა

ვენა, 18 ივლისი. ბულგარეთიდან მიღებული ცნობით, შესდგა მუშათა პარტიისა და დამოუკიდებელი პროფკავშირების მიერ შეწვეული სრულიად ბულგარეთის მუშათა ყრილობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყრილობა აკრძალა მთავრობამ. ყრილობის გახსნა ვერ შეაფერხეს პოლიციის მიერ წინასწარ მიღებულმა ზომებმაც. 1,200 დელეგატიდან ყრილობას ესწრებოდა 800, დანარჩენნი ყრილობას ვერ დაესწრნენ პოლიციის ტერორის გამო. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს პირველ აგვისტოს საერთაშორისო პროლეტარიატის გამოსვლაში მონაწილეობას, ბრძოლას იმპერიალისტური ომის მზადების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დაცვას და ბრძოლას უმუშევრობის წინააღმდეგ. ყრილობის დღეს სოფიის სხვადასხვა ადგილას მუშათა პარტიამ მოაწყო მიტინგები, რომლებიც პოლიციამ გაჰფანტა.

ყრილობასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 1.000 კაცამდე (ადს).

ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესზე

ბერლინი, 17 ივლისი. ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესზე მოსმენილ იქნა დამცველთა სიტყვები. ქარუმიძისა და სადათიერაშვილის დამცველი ბერი შეეცადა თავისი კლიენტები პოლიტიკურ გმირებად გამოეყვანა და მოითხოვა ამნისტიის შეფარდება მათთვის. ბელისა და ვებერის დამცველი მენცი ცდილობდა შეესუსტებია ბელის ჩვენება, საიდანაც მტკიცდებოდა, რომ ქარუმიძე და სადათიერაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეები. განაჩენს მოელიან 19 ივლისს, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 21 ივლისისა (ადს).

უმჯობესია შეცდომების თავიდან აცილება, ვიდრე მათი შემდეგ გამოსწორება

პარტიამ ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინაშე დასახა სამი შემდეგი ამოცანა, რომლებსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ.

პირველი—ხელი შეუწყოს სოფლის შემდგომ კოლექტივიზაციას. ამის შესაფერისად შემუშავდა დაბეგვრის სისტემა და კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს მიენიჭათ დიდი შეღავათები.

მეორე—ხელი შეუწყოს შემდგომ გაშლილ შეტევას სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და მოხდეს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ იქ, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა კულაკის განკულაკება, გაძლიერდეს შეტევა და უფრო დიდად დაიბეგროს დარჩენილი კულაკური მეურნეობანი მათი ისეთი შეზღუდვის, ისეთი ენერგიული შევიწროვების და მათი ზრდის აღკვეთის მიზნით, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის გაფართოვებასთან ერთად, უფრო ადვილად და წარმატებით გადასწყდეს კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანა.

მესამე—ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, პირველ რიგში კი მისი იმ დარგების აღორძინებას, რომელნიც თავიანთ ზრდაში ყველაზე მეტად ჩამორჩებიან და რომელთა განვითარებითაც სახალხო მეურნეობა განსაკუთრებით დაინტერესებულია.

მაგრამ ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მხოლოდ მაშინ შეუწყობს ხელს პარტიის მორიგი ამოცანების გადაჭრას სოფლად, როცა მის პრაქტიკულ გატარებას საკმაო ყურადღება მიექცევა.

ეს კიდევ ცოტაა: თუ გადასახადის გატარების საქმე „თვითმდინარებას“ მივანდეთ, შეიძლება მოხდეს ისეთი შეცდომები, ისეთი დამახინჯებანი, რომელნიც ცალკე შემთხვევებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადს სოფლად პარტიის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებიდან გადააქცევენ ამ პოლიტიკის დამამახინჯებელ ღონისძიებად.

ამას ადასტურებენ საგადასახადო კამპანიის პირველი პერიოდის პრაქტიკული გატარებისა და დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის შედეგები.

მასალა, რომელიც ჩვენს ხელთ არის, გვეუბნება, რომ საგადასახადო კამპანიის ეს უმთავრესი პერიოდები, რომლებიც რამდენადმე წინასწარ განსაზღვრავენ მთელი საგადასახადო კამპანიის წარმატებას, არადამაკმაყოფილებლადაა ჩატარებული, ამასთან უმთავრესად იმიტომ, რომ პრაქტიკულად გატარების საქმეს ადგილობრივი ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ.

ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციას დაავიწყდა, რომ თუ არ მოეწყო საგადასახადო კამპანია და თუ ხელმძღვანელობა არ გაეწია მას, ამას გააკეთებს კულაკი იმ თავისი მიმდევრების საშუალებით, რომელნიც მას ჩვენი აპარატის ამა თუ იმ ნაწილში ჰყავს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ არ ვუხელმძღვანელებთ კამპანიას, მაშინ გადასახადი გამოყენებული იქნება კულაკისა და ჩვენი კლასობრივი მტრის პოზიციების გასამაგრებლად, თუმცა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ისეა შედგენილი, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს პარტიის ძირითადი ამოცანების წარმატებით გადაჭრას სოფლად.

უდიდესი ყურადღებით უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება მეტი გულდასმით ედევნოს თვალყური სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრაქტიკულად გატარებას, რომ წინასწარ იქნას გაფრთხილებული მოსალოდნელი შეცდომები და დაუყოვნებლივ გამოსწორებული დაშვებული შეცდომები.

ადგილებიდან მიღებული მასალა გვაჩვენებს ახალ შეცდომათა საშიშროებას გადასახადის პრაქტიკულად გატარების დროს. პარტიამ დროზე გასცა ამომწურავი მითითებანი იმის შესახებ, პრაქტიკულად თუ როგორ უნდა იქნას გატარებული საგადასახადო კამპანიის დარჩენილი პერიოდები, რომ აცილებულ იქნას ეს შეცდომები.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთი შეცდომების საშიშროებასთან, რომლების დაშვებაც არ არის სასურველი, ვინაიდან საჭიროა მათი აცდენა და არა დაშვებულის გამოსწორება მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა.

მართლაც, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხა საბჭოთა კავშირში მიმდინარე წელს გაცილებით ნაკლები იქნება წარსულ წელთან შედარებით. ეს სრული აუცილებლობით გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომლებიც დასახული აქვს მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. გადასახადის თანხის შემცირება დაკავშირებულია სოფლის განსაზოგადოებული ნაწილის შეღავათიან დაბეგვრასთან, სოფლის მეურნეობის დაბეგვრის შეღავათიანობის გაფართოებასთან, ღარიბთა განთავისუფლებასთან გადასახადისაგან და კულაკთა გადასახადის ხვედრითი წონის შემცირებასთან, რამდენადაც მათი საგრძნობი ნაწილი უკვე განკულაკებულია.

მაშ ასე, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის თანხის საერთო დაკლების მიუხედავად, გამოკვლევებმა ნათელჰყო, რომ საშუალო გლეხთა მეურნეობების ნაწილს მიმდინარე წელს სხვადასხვა რაიონში შეუძლია მიიღოს გადასახადის მკვეთრი გადიდება, შარშანდელთან შედარებით, იმ შემთხვევებშიაც კი, როცა დაბეგვრის ობიექტების საერთო რაოდენობა არ გადიდებულა.

საშუალო გლეხის გადასახადის ამგვარი გადიდება, როცა მისი შემოსავალი უმთავრესად შარშანდელ დონეზე დარჩა, აშკარად ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს და ხელს შეუწყობს მხოლოდ კულაკებსა და მემარჯვენე უკლონისტებს.

ახლა მოცემულია სავსებით მკაფიო დირექტივა: საშუალო გლეხს, რომელსაც დარჩა შარშანდელი დასაბეგრი ობიექტები, როგორც წესი, გადასახადი შარშანდელთან შედარებით არ უნდა გაუდიდდეს 15 პროცენტზე მეტად. ამგვარი სახის უმნიშვნელო გადიდება სავსებით დასაშვებია და ფაქტიურად მაინც ნიშნავს გადასახადის სიმძიმის შემცირებას შარშანდელთან შედარებით, რამდენადაც საშუალო გლეხთა მეურნეობის შემოსავალი სოფლად, ჩვენი ღონისძიებების შედეგად, საგრძნობლად გადიდდა.

გარდა ამისა, გამოკვლევის მასალები გვიჩვენებენ აგრეთვე ისეთი შემთხვევების შესაძლებლობასაც, როცა გადასახადი კოლმეურნეს განუსაზოგადოებელი შემოსავლიდან უფრო მეტი აღმოაჩნდება, ვიდრე შარშან, როცა კოლმეურნე ინდივიდუალური მეურნე იყო. სავსებით ნათელია, რომ თუ ამგვარ შემთხვევებს ადგილი ექნება პრაქტიკაში, ეს მოასწავებს პარტიის პოლიტიკის დამახინჯებას, ზიანის მიყენებას კოლექტივიზაციისათვის და სამსახურის გაწევას კულაკისათვის.

არც ერთმა კოლმეურნემ გადასახადი თავისი ინდივიდუალური მეურნეობისათვის იმ გადასახადთან ერთად, რომელიც მის წილად მოდის კოლმეურნეობაში, არ უნდა გადაიხადოს იმაზე მეტი, ვიდრე მან გადაიხადა შარშან, კოლმეურნეობაში შესვლამდე.

და, ბოლოს, მესამე საკითხი, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, შეეხება კულაკის დაბეგვრას და დაკავშირებულია არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხთან — საშუალო გლეხის დაცვასთან ინდივიდუალური წესით დაბეგვრისაგან, რომელიც შემოღებულია მხოლოდ კულაკისათვის.

აქ მეტად დროულია გავიხსენოთ, რომ სასოფლო - სამეურნეო გადასახადი აღმოჩნდა ერთ-ერთი უდიდესი და საფუძვლიანი ღონისძიება კულაკთან ბრძოლაში. საკმაოა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური წესით დაბეგრილი კულაკების საერთო რიცხვში, რაც საბჭოთა კავშირის მეურნეობათა 12,7 პროც. შეადგენს, გადასახადის სახით მათგან აკრეფილ იქნა დაახლოვებით 110-115 მილიონი მანეთი ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდუალური წესით დაბეგრილმა კულაკებმა, თუმცა ისინი შეადგენდენ საბჭოთა კავშირის ყველა გლეხურ მეურნეობათა საერთო რაოდენობის უმნიშვნელო პროცენტს, გადაიხადეს გადასახადის მთელი შეკრებილი თანხის 29 პროც.

კულაკების დაბეგვრის დარგში მიღწეულ წარმატებებთან ერთად ადგილებზე დაშვებულ იქნა ორი სახის პოლიტიკური შეცდომა:

კულაკებმა აქა-იქ მოახერხეს ინდივიდუალური წესით დაბეგვრისაგან თავის დაღწევა როგორც ადგილობრივ საგადასახადო აპარატის ცუდი მუშაობის გამო, ისე იმის გამო, რომ თვით აპარატში ბევრი იყო კულაკი და მისი აგენტი, რომლებიც პრაქტიკულად ატარებდნენ მემარჯვენე უკლონისტურ პოზიციას, ემსახურებოდნენ კულაკს და დახმარებას უწევდნენ მას გადასახადისაგან თავის დაძვრენაში.

მეორე — იყო სხვა „საშუალო გლეხის საწინააღმდეგო შეცდომები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საშუალო გლეხს აკუთვნებდნენ კულაკების წრეს და ინდივიდუალური წესით ბეგრავდნენ.

ზედმეტია მტკიცება იმის, თუ ამგვარი სახის შეცდომები რამდენად ნიშნავს პრაქტიკულად სოფლად პარტიის პოლიტიკის დანაშაულებრივ დამახინჯებას.

ამგვარი შეცდომების საფრთხე არსებობს ახლაც. მრავალ შემთხვევაში ადგილებმა ისე ფართოდ გამოიყენეს უფლება ინდივიდუალური წესით დაბეგვრის ნიშნების „შეგუებისა“ ადგილობრივ პირობებთან, რომ ინდივიდუალური დაბეგვრა, დანიშნული მხოლოდ კულაკისათვის, აუცილებლობით შეეხება საშუალო გლეხსაც.

ვინაიდან შემჩნეული იყო ინდივიდუალური დაბეგვრის საშუალო გლეხებზე გავრცელების პრაქტიკა, საჭიროა გაფრთხილებულ იქნან ადგილობრივი ორგანიზაციები, რომ ამგვარი გაფართოება დაუშვებელია. უმკაცრესი ბრძოლა უნდა იქნეს ჩატარებული ინდივიდუალური წესით დასაბეგრ უკლებლივ ყველა კულაკების გამოსააშკარავებლად და ამავე დროს უნდა დაწესებულ იქნას ნამდვილად უდავო გარანტიები, რომლებიც საშუალო გლეხს დაიცავენ კულაკებისადმი მიკუთვნებისაგან და აღმოფხვრიან ამგვარი შეცდომების თვით შესაძლებლობასაც კი.

ამისათვის საჭიროა სოფლის საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების საქმეში საჭიროა ღარიბი გლეხობის და კოლმეურნეთა ჩაბმა. თვითეული კომუნისტი და კომკავშირელი, რომელიც მუშაობს სოფლად ან დაკავშირებულია სოფელთან, ვერ აარიდებს თავს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებაში მონაწილეობას. დღევანდელი დღის ამოცანაა —უზრუნველყოფილ იქნას შემოსავლისა და გადასახადის სწორი განსაზღვრა, შეღავათების მინიჭება და განხილვა საჩივრების—ყოველგვარი შეცდომებისა და დამახინჯების თავიდან აცილება გადასახადის გატარების დროს.

„პრავდა“, 18 ივლისი.

XVI პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

პარტიის გენერალური ხაზისათვის

მედგარი ბრძოლა ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ

მოსკოვის პარტაქტივის რეზოლიუცია

მოსკოვი, 18 ივლისი. დიდი თეატრის გაჭედილ დარბაზში შესდგა საკავშ. კომპარტიის (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება. მოხსენება მე-16 პარტყრილობის შედეგების შესახებ გააკეთა ამხ. კალინინმა, რომლის სიტყვას მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მოხსენებამ საათნახევარს გასტანა.

დიდი სიტყვა, რომელიც ტაშის კვრით არა ერთხელ შეაწყვეტინეს, წარმოსთქვა კამათში გამოსულმა ამხ. კაგანოვიჩმა.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობის დადგენილებებს.

რეზოლიუცია

მოსკოვის საოლქო ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებამ მოისმინა და განიხილა ამხ. კალინინის მოხსენება მე-16 პარტიული ყრილობის შედეგების შესახებ. კრება მთლიანად იწონებს ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს. მე-16 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც ჯამი გაუკეთეს მდიდარი ისტორიული შინაარსით სავსე სოციალისტურ მშენებლობის განსაზღვრულ დროს, შლის ახალ ფურცელს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიაში.

მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილი პერიოდი იყო გარდატეხის პერიოდი როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე კაპიტალისტური მსოფლიოსათვის. ამ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირი დაადგა ახალი უნახავი ეკონომიური აღორძინებისა და სოციალისტური მშენებლობის გაქანების გზას.

მსოფლიო კაპიტალიზმის ულრმესი ეკონომიური კრიზისი, რომელმაც მტვრად აქცია სოციალ-დემოკრატებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების თეორია „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ შესახებ, ნიშნავს დროებითი, შედარებითი კაპიტალისტური სტაბილიზაციის დასასრულის დასაწყისს და კაპიტალიზმის ყველა ძირითად წინააღმდეგობათა ახალი გამწვავების დაწყებას. ეკონომიური კრიზისი ბევრ ქვეყანაში უკვე გადადის პოლიტიკურ კრიზისში. რევოლიუციონური მოძრაობის მძლავრი აფეთქება ჩინეთში, ინდოეთში, ინდო-ჩინეთში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში უფრო და უფრო ძირს უთხრის იმპერიალიზმის ბატონობას.

რევოლიუციონური მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და კოლონიებში,—მოძრაობა, რომელიც დღითი-დღე იზრდება,—და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებათა გამარევოლიუციონერებელი გავლენა ამწვავებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომართული კაპიტალისტური ომის საფრთხეს. ეს ავალებს პარტიას და მუშათა კლასს—გამოიჩინონ უდიდესი სიფხიზლე და ეცადონ ყოველნაირად განამტკიცონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა. ც. კ-ის სწორ საგარეო პოლიტიკას მოჰყვა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო სიძლიერის, და მისი თავდაცვის უნარიანობის თვალსაჩინო განმტკიცება. საბჭოთა კავშირის მუშებისა და მშრომელების ძმური კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცება კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მუშებთან და მშრომელებთან უფრო მეტად გაამაგრებს საერთაშორისო პროლეტარიატის პოზიციებს მის ბრძოლაში ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

კომინტერნის სექციების იდეური და ორგანიზაციული განმტკიცება და მათი გაწმენდა ოპორტუნისტული, განსაკუთრებით მემარჯვენე ელემენტებისაგან, აძლიერებს კომინტერნის ბრძოლის უნარიანობას მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის ბრძოლაში.

მე-15 პარტყრილობიდან, მე-16 პარტყრილობამდე საბჭოთა კავშირი დაადგა სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზული გაშლის გზას. ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკურმა ტემპებმა მე-15 ყრილობიდან გასულ ორწელიწად ნახევარში შესაძლებელი გახადეს მრეწველობის ომის წინადროინდელი პროდუქციის გაორკეცება, შესაძლებელი გახადეს ხუთწლედის მესამე წელიწადს უზრუნველვეყო პროდუქციის ახალი გადიდება, რომელიც უდრის ყოფილი მეფის რუსეთის მთელი ომის წინადროინდელ პროდუქციას.

ლოზუნგს „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ მშრომელთა ფართო მასები უდიდესი ენერგიით და აღფრთოვანებით ახორციელებენ. სოციალისტური ინდუსტრიის ზრდას თან სდევს მუშათა კლასის მნიშვნელოვანი რიცხობრივი ზრდა და კონსოლიდაცია და მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

ამ წარმატებებს პარტიამ და მუშათა კლასმა მიაღწიეს უდიდეს სიძნელეებთან ბრძოლაში, კლასობრივ მტერთან ბრძოლაში, პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველნაირ გადახრასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით მემარჯვენე, ოპორტუნიზმთან — პარტიის შიგნით კულაკობის ამ აგენტურასთან—ბრძოლაში.

აქტივი მთლიანად იწონებს ყრილობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ „სიძნელეთა წარმატებული და სწრაფი დაძლევის ძირითად პირობას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარება და კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის მთელი ფრონტით გაშლა, ამ ტემპების ყოველი შესუსტება კაპიტალისტურ-კულაკური ელემენტების გულის მოსაგებად და მათზე შეტევის შესუსტება საქმით ნიშნავს არა სიძნელეთა შემსუბუქებას, არამედ მათი გამწვავებას და პროლეტარული დიქტატურის კლასობრივი მტრების პოზიციების გაძლიერებას.

ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის, გლეხობის ძირითად მასებთან მუშათა კლასის კავშირის, კოლმეურნეობათა ფართო მშენებლობის, ღარიბთა და მოჯამაგირეთა პოზიციის განმტკიცების და კულაკთან საბრძოლველად, საშუალო გლეხთან ერთად, ყველა ამათი მობილიზაციის საფუძველზე — პარტიამ მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილ პერიოდში მოამზადა გლეხობის ძირითადი მასების გადამწყვეტი ისტორიული შებრუნება სოციალიზმისაკენ. მე-16 ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გადამწყვეტ შებრუნებით ძირიანად იცვლება კლასობრივ ძალთა შეფარდება ჩვენს ქვეყანაში. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე პარტია კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროვების პოლიტიკიდან გადავიდა მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

ძირიანად იცვლება სამეურნეო წყობათა შეფარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისადმი, სოციალისტური ურთიერთობა საბჭოთა კავშირში უკვე ემყარება არა მარტო სოციალისტურ მრეწველობას, არამედ ზრდის გზით მიმავალ სოციალისტურ სექტორსაც სოფლის მეურნეობაში. საშუალო გლეხი, რომელიც კოლმეურნეობაში შედის, ხდება საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი, მტკიცე დასაყრდენი სოფლად.

აქტივს სრულიად სწორად მიაჩნია ყრილობის მითითება იმაზე, რომ პარტიის მუშაობაში ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებში ნებაყოფლობით საფუძველზე ღარიბ-საშუალო მეურნეობათა შემდგომი ჩაბმის ამოცანას, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის პრობლემას, კოლმეურნეობების შიგნით მოსავლის განაწილებას, კოლმეურნეთა მასის კულტურული დონის ამაღლებას, მესაკუთრული ტენდენციების დაძლევას კოლმეურნეობათა შიგნით და კოლმეურნეობების, როგორც სოფლად სოციალისტური მშენებლობის დასაყრდენ პუნქტების, განმტკიცებას.

ამასთან ერთად აქტივი ხაზს უსვამს ყრილობის მითითებას იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ყურადღება არ მიექცეს და საკმარისად არ შეფასდეს ინდივიდუალური საშუალო და ღარიბი გლეხის მეურნეობა, რომ საჭიროა ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინოს ამ მეურნეობებს და ჩაბმულ იქნან ისინი კოლმეურნეობებში.

ამ უდიდესი ამოცანების გარშემო უნდა დაირაზმოს პარტიისა და მუშათა კლასის ყველა ძალები და გარდაიქმნას ყველა ორგანიზაციების მუშაობა.

პროფკავშირებმა, რომლებიც თავიანთ ხელმძღვანელობაში გაიწმინდნენ მემარჯვენე-უკლონისტური და ტრედიუნიონისტური ელემენტებისაგან, მაქსიმალური სისწრაფით და მოქნილობით უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობის მეთოდები და ფორმები და გადაჭრით იბრუნონ პირი წარმოებისაკენ.

პარტიისა და პროფკავშირების მთავარ ამოცანას შეადგენს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის უმაღლეს საფეხურზე აყვანა. ამ მოძრაობის, როგორც მუშათა მასის კლასობრივი აღზრდის სკოლის განმტკიცება, სოცშეჯიბრებაში კომუნისტებისა და კომკავშირელების საყოველთაო ჩაბმა უმოკლეს ვადის განმავლობაში, პარტიული და პროფკავშირული მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა საამქროებსა და ბრიგადებში.

უდიდესი მნიშვნელობა მშრომელთა უფართოესი მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის და აქტიურ მონაწილეობისათვის, აგრეთვე პარტხელმძღვანელობის მიახლოვებისათვის მასებთან აქვს ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს ოლქების გაუქმების შესახებ განმსამტკიცებლად რაიონისა, როგორც სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ერთეულისა სოფლად.

სოციალისტური მშენებლობის საქმეში პარტიის გარდამწყვეტი წარმატების მიღწევა საბჭოთა კავშირში შესაძლებელი გახდა მხოლოდ ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე — პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ, პირველ რიგში კი მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ბელადები იძულებულნი გახდნენ ერთხელ კიდევ ეღიარებიათ თავიანთი შეცდომები, თუმცა ეს მათი აღიარება ფორმის მხრივ სრულებით არ იყო დამაკმაყოფილებელი. პარტია შემდეგში არ დაუშვებს არავითარ ორჭოფობას და პირმოთნეობას იმათ მხრივ, ვინც სიტყვით აცხადებს თავის სოლიდარობას პარტიის გენერალურ ხაზთან, ხოლო საქმით არ ეწევა პარტიასთან ერთად ბრძოლას ამ ხაზის დასაცავად ოპორტუნისტული გადახრებისაგან. ყრილობამ უკანასკნელი შესაძლებლობა მისცა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს — საქმით დაამტკიცონ თავიანთი განცხადების გულწრფელობა და ის, რომ ეთანხმებიან პარტიის ხაზს. ეს მხოლოდ გვიჩვენებს ჩვენი პარტიის ძალას და მის დარაზმულობას გენერალური ხაზის საფუძველზე ლენინური ხელმძღვანელობის გარშემო. აქტივი ხაზს უსვამს ყრილობის მითითებას იმის შესახებ, რომ მემარჯვენე ოპორტუნიზმი რჩება მთავარ საფრთხედ ჩვენი პარტიის შიგნით. ეს მითითება მოითხოვს განსაკუთრებულ სიფხიზლეს მოსკოვის ორგანიზაციის მხრით, სადაც მემარჯვენე ოპორტუნისტები უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით შეუპოვარ ფრაქციულ ბრძოლას ეწეოდნენ. ოდნავი ცდა, რომ ეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ დასრულებულად ჩაითვალოს, წააწყდება მოსკოვის ორგანიზაციის შეუპოვარსა და გადამჭრელ წინააღმდეგობას. სოციალიზმის შემდგომი წარმატებითი მშენებლობა მოითხოვს დაუნდობელ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნიზმთან და მისი ფესვების [illegible] აღმოფხვრას.

აქტივი მოუწოდებს მოსკოვის მთელ ორგანიზაციას მე-16 პარტყრილობის ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებისაკენ. მოსკოვის ორგანიზაცია ყოველ ღონეს მიმართავს იმისათვის, რომ ყრილობის დადგენილებები ხელმისაწვდომი გახდეს სოფლისა და ქალაქის მშრომელთა უფართოესი მასებისათვის.

აქტივი არწმუნებს ლენინურ ც. კ-ს, რომ მოსკოვის მთლიანი და შემჭიდროებული ორგანიზაცია მთელ პარტიასთან ერთად, ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის [illegible] მიერ აღიარებული ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, შემმუსვრავ წინააღმდეგობას გაუწევს მტერს, გადაჭრით გადალახავს პარტიის გენერალური ხაზიდან ოპორტუნისტულ გადახრებს და განახორციელებს ყრილობის მიერ გამოტანილი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებებს.

ვიბრძოლოთ ბოლშევიკური პარტიის ფოლადისებური რიგების ლენინური მთლიანობისათვის, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის მთლიანი კოლექტივიზაციის ქვეყნად გადაქცევისათვის, სოციალისტური შეტევის გაშლა - გაფართოებისათვის მთელი ფრონტით!

წინ სრული ნაბიჯით სოციალიზმისაკენ!

გაუმარჯოს პარტიის მე-16 ყრილობას და მის მიერ არჩეულ ლენინურ ცეკას!

პოლონეთში დაიწყო მწვავე კლასობრივი ბრძოლები

დემონსტრაციები ჟირარდოვში

ვარშავა, 18 ივლისი. ჟირარდოვში უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ყოველდღე რამდენჯერმე იმართება დემონსტრაციები და ხდება შეტაკებები დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. დემონსტრანტებმა დაადგინეს—არ დაუშვან სამუშაოზე ის მუშები, რომლებიც თავისი არჩევანით მიიღო ფაბრიკის ადმინისტრაციამ. გუშინწინ პოლიციამ იერიში მიიტანა დემონსტრანტებზე, რომლებმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მას. დემონსტრანტებიდან ბევრი დაიჭრა, ერთი დაჭრილი მოკვდა საავადმყოფოში. ჟირარდოვის მანუფაქტურის ადმინისტრაციამ მიიღო მუშების დელეგაცია, რომელმაც ადმინისტრაციას წარუდგინა მუშების მოთხოვნები.

„კურიერ პორანი“ ასე ახასიათებს ამ მოთხოვნებს: „ისინი შინაარსითაც აშკარა ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებენ და ამასთანავე აღმოსავლეთის სულით არიან გაჟღენთილი (ადს).

ჟირარდოვის მანუფაქტურას პოლიცია იცავს

ვარშავა, 18 ივლისი. პოლიცია ჟირარდოვში სასტიკ რეპრესიებს მიმართავს უმთავრესად პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის სადგომი აიკლეს და დაბეჭდეს. დააპატიმრეს ამ ორგანიზაციის რამდენიმე ხელმძღვანელი. მუშაობის დროს ჟირარდოვის მანუფაქტურას პოლიცია იცავს (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია

ვარშავა, 18 ივლისი. ვარშავაში კვლავ გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. უმუშევრებმა დაიკავეს თეატრის მოედანი, დადგნენ ტრამვაის ლიანდაგზე და მთელი მოძრაობა შეაჩერეს, დემონსტრანტები მოედნიდან გახდევნა ცხენოსანმა პოლიციამ (ადს).

რევოლიუციონური გამოსვლა კოხინჩინში

პარიზი, 18 ივლისი. ინდო-ჩინეთიდან მიღებული ცნობებით, ნაციონალური დღესასწაულის დღე—14 ივლისი (ბასტილიის აღება) აღინიშნა რევოლიუციონური გამოსვლით კოხინჩინში. წინა დღეს გავრცელდა დიძალი ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ ინდო-ჩინეთის მშრომელ მოსახლეობას—თავი შეეკავოს საფრანგეთის იმპერიალიზმის დღესასწაულში მონაწილეობისაგან. 13 ივლისს საღამოთი საიგონში აიკლეს მსხვილი ბურჟუაზიის ორგანოს „ტრიბუნ ინდოშინაუზ“-ის რედაქციის სადგომი. პროვინციაში იმართებოდა გლეხობის მასიური დემონსტრაციები ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ სოფელში პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრაციაზე გამოსულ გლეხებს. სროლის დროს მოკლულ იქნა სამი გლეხი (ადს).

მეცხვარეობის განვითარება საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 18 ივლისი. „ოვცევოდ“-ის გამგეობის წევრმა მელიქმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „ოვცევოდ“-მა მიიღო საკონტროლო ციფრები 1930—31 წლისათვის. მეცხვარეობის განსაზოგადოებული სექტორის განვითარებაში 1930—31 წლისათვის დასახულია გარდატეხა. „ოვცევოდ“-ი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მეცხვარეობის განვითარებას ჩამორჩენილ განაპირა მხარეებში. ეს შექმნის ბაზას ხორცისა და მატყლის მომცემი მეცხვარეობის განსავითარებლად. რაც დიდ როლს ითამაშებს ხორცის პრობლემის გადაჭრაში და იმავე დროს საგრძნობლად ასწევს ჩამორჩენილი რესპუბლიკების საწარმოო შესაძლებლობას. გარდატეხა დასახულია აგრეთვე კადრების მომზადების საქმეში. მარტო სასწავლებლებზე, სადაც მომზადებულ უნდა იქნან მეცხვარეობის სპეციალისტები, განზრახულია დაიხარჯოს 1930—31 წელს 22 მილ. მანეთი და, გარდა ამისა, საცდელ-საგამოსაკვლევო საქმეზე—7 ნახ. მილ. მანეთი. 1930—31 წელს ცხვრის რაოდენობა „ოვცევოდ“-ის საბჭოთა მეურნეობებში გადიდდება 2200000 სულიდან 5800000 სულამდე. აქედან კაზაკსტანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში 573.000 სულიდან 1.850.000 სულამდე, თურქესტანის 58.500 სულიდან 256.000 სულამდე, უზბეკისტანის—153.0000 სულიდან 441.000 სულამდე, ტაჯიკისტანის 23.000 სულიდან 122.000 სულამდე. ნაკლები მასშტაბითაა განზრახული მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების ზრდა ამიერ-კავკასიაში: აზერბეიჯანში ცხვრის რაოდენობა საბჭოთა მეურნეობებში განზრახულია გადიდდეს 14.000 სულიდან 84.000 სულამდე, სომხეთში—10.500 სულიდან 29.000 სულამდე და საქართველოში—10.000 სულიდან 24.000 სულამდე (ადს).

საუკეთესო საშუალება მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ

მოსკოვი, 18 ივლისი. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა მოიწონა ქიმიური პრეპარატი (სულფატ ანაბაზინი), რომელიც შეიმუშავა „კაზხიმტრესტ“-მა შუა აზიის ველური ბალახის „იტს-სეგაკ“-ისაგან. ეს მცენარე თავისი თვისებებით უახლოვდება მეტად დეფიციტიან ნიკოტინს. გამოცდამ, რომელიც ინსტიტუტმა მოახდინა, გამოარკვია, რომ სულფატ ანაბაზინი საუცხოო საშუალებაა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად. მისი მოხმარება ფართოდ გავრცელდება არა თუ საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ამგვარად, ველურ მცენარეს იტს-სეგაკს, რასაც აქამდე ადგილობრივი მოსახლეობა ხმარობდა როგორც სათბობს, ამიერიდან ეძლევა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ახალი დოკუმენტები ლენინის შესახებ

მოსკოვი, 18 ივლისი. „იზვესტია“-ში გამოქვეყნებულია ახალი დოკუმენტები ლენინის შესახებ, რომლებიც ეხება 1917 წლის ივლისის პერიოდს. ერთი დოკუმენტი წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მიწერილობას პეტროგრადის სასამართლო პალატის სახელზე, ხელმოწერილს სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორის მიერ, — მიღებული ყოფილიყო დაუყოვნებლივი ზომები საგამომძიებლო კომისიის იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც შეეხებოდა ულიანოვ — ლენინის დაპატიმრებას „პეტროგრადში 3—5 ივლისის სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის საქმის გამო“.

გამოქვეყნებულია აგრეთვე ოქმი ლენინის ოთახის გაჩხრეკისა 1917 წ. 7 ივლისს, ელიზაროვების ბინაზე, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას თანდასწრებით, რომლის დროს აღმოაჩინეს უმთავრესად ლიტერატურა და მიწერ - მოწერა.

საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობის რეზოლიუცია
ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

(მიღებულია ერთხმად)

I.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია—მუშგლეხინის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ მუშაობას.

სოციალისტური შეტევის ფართო ფრონტით გაშლის პირობებში, კლასიური მტერის წინააღმდეგობის გაძლიერების დროს, ცენტრალური საკონტროლო კომისია—მუშგლეხინი მთელი თავისი სიფხიზლით იცავდა პარტიული რიგების ლენინურ მთლიანობას, გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდა პარტიის გენერალური ხაზის გასატარებლად, იცავდა ამ ხაზს როგორც „მემარცხენე" უკლონისტების, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და შემარიგებლების მხრივ გადამახინჯების ყოველგვარ ცდებისაგან და ჰკვეთდა ფრაქციული მუშაობის ყოველგვარ ცდებს.

ყრილობა მთლიანად იწონებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობას პარტიის რიგების გასაწმენდათ სოციალურად და იდეოლოგიურად უცხო, მიტმასნებულ, გახრწნილ, გაბიუროკრატებულ და სოციალისტური შეტევისათვის ხელისშემშლელ ელემენტებისაგან. ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის წმენდამ, ჩატარებულმა გაშლილი თვითკრიტიკის პირობებში, მუშათა, სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენების აქტიური მონაწილეობით, შედეგად მოჰყვა პარტიის რიგების განმტკიცება, წმენდამ გახადა იგი უფრო მეტად ბრძოლის უნარიანი და ხელი შეუწყო მასში ახალ ასეულ ათას საწარმოო მუშების ჩაბმას.

ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ განვლილ პერიოდში ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა დიდი მუშაობა ჩაატარა გეგმიანი სისტემის და ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში მილიონობით მშრომელთა ინიციატივის უპირატესობების გამოსაყენებლად. ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარებისათვის ბრძოლაში მთელი თავისი ყურადღება სწორად შეაჩერა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შინაგანი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაზე. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა დასვა და ხელი შეუწყო შინაგანი რესურსების მობილიზაციის განხორციელებას სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში (მეტალურგია, სამთა-მადნო, სათბობი მასალები; სატყეო და საფეიქრო მრეწველობა, გზების მშენებლობა, ტრანსპორტი, მებამბეობა და სხვ.) და ბრძოლას აწარმოებდა კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგებისა და სამშენებლო ინდუსტრიის შექმნისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დროულია ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ინიციატივა საბჭოთა მანქანათმშენებლობის და მძიმე მოწყობილობის წარმოების დაჩქარების საქმეში, ინიციატივა მიმართული იქითკენ, რომ უმოკლეს ვადაში განხორციელებული ყოფილიყო მე-14 პარტყრილობის დირექტივა იმის შესახებ, რომ „საბჭოთა კავშირის ქვეყნიდან, რომელსაც შემოაქვს მანქანები და მოწყობილობა, გადაქცეულ იქნეს მანქანებისა და მოწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად, რათა ამრიგად საბჭოთა კავშირი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში არ გადაიქცეს კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობის ეკონომიურ დანამატად, არამედ წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს, რომელიც შენდება სოციალისტურად".

მუშათა მასების აქტივობაზე დაყრდნობით, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ-მუშგლეხინმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში, რითაც ხელი შეუწყო პარტიის მიერ წამოყენებულ ლოზუნგის—„ხ-წლიანი გეგმა 4 წელიწადში"—წარმატებით განხორციელებას.

ყრილობა იწონებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მუშაობას საბჭოთა აპარატის გასამარტივებლად და გასაიაფებლად. მრეწველობის მმართველობის სისტემის, კრედიტის, გადასახადების, სავაჭრო-კოოპერატიულ, დამამზადებელ და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების გამარტივებამ ხელი შეუწყო წარმოების აპარატის უფრო მეტად შეფარდებას რეკონსტრუქტიული პერიოდის და გაშლილი სოციალისტური შეტევის საჭიროებებთან.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა უდიდესი როლი ითამაშა პარტიის მიერ თვითკრიტიკის ფართოთ გაშლის ლოზუნგის განხორციელებაში, და იწონებს ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ბრძოლის გაშლას საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიულ გადამახინჯებების წინააღმდეგ, მასზე მუდმივი კონტროლის შექმნას და სახელმწიფოს მმართველობაში მუშათა მასების უშუალოდ ჩაბმას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში პარტიამ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწია და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა აპარატის წმენდამ, რომელსაც ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი ატარებს მუშათა მასების აქტიური დახმარებით სერიოზული ლახვარი ჩასცა ბიუროკრატიზმს და აპარატიდან განდევნა ათეული ათასი უვარგისი, კლასობრივად მტრული და გახრწნილი ელემენტი.

ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მთელი ეს მუშაობა, მათ შორის ბრძოლა ბიუროკრატიზმთან სახელმწიფო აპარატში, მიმართული იყო ლენინის მიერ დასმული იმ ძირითადი ამოცანის განხორციელებისაკენ, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო აპარატის შეგუებას მუშათა მასების უკეთესად მომსახურებასთან და მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის დაცვას და განმტკიცებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველზე. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ეს მუშაობა წარმატებით განახორციელა მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლით, როგორც იდეოლოგიის დარგში, ისე სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში და მტკიცედ მიდიოდა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ამჟღავნებდა ნაკლოვანებებს და სჯიდა დამნაშავეებს „პირთვნებათა მიუხედავათ".

უდიდესი სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს სოციალისტური მშენებლობას, თავის გამოხატულებას პოულობდა კლასობრივი მტრების ზეგავლენაში პროლეტარულ დიქტატურის აპარატის ყველაზე სუსტ რგოლებზე. ეს გავლენა თავს იჩენს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ცალკე გაბიუროკრატებულ ნაწილების მუშაობის გადამახინჯებაში. სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებით გაშლა ამჟამად განსაკუთრებით სიძლიერით აყენებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის წინაშე სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაწმენდისა და გაჯანსაღებისათვის გადამჭრელი ბრძოლის ამოცანას, მასში ისეთი პირობების შექმნისათვის გადამჭრელი ბრძოლის ამოცანას, რომლებიც ყოველგვარ ნიადაგს გამოაცლიან მავნებლობასა და კულაკურ-ნეპმანური გავლენის სხვა გამოხატულებათა შესაძლებლობას.

II.

გაშლილი სოციალისტური შეტევისა და მთელი სახ. მეურნეობის რეკონსტრუქციის გიგანტურ ამოცანებთან დაკავშირებით ყრილობა თვლის, რომ ცენტრ. საკონტროლო კომისია—მუშგლეხინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ყველა რესურსების გამოაშკარავება და მობილიზაცია ინდუსტრ. ტემპების შემდგომი დაჩქარებისათვის, მრეწველობის, ტრანსპორტის და სასოფლო მეურნეობის საწარმოო შესაძლებლობათა ყოველმხრივ გასადიდებლად, მმართველობის აპარატის გამარტივებასთან და მისგან ბიუროკრატიზმის ელემენტების განდევნასთან ერთად.

1. მილიარდებიანი რეზერვები მრეწველობაში და ტრანსპორტზე, გამოუყენებელი ჩვენი აპარატის მოუქნელობისა და ბიუროკრატიზმის გამო, ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის წინაშე აყენებენ ამოცანას —განახორციელოს დაულალავი კონტროლი მუშაობაზე ჩვენი განვითარების ტემპების დასაჩქარებლად საჭირო ამ დამატებითი წყაროების გამოსააშკარავებლად და გამოსაყენებლად. ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი სისტემატიურად უნდა ამოწმებდეს მუშაობის მიმდინარეობას წარმოებების რაციონალიზაციისა და სპეციალიზაციის, საწარმოებს შორის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლისა და ჩვენი და უცხოეთის ტეხნიკის მიღწევათა გამოყენების დარგში. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ სამეურნეო მუშაკების, პროფკავშირებისა და მუშათა მასების ღონისძიებებით, პარტიის ხელმძღვანელობით, ყველა საწარმოები და მათი მოწყობილობა უკიდურეს შესაძლებლობამდე იქნას გამოყენებული.

2. ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს განაგრძოს კაპიტალურ მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მის ყველაზე დიდ ობიექტებს, გადაჭრით დაისახოს მიზნათ მშენებლობის დაჩქარება, მისი გაიაფება და ხარისხის ამაღლება და აგრეთვე მრეწველობის მიერ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილების გამოყენება. ამასთან ერთად საჭიროა ვებრძოლოთ და გადაჭარბებულ სამუშაოებს კაპიტალურ მშენებლობაში, რომლებიც სადღეისოდ არ არის აუცილებელი.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ უცხოეთში ან ქვეყნის შიგნით შეძენილი მოწყობილობა თავის დროზე იქნეს გამოყენებული და მაქსიმალური საწარმოო ეფექტი მოგვცეს.

3. ნახშირისა და მეტალურგიული მეორე ბაზის—ურალ-კუზნეცის კომბინატის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებასთან შეფარდებით, ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, თვალყური ადევნოს სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მიერ ამ გადაწყვეტილების დადგენილ ვადებში შესრულებას.

4. სახალხო მეურნეობის ყველა დარგების რეკონსტრუქციის უზრუნველყოფის მიზნით, ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს შეისწავლოს და შეამოწმოს ღონისძიებები, რომლებიც მიზნათ ისახავენ საბჭოთა მანქანათმშენებლობის, მძიმე მოწყობილობის (ბლიუმინგი, სატკეცი მანქანები, ელექტრო-ტეხნიკური მოწყობილობა, ქიმიური მოწყობილობა და სხვ.) წარმოების დაჩქარებას, განსაკუთრებით მის იმ ნაწილებში, რომელთაც შეუძლია შესცვალონ მოწყობილობის იმპორტი უცხოეთიდან. ყრილობა ყველა სამეურნეო და პროფორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს ამ ამოცანის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და თვლის, რომ ყველა ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ყველა საშუალებით უნდა შეუწყონ ხელი ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას. ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს განსაკუთრებით ადევნოს თვალყური იმას, რომ განხორციელებულ იქნას შავი მეტალურგიის განვითარების გეგმა და მისი პროდუქცია 1932-33 წელში აყვანილ იქნას 17 მილიონ ტონამდე.

5. ყრილობა თვლის, რომ მრეწველობის მუშაობის ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს მის მიერ ხარისხობრივი მაჩვენებლების (თვითღირებულების შემცირება, გამომუშავების რაოდენობა თვითეულ მუშაზე და პროდუქციის ხარისხი) დარგში მისთვის მიცემულ დავალებების შესრულების მიმდინარეობა და წინადადებას აძლევს ცენტრალური საკონტროლო კომისია—მუშგლეხინს დააწესოს კონტროლი თვითღირებულების შემცირებისათვის და პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე. საწარმოებში ტეხნიკური კონტროლის დაყენების შემოწმებასთან ერთად, ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა უნდა შექმნას ფართო საზოგადოებრივი კონტროლი პროდუქციის ხარისხზე იმ ანგარიშით, რომ უახლოეს დროში ამ დარგში გადამწყვეტი გარდატეხა იქნას მიღწეული. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ულმობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყველა იმათთან, ვინც ანგარიშს არ უწევს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

6. სასოფლო მეურნეობის დარგში ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ულმობლად უნდა იბრძოლოს პარტიული ხაზის ყოველგვარ დამახინჯებას საკოლმეურნეო მშენებლობაში, როგორიც არის: ნებაყოფლობის დარღვევა, საზოგადოებრივი ინიციატივის შეცვლა ბრძანებლობით კულაკურ ელემენტებთან ბრძოლის უქონლობა როგორც კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის დროს, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ისე კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის გატარების დროს სხვა რაიონებში და ამასთან ერთად აწარმოოს ბრძოლა პარტიის ხაზის გადამახინჯებასთან ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა, ღარიბი და საშუალო გლეხის მიმართ.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური იმას, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში სისწორით ტარდებოდეს პარტიის ხაზი საშუალო გლეხის მიმართ და ამით უზრუნველყოფილი იქნას, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი გაშლა, ისე უკვე არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება.

ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს ყურადღება მიაპყროს პარტიის იმ დირექტივების შესრულების შემოწმებას, რომლებიც შეეხება საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლას, როგორც ხორბლეულ კულტურების, ისე განსაკუთრებით მესაქონლეობისა და ტეხნიკური კულტურების დარგში.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა უნდა შეამოწმოს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ეფექტიურობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის ორგანიზაცია და მიმდინარეობა და მიზნად დაისახოს პროდუქციის თვითღირებულების დაკლების, მოწყობილობის მთლიანად გამოყენების, შრომის წესიერი ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მიღწევა.

7. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა უნდა განაგრძოს მუშაობის შემოწმება ტრანსპორტის რეკონსტრუქციისა და მისი შემდგომი რაციონალიზაციისა და შინაგანი რესურსების მობილიზაციის დარგში, განსაკუთრებით მოძრავი შემადგენლობის გამოყენების და სათბობი მასალისა და ლითონების ეკონომიის დარგში. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მდინარეებისა და საზღვაო ტრანსპორტის განვითარებასა და გამოყენებას.

8. ყრილობა აღნიშნავს რა, სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო სისტემის არა საკმაო მოქნილობას და მეტად დიდ დამატებითი ხარჯებს მის მუშაობაში, ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია—მუშგლეხინს განაგრძოს მუშაობა საქონლის გამტარებელი აპარატის რაციონალიზაციის დარგში, მიზნად დაისახოს ზედმეტი რგოლების სრულიად მოსპობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური კონტროლის ორგანიზაციას კოოპერაციის მუშაობაზე, როგორც ქვეყნის სასურსათო რესურსების (სარძეო ფერმები, ბოსტნეულის მეურნეობა და სხვ.) გადიდების ხაზით, ისე არსებულ ფონდების განაწილების ხაზით. საგარეო ვაჭრობის დარგში, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების მოქმედებაზე და მათთვის გამოცდილ და კვალიფიკაციურ კადრების შერჩევაზე კონტროლის გაძლიერებასთან ერთად, ცენტრალურმა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა მთელი სისასტიკით უნდა განაგრძოს ბრძოლა საიმპორტო საქონლის შესაცვლელად საბჭოთა მრეწველობის პროდუქციით და ექსპორტის ახალი წყაროების გამოსანახავად.

9. ყრილობა იწონებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია—მუშგლეხინის მიერ უნაღდო ანგარიშების გავრცელებისა და კერძოდ მოსახლეობის მასიურ გადასახადების დარგში უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის მხრივ ჩატარებულ ღონისძიებებს და წინადადებას აძლევს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს მიაღწიოს ანგარიშების გასწორების ამ წესის ფართოდ გავრცელებას.

10. ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მთელმა მუშაობამ ნაკლოვანებათა გამოაშკარავების დარგში ხელი უნდა შეუწყოს კადრების უკეთესად შერჩევას, ამ ნაკლოვანებათა მხედველობაში მიღებით, არსებული კადრების აღზრდისა და მუშაობის გაუმჯობესების საფუძველზე. ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს სისტემატიურად შეამოწმოს პარტიის იმ გადაწყვეტილებათა შესრულება, რომლებიც შეეხება ახალი კვალიფიკაციური კადრების მომზადებას და აგრეთვე ამ კადრების პრაქტიკულ მუშაობაზე გამოყენებას.

III.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს გადაჭრით გადაკეთება და გამარტივება სახელმწიფო აპარატისა, რომელიც საკმაოდ ვერ იყენებს სოციალისტური სისტემის უპირატესობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის.

საგარეო ვაჭრობის, მრეწველობის მმართველობის, საკრედიტო, საბაჟო, საგადასახადო სისტემის და სხვ. აპარატების რეორგანიზაციის ცდის წარმატებით ჩატარების მიხედვით, ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას—მოახდინოს გადამჭრელი ლიკვიდაცია როგორც იმ დაწესებულებებისა და მმართველობის ფორმებისა, რომლებიც არაკრიტიკულად გადმოღებულ იქნენ კაპიტალიზმისაგან, ისე ისეთებისაც, რომლებსაც თუმცა მნიშვნელობა ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მაგრამ რომლებმაც დაჰკარგეს აზრი ახლანდელ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში სოციალისტური ელემენტები სჭარბობენ (გადასახადებისა და ტარიფების სიმრავლე, საქციო საზოგადოებანი და სხვ.), ასეთივე ულმობელი ბრძოლა საჭიროა მრავალი მსგავსი და ზედმეტი დაწესებულებების დაგროვებასთან და აპარატის პარალელური და ახალ ეტაპზე ზედმეტად გამხდარი საფეხურების მოსპობა. სწორედ ასევე აღმოფხვრილ უნდა იქნას ერთისა და იმავე ორგანიზაციებისათვის ფინანსების მიმწოდებელი წყაროების სიმრავლე.

1. ყრილობა ფიქრობს, რომ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ — მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა განაგრძოს მუშაობა მრეწველობის მთელი სამმართველო აპარატის გაიაფებისა და გამარტივებისათვის და ყურადღება მიაქციოს უმთავრესად მრეწველობის ძირითადი უჯრედების მუშაობის გაუმჯობესებას (საწარმოო და საამქრო).

ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას სავსებით განახორციელოს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები ერთმმართველობის გატარების, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განვითარების და წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ.

ამასთან ერთად ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ—მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა აღკვეთოს ბიუროკრატიზმისა და კომფუფაჩობის ყოველგვარი გამოხატულება საწარმოში, რაც ჰბოჭავს მუშათა ინიციატივის გაშლას და ხელს უშლის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, და ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი პარტიული უჯრედების როლის განმტკიცებას წარმოებაში. უჯრედები არ უნდა ჩაერიონ დეტალებში, არ უნდა გასწიონ ადმინისტრაციის მაგიერობა და თავიანთი ყურადღება უნდა მიაპყრონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას და დაფარული შინაგანი რესურსებისა და საწარმოო შესაძლებლობათა გამონახვას.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ — მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამოცანად უნდა დაისახოს აგრეთვე აღრიცხვისა და ანგარიშების მოგვარების გაუმჯობესება საწარმოში იმ მიზნით, რომ აღრიცხვა და ანგარიშგება არა მარტო საერთო მმართველობისა და ტეხნიკური ხელმძღვანელობის მიზნებს ემსახურებოდეს, არამედ მუშათა ფართო ფენებისათვის გასაგებ ფორმებშიაც სწარმოებდეს და ხელს უწყობდეს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობას, აგრეთვე საწარმოების მიერ ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებას.

2. ყრილობა იწონებს ცენტრალური საკონტროლო კომისიისა—მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ მუშაობას საბჭოთა აპარატის შემცირებისა და გაიაფებისათვის და ამასთან ერთად ფიქრობს, რომ ამ სფეროში მიღწეული შედეგები, განსაკუთრებით სამეურნეო, სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში, ჯერ კიდევ არ არის საკმაო. ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას მიაღწიოს აპარატების რიცხვის თვალსაჩინოდ შემცირებას და მათი ღირებულების შემცირებას, რის შესაძლებლობაც დამტკიცებულია მთელი რიგი ორგანოების ძირიანად გარდაქმნის ცდით საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით („ცენტროსოიუზ"-ის შტატები შემცირდა 50 პროცენტით, „მოსკოვის საფინანსო განყოფილების—64 პროცენტით, „სოიუზხუმაგი"-სა—51 პროცენტით, ურალის საოლქო სამოქმედო განყოფილების—56,7 პროცენტით, საფეიქრო გაერთიანების—50 პროცენტით, „მეტალოიმპორტ"-ის—40 პროცენტით და სხვ.).

ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას თავისი პრაქტიკული მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახოს სისტემატიური თვალყურის დევნება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირებაზე.

ყრილობა ავალებს უწყებათა, დაწესებულებათა, სამეურნეო, სავაჭრო-კოოპერატიულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს შეუსუსტებლად ადევნონ თვალყური მტკიცე ნორმების შეფარდებას ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების გამოანგარიშების დროს.

3. ყრილობა აღნიშნავს საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის შეუწყნარებლად გაბერვას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, მის სიძვირეს, რაც მძიმე ტვირთად აწვება კოლექტიურად გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობებს და აფერხებს საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდას, ამიტომ ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას გაატაროს ცხოვრებაში ამ სისტემის განზრახული რეორგანიზაცია, მიაღწიოს აპარატის თვალსაჩინოდ გამარტივებას და მისი ღირებულების შემცირებას 50 პროცენტით მაინც, აგრეთვე მოსპოს ზედმეტი ანგარიშგება და მიწერ-მოწერა.

4. რადგან კოლექტივიზაციის ზრდა სრულიად სხვანაირად აყენებს საბჭოთა ხელისუფლების რაიონული და სასოფლო ორგანოების, როგორც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის უშუალო ხელმძღვანელობის, საკითხს, ყრილობა ფიქრობს, რომ საჭიროა სოფლის საბჭოების ყოველმხრივ გაძლიერება და მათი მუშაობის შინაარსისა და მეთოდების გადაჭრით შეცვლა იმ მხრივ, რომ მათ მეტი ყურადღება მიაქციონ სოფლის სამეურნეო და კოოპერატიული გარდაქმნის საკითხებს. ამასთან ერთად რაიონი ნამდვილად უნდა გადაიქცეს პარტიის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების საკვანძო პუნქტად სოფელში.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიოს იმ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც გულისხმობს ოლქების გაუქმებას, და უზრუნველყოფს რომ ოლქის ოპერატიული ფუნქციები, უფლებები და მატერიალური რესურსები გადაეცეს რაიონსა და ქალაქის საბჭოს, ხოლო საოლქო ორგანოების მუშაკები გადაყვანილ იქნან რაიონებში.

ოლქების ლიკვიდაციის ჩატარებისა და ფუნქციების განაწილების დროს საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას იმ უფლებათა მთლიანად დაცვა, რომლებიც მინიჭებული აქვთ ნაციონალურ ერთეულებს (ავტონომიურ ოლქებს, ნაციონალურ რაიონებს და საბჭოებს).

5. საბჭოთა აპარატის წმენდის პირველი წლის შედეგების მიხედვით ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას თვითკრიტიკის საფუძველზე და მუშათა, ღარიბ გლეხთა და კოლმეურნეთა ფართო მასების მონაწილეობით განაგრძოს წმენდა და გაავრცელოს იგი მართვა-გამგეობის მთელ აპარატზე: ადმინისტრატიულ-საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ აპარატზე.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა აპარატის წმენდა არის არა მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექციის, არამედ მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის საქმე, და ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს და ყოველ კომუნისტს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას ამ მუშაობაში.

ყრილობა მთელი პარტიის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ პარტიული უჯრედები და პარტიის წევრები, როგორც ცხადყო წმენდის გამოცდილებამ და მავნებლობის ფაქტებმა, ხშირად ვერ მეთაურობენ ბრძოლას კლასობრივი ხაზის გამრუდებასთან, კუდში მისჩანჩალებენ და ვერ ანიშნებენ პარტიას ამ მოვლენების არსებობას.

მავნებლობა, რომელიც კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენს, შესაძლებელი ხდება და თვალსაჩინოდ ადგილდება არა მარტო ჩვენი საბჭოთა კადრების ნაკლოვანების მიზეზით, არამედ იმის გამოც, რომ პარტიის ბევრი წევრი, განსაკუთრებით კი ზოგიერთი კომუნისტი—დაწესებულებების და საწარმოების ხელმძღვანელი—საკმაო სიფხიზლეს ვერ იჩენს, ხოლო ზოგჯერ პრაქტიკულ მუშაობაში მავნებელთა გავლენისა და ზეგავლენის ქვეშ ექცევა.

ყრილობა საჭიროდ სთვლის გაძლიერდეს პარტუჯრედების, პარტიის წევრების და განსაკუთრებით ხელმძღვანელი კომუნისტების პასუხისმგებლობა ბიუროკრატიზმისა და მავნებლობის ფაქტებისათვის.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველი კომუნისტი მოვალეა იყოს დამკვრელი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, მაგალითს უჩვენებდეს და წინ უძღოდეს დანარჩენ მასას, და ახსოვდეს, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის ფრონტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

6. ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის სფეროში წარმოადგენს ქვემოდან მომდინარე მუშათა კონტროლის ახალი მასიური ფორმა—ქარხნების შეფობა საბჭოთა აპარატზე. ქარხნების შეფობა და მუშებისათვის სახელმწიფო აპარატის ზოგიერთი ფუნქციის გადაცემა წარმოადგენს დიდ ნაბიჯს ლენინის იმ იდეის განხორციელებისათვის, რომ „ჩვენს მიზანს წარმოადგენს თვითეული მშრომელის მიერ სახელმწიფო მოვალეობის უსასყიდლოდ შესრულება საწარმოო მუშაობის რვა საათის „განაკვეთის" შესრულების შემდეგ". შვიდი საათის სამუშაო დღე ახალ შესაძლებლობას ჰქმნის ლენინის ამ მითითებათა რეალიზაციისათვის.

შეფობის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს შეფ-ქარხნების მხრივ ყოველდღიური კონტროლის გაწევა იმაზე, თუ როგორ ასრულებს საშეფო აპარატი პარტიის და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დირექტივებს. სწორედ მუშების ყოველდღიური გაცნობა დაწესებულების პრაქტიკულ მუშაობასთან შეჰქმნის ახალი პროლეტარული კადრების მძლავრ რეზერვს საბჭოთა აპარატში მუდმივად სამუშაოდ.

შეფობას, როგორც მასიურ პროლეტარულ მოძრაობას, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით უნდა შეუწყონ ხელი და დაეხმარონ ყველა ორგანიზაციები.

7. პარტიულმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციებმა, შეფობა უნდა მიაჩნდეთ [illegible] მასიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად. ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და იმ დაწესებულებათა პარტიულმა უჯრედებმა, რომლებზედაც ქარხნები შეფობას იღებენ, ვალდებულნი არიან შექმნან ხელსაყრელი პირობები შეფის მუშაობისათვის, ისინი პასუხისმგებელნი არიან იმ დაბრკოლებებისათვის აპარატის მხრივ, რაც ხელს უშლის შეფობის გაშლას.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას ყურადღებით შეისწავლოს და გააფართოოს სახელმწიფო მმართველ-გამგეობის საქმეში წარმოებაში დარჩენილ მუშათა მასების არსებული გამოცდილება, მუშებისათვის სახელმწიფო აპარატის ზოგიერთი ფუნქციის გადაცემის გამოცდილება.

8. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელ ადგილებზე წარმოების მუშების, გლეხების, განსაკუთრებით კოლმეურნეთა წრიდან, აგრეთვე მუშა და კოლმეურნე ქალების შემდგომი გადამჭრელი დაწინაურება. მეტადრე უნდა მიექცეს ყურადღება უპარტიოთა დაწინაურებას, დაწინაურებულთათვის სათანადო სასწავლო მომზადების მოგვარებას.

ყრილობა აკისრებს დაწესებულებების, პარტუჯრედის და პროფორგანიზაციის ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობას დაწინაურებულთა სამუშაოდ ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. აპარატის შემდგომ გამუშურებასთან ერთად საწარმოებიდან მუშების დაწინაურების საშუალებით, საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს მუშათა ბავშვების მომზადებას და სასკოლო მეცადინეობას საბჭოთა აპარატის თანამშრომელთა შემადგენლობის გადაჭრით განახლებისათვის.

IV.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებანი, პროლეტარიატის კულტურულ-პოლიტიკური ზრდა და აპარატის წმენდის საქმეში ფართო მასების ჩაბმის დადებითი ცდა შესაძლებელს და აუცილებელს ხდის გაშლილ შეტევაზე გადასვლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს ჩვენს განვითარებას. ეს შეტევა უნდა მოხდეს საბჭოთა აპარატის ძირითადი გარდაქმნისა და პარტიის და მთავრობის დირექტივების შესრულების მკაცრი ყოველდღიური შემოწმების საფუძველზე.

პარტიას და მუშათა კლასს ამჟამად მოეპოვება ახალი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში მიაღწიონ ახალ საგრძნობ გამარჯვებას. ამისათვის საჭიროა უფრო მეტის ენერგიით, უფრო მეტის გაბედულებით და მუდმივად ვებრძოლოთ და აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა დღევანდელ საფეხურზე არ განისაზღვრება მარტო შტატების შემოკლებით, საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლით, მიმსვლელებთან ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლით და სხვ. „შემოწმება ადამიანებისა და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება, აი, ეს არის, კიდევ და კიდევ ეს არის, მხოლოდ ეს არის მთავარი დღეს მთელს ჩვენს მუშაობაში, მთელს ჩვენს პოლიტიკაში". ვლადიმერ ილიჩის ამ მითითებას ამჟამად, ახალ ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, იგი ხდება ბიუროკრატიზმთან მთელი ჩვენი ბრძოლის ცენტრალურ ამოცანად. უპასუხისმგებლობა, ჩინოვნიკური თვითკმაყოფილება, პარტიისა და მთავრობის დირექტივების სისწორით და პატიოსნად არ შესრულება—ბიუროკრატიზმის ყველაზე საშიში და ბოროტი სახეა. დაუნდობელი ბრძოლა ამ უსაზიზღრეს ბოროტებასთან, შესრულების შემოწმების აუცილებლად ბოლომდე მიყვანა უნდა გადაიქცეს გენერალურ გეზად ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში.

ყრილობა ავალებს ცენტრ. საკ. კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას გადაჭრით მოხსნას ადგილებიდან ის მუშაკები, რომლებიც მთელი სისრულით და კეთილსინდისიერად არ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, მოხსნას ისინი ჩამომავლობის, თანამდებობისა და წარსული დამსახურების მიუხედავად. ბიუროკრატიზმის დამნაშავეების დაუნდობელ დასჯასთან ერთად, ც. ს. კომისიამ—მუშ. და გლეხ. ინსპექციამ უნდა იხელმძღვანელოს ლენინის იმ მითითებით, რომ „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანას შეადგენს არა მარტო და არა იმდენად „დაჭერა", „გამოაშკარავება" (ეს არის ამოცანა სასამართლოსი, რომელთანაც მუშგლეხინს ახლო კავშირი აქვს, მაგრამ მის იგივეობას არ წარმოადგენს) —რამდენადაც ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს საქმე. ცოდნით შესწორება დროზე.—აი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთავარი ამოცანა".

V.

ყრილობა ანდობს ც. ს. კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას შემდეგში წინანდელისავე სიმტკიცით და გადაჭრით დაიცვას პარტიული რიგების ლენინური მთლიანობა, უფრო მეტად გააძლიეროს ბრძოლა ოპორტუნიზმის ყოველი სახის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, დაუნდობლად აღკვეთოს ყოველი ცდა, მიმართული რკინისებური პარტიული დისციპლინის შერყევისაკენ.

ყრილობა აღნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის უდიდეს და ურთულეს ამოცანათა წარმატებითი შესრულებისა და როგორც საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან, ისე პარტიულ აპარატში ბიუროკრატიზმის ელემენტებთან ბრძოლის ძირითად პირობას წარმოადგენს ბოლშევიკური თვითკრიტიკის შემდგომი გაბედული გაშლა. ყრილობა ანდობს ც. ს. კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას თვალყური ადევნოს თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტებს და დამნაშავეებს მკაცრი სასჯელი დაადოს.

ყრილობა ანდობს ც. ს. კომისიას—მუშათა და გლეხთა ინსპექციას უფრო მეტის ენერგიით განაგრძოს მასების მობილიზაცია ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ იმ გადაწყვეტილებათა სისწორით და გარკვევით შესრულებისთვის საბრძოლველად, რომლებიც შეეხებიან სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური მებრძოლი ტემპების უზრუნველყოფას და ხუთწლედის ოთხწელიწადში შესრულებას.

ც. ს. კომისიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე დასმული უდიდესი ამოცანების შესრულება უნდა დაემყაროს მასების უფრო მეტად მოზიდვას და ჩაბმას. ც. ს. კომისიამ—მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მუშები და გლეხები ათი და ასი ათასობით უნდა ჩააბას კონტროლისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვადასხვა ფორმაში და ამავე დროს უფრო მეტის ენერგიით და თანამიმდევრობით შეასრულოს უფართოესი მასების ორგანიზატორის როლი და ამით განახორციელოს ლენინის ის დირექტივა, რომ „მთელმა მშრომელმა მასამ როგორც კაცებმა, ისე, განსაკუთრებით, ქალებმა— მონაწილეობა მიიღოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში".

ყრილობა სრულ რწმენას გამოსთქვამს, რომ ც. ს. კომისია—მუშათა და გლეხთა ინსპექცია უფრო მჭიდროდ, უფრო ფართოდ დაუკავშირებს თავის მუშაობას მუშათა და გლეხთა მილიონების ცხოვრებას, უზრუნველჰყოფს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური სიძლიერის განმტკიცებას და სოციალისტური შეტევის გაშლას მთელ ფრონტზე სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში.

საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა

ყრილობის მეორე სხდომაზე, გუშინ საღამოს, სწარმოებდა კამათი ამხ. მამულიას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნიკოლსოვმა, კაუფმანმა, კელენჯერიძემ, ნ. კიკნაძემ, ჰკვადუამ, სიხარულიძემ, გალკინმა და სხვებმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ბეჭდვითი სიტყვას მთელ რიგ მიღწევებთან ერთად, მრავალი ნაკლი ახლავს.

საქართველოს თითქმის ყველა გაზეთების მთავარ ნაკლად ორატორები ასახელებენ მასიური მუშაობის მოუგვარებლობას მუშ-გლეხკორთა შორის. კამათში (ცენტრალური ადგილი კადრების საკითხმა დაიჭირა. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი რედაქციები კადრების მხრივ ამჟამად კრიზისს განიცდიან და თუ ეს საქმე დაჩქარებით არ მოგვარდა, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება.

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია ბეჭდვითი საქმის ტეხნიკური ბაზა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი ჟურნალ - გაზეთების ტირაჟი ერთი - სამად და მეტად გაიზარდა, ამავე დროს პირიოდული ბეჭდვითი სიტყვის ტეხნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად არაფერი არ გაკეთებულა.

აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ ჩვენი გაზეთები ნაკლებად აწარმოებენ თვითკრიტიკას და ერთმანეთის კრიტიკას. ერთი გაზეთი თავის დროზე ხან თითქმის სრულებით არ ამჟღავნებს მეორე გაზეთის მიერ დაშვებულ შეცდომას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ენის საკითხს — განსაკუთრებით თარგმანს. ხშირად ჩვენ გაზეთებში მასალა ისეთი ენით ითარგმნება, რომ მისი გაგება თითქმის შეუძლებელია. კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. მამულიას საბოლოო სიტყვა.

ახალი მშენებლობა ტფილისში

მე მინდა ამ წერილში მკითხველების ყურადღება მივაქციო ტფილისის ახალ მშენებლობას. მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით საცხოვრებელ სახლების მშენებლობა, ერთი მხრით, და ქალაქის კეთილმოწყობა მეორე მხრით. მე ვფიქრობ, რომ უკვე დროა, და შეიძლება დაგვიანებულიცაა, რომ ეს საკითხი დაისვას პრესაში, რათა მის განხილვაში მუშების ფართო მასამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა.*)

ტფილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველ დროში სახლების მშენებლობა სრულიად მოუწესრიგებლად ხდებოდა. ქალაქის მომავალ ბედზე, მის ზრდასა და განვითარებაზე მაშინ თავს არავინ უწუხებდა. აშენებდენ სახლებს სრულიად უგეგმოდ, ვინც როგორ მოისურვებდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ, მაგ., ტფილისში ჩვენ გვაქვს დღეს უმეტეს ნაწილად ვიწრო, მიხვეულ - მოხვეული, მრუდი და ხშირად სრულებით გაუვალი ქუჩები და მასთან თავისუფალ ადგილების, მოედნების, ბაღების დიდი ნაკლებობა, ან ზოგ უბნებში მათი სრული უქონლობა. დღეს, როცა ტფილისის მოსახლეობა ძლიერ გაიზარდა და ეს ზრდა შეუჩერებლად გრძელდება, ეს ძველი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ მივიღეთ ტფილისში, უდიდეს უხერხულობას ჰქმნის როგორც სანიტარულ - ჰიგიენური მხრით, ისე მოძრაობის მოწესრიგების მხრითაც. უწინ ანგარიშს უწევდენ მხოლოდ იმას, რომ ქუჩებზე შესაძლებელი ყოფილიყო ფეხით და ცხენით სიარული, ერთი მხრით, და ურმების და ეტლების მოძრაობა მეორე მხრით. ტრამვაის და ავტომობილების მოძრაობაზე იმ დროს ფიქრიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ დღეს ტრამვაიზე და ავტომობილებზე უარს ვერ ვიტყვით.

რა უნდა ვქნათ ასეთ პირობებში? ერთად-ერთი გამოსავალი ასეთია: უნდა გაკეთდეს ქუჩები იმათი გაფართოების მიზნით, უნდა გაყვანილ იქნას ახალი ქუჩები, გაფართოვდეს არსებული და შეიქმნას ახალი მოედნები და ბაღები. მაგრამ ეს არ კმარა. ტფილისში არის დიდძალი შენობები, ესე იგი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ან უნდა დანგრეულ იქნენ სრულიად, ან უნდა გადაკეთდნენ კაპიტალურად, რადგანაც იმათი დატოვება იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, დიდ საშიშროებას ჰქმნის, გარდა იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ ნამდვილ ბუდეს ყოველგვარი გადამდებ ავადმყოფობათა გასავრცელებლად. ამ მიზნით ზოგიერთი კვარტალები ზოგიერთ უბნებში (მაგ., თათრის, ბეტხაინის, ავლაბრის და სხვ.) სრულიად უნდა განთავისუფლდენ ძველი შენობებიდან და ახალი გეგმით გაშენდენ.

შესაძლებელია თუ არა ეს? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ შეიძლება ამაზე გვიპასუხონ: ვთქვათ ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს არაა ხელსაყრელიო. ძველი ქალაქები დღეს ჩვენ აღარ გამოგვადგებიან, უმჯობესი იქნება გავაშენოთ ახალი, სოციალისტური ქალაქებიო. უკეთეს შემთხვევაში, ზოგიერთების აზრით, ძველი ქალაქების, მაგ., ტფილისის, გამოყენება ხელსაყრელი იქნება მხოლოდ გარდამავალ ხანაში, დაახლოვებით 10-15 წლის განმავლობაში. შემდეგ ჩვენ ისინი აღარ დაგვჭირდებიანო. ასეთი აზრი წარმოსთქვა, სხვათა შორის, გაზ. „З. Востока"-ში (№ 161) ამხ. დივნოგორცევმა. აი რას ამბობს ის სიტყვა-სიტყვით: „ქალაქები, რომლებშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, არ არიან მომავლის ქალაქები, ისინი წარსულის ქალაქებია. ისინი გვესაჭიროებიან ჩვენ მხოლოდ გარდამავალ პერიოდში" (ხაზს მე ვუსვამ). ამ სიტყვების ავტორი აქ სწორედ ტფილისზე ლაპარაკობს. სწორია ასეთი შეხედულება თუ არა? რა თქმა, უნდა, რომ არა. მართალია, მრავალი ძველი ქალაქები დროთა განმავლობაში სრულიად მოისპენ და აღმოიფხვრენ ისე, რომ იმათი ნატამალიც აღარ დარჩენილა, მაგრამ ეს არ ითქმის ყველა ძველ ქალაქებზე; ბევრი იმათგანი განაგრძობს არსებობას დღესაც, და ჯერ თითქოს სერიოზულად არავის მოსვლია ისეთი აზრი, რომ ისინი განზრახ დანგრეულ იქნენ, და იმათ მაგიერ გაშენებულ იქნენ ახალი ქალაქები. მართალია, სოციალიზმის დროს დღევანდელი ქალაქების სახე გამოიცვლება, მოხდება იმათი შეგუება ახალ პირობებთან; გარდა ამისა, მოისპობა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს დღეს სოფელსა და ქალაქს შორის, აღარ იქნება ისეთი დიდი მყვირალა განსხვავება მათ შორის, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში და დღესაც აქვს.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ აუცილებლად საჭიროა, ისეთი ძველი ქალაქები, როგორიც მაგ., ტფილისია, რამდენადაც კი შეიძლება, შევუგუოთ ახალ სოციალისტურ პირობებს, რაც ოდნავაც არ შეუშლის ხელს ახალი სოციალისტური ქალაქების შექმნას და იმათ განვითარებას.

ახლა, რაც შეეხება ტფილისს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრით აქ მუშაობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ; ეს მუშაობა თანდათან, წლითი-წლობით ძლიერდება და მატულობს. სამწუხაროდ, მე არ მომეპოვება ამჟამად ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დღეს მუშათა სახლების და ბინების მშენებლობა ტფილისში. ასეთი ცნობები უთუოდ არის ტფილისის აღმასკომში, მაგრამ იმათი მიღება იქიდან არ მოხერხდა. ტფილისის აღმასკომს დავალებული აქვს წარუდგინოს სახკომსაბჭოს უახლოეს ვადაში ყოველი მხრით ამომწურავი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ქ. ტფილისში, ერთი მხრით, საცხოვრებელ სახლების მშენებლობის საქმე და მეორე მხრით, თუ რა გაკეთდა ან რა კეთდება ქალაქში კეთილმოწყობის დარგში? არის ყველა ამის შესახებ წინდაწინ გამომუშავებული გეგმა, და მუშაობა მიმდინარეობს ამ გეგმის მიხედვით. თუ აქ ადგილი აქვს გეგმის დარღვევას ან სრულ უგეგმობას?

ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ მშენებლობის საქმე ტფილისში საკმარისად მოიკოჭლებს ყოველი მხრით.

უწინარეს ყოვლისა აქ ჩვენ ვხედავთ რაიმე წინდაწინ შედგენილი და დამტკიცებული გეგმიანობის თითქმის სრულ უქონლობას. მართალია, ბევრი კარგი რამ გაკეთდა და კეთდება, როგორიც, მაგ., არსებული ვიწრო და მრუდე ქუჩების გაფართოება და გასწორება და, აგრეთვე ახალი ქუჩების გაყვანა და ბაღების და სკვერების გაშენება და სხვ. და სხვ. ყველა ამას, რა თქმა უნდა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ ქალაქის აღმასკომი გეგმიანობის მხრით გვარიანად მოიკოჭლებდა და ამავე დროს თვით მუშაობას მშენებლობის დარგში ემჩნეოდა და დღესაც ემჩნევა სრული უსისტემობა.

მეორე დიდი ნაკლი მშენებლობის დარგში იყო ახლად აგებულ შენობების უმსგავსი სტილი. ჩვენ მოგვახვიეს თავზე ქართული სტილის სახელწოდებით ძველი ეკლესიების და ციხე-კოშკების სტილი, რომელიც ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი იყო საბჭოთა მშენებლობაში. ამ სტილმა დაამახინჯა მუშების საცხოვრებელი ბინები და ნახევრად შეზღუდა იმათი გამოყენება. დღეს თითქო დაძლეულია მშენებლობაში ეს სტილი, თუმცა შეუძლებელია იმის თქმა, რომ ჩვენი მშენებლობა სავსებით განთავისუფლდა ამ უვარგისი სტილიდან, რომლის წინააღმდეგ კიდევ საჭიროა ბრძოლა.

მესამე ნაკლი, რომელიც ახასიათებს ქ. ტფილისის მშენებლობას — ეს არის მეტად ნელი ტემპი. უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ტემპს არა თუ არ შეუძლია უზრუნველყოს ბინების მხრით ტფილისის მოსახლეობის ზრდა, არამედ ის ვერ უზრუნველყოფს იმ მოსახლეობასაც კი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ტფილისში. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობის ნელი ტემპი დიდათ აფერხებს ტფილისის მოსახლეობის ზრდას ამ უკანასკნელ წლებში.

მეტად საგულისხმიეროა ამ მხრით შემდეგი ცნობები, რომლებიც მოყავს ამხ. დივნოგორცევს ზევით დასახელებულ წერილში. ასე, მაგ., ამ უკანასკნელი სამნახევარი წლის განმავლობაში (1926-30 წ.წ.) მოსახლეობის ზრდა %% გამოიხატება:

ბაქოში	14,1
განჯაში	23,4
ერევანში	27,3
ლენინაკანში	27,5
ტფილისში	9,4
ქუთაისში	16,3
ფოთში	10,3
ბათომში	10,4
სოხუმში	21,4
ჭიათურაში	35,7

აქედან ჩვენ ვხედავთ, ზევით დასახელებულ ქალაქებიდან მოსახლეობის ზრდის ყველაზე უფრო დაბალი პროცენტი გვაქვს ტფილისში (9,4%). მართალია, ტფილისის მოსახლეობა დაახლოვებით 10-15 წლის წინეთ იზრდებოდა შედარებით უფრო ნაკლები პროცენტით, ვინემ ის იზრდება უკანასკნელ 7-8 წლის განმავლობაში. ამის დასამტკიცებლად მე მომყავს აქ შემდეგი ცხრილი ტფილისის მოსახლეობის ზრდის შესახებ 1917 წლიდან 1930 წლამდე:

მოსახლეობა ჯარის ნაწილების გამოკლებით:

1917 წ.	231,141
1922 წ.	233,953
1926 წ.	283,000
1930 წ.	310,000

მოსახლეობის ზრდის საშუალო ყოველწლიური %

1917-1922 წ.	0,2,
1922-1926 წ.	5,2
1926-1930 წ.	9,4

აქედან ჩანს, რომ 13 წლის განმავლობაში (1917-1930 წ.) ტფილისის მოსახლეობა გაიზარდა 78,859 მცხოვრებით, ესე იგი 34,1 %; ეს შეადგენს საშუალო ყოველწლიურ ზრდას 2,6 პროცენტით, მაგრამ ეს ზრდა ეკუთვნის თითქმის განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების ხანას. ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ზრდის ტემპი ყველაზე უფრო დიდი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, სახელდობრ. 1922-1926 წ. წ. 1926-1930 წლებში მოსახლეობის ზრდამ პირველ წლებთან შედარებით საგრძნობლად იკლო. ამხ. ჟანდიერის გამოანგარიშებით, 1922—1926 წლების პერიოდთან შედარებით 1926—30 წლების პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივ ზრდის საშუალო ყოველწლიური პროცენტი 0,3-ით შემცირდა, მექანიკური ზრდის პროცენტი კი 1,8 %-ით[1]) ავტორის აზრით, ეს გარემოება გაკვირვებას უნდა იწვევდეს, ვინაიდან 1922—26 წლების პერიოდი 1921 წლის პოლიტიკურ ცვლილებების შემდეგ ტფილისის ეკონომიურად და კულტურულად ჩქარი ტემპით განვითარების პერიოდია, წინა წლებში დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესი ამ პერიოდში დამთავრდაო. საერთოდ ეს სწორი აზრია. მაგრამ მარტო ზევით დასახელებული მიზეზებით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ შემთხვევაში. როგორც ჩანს იკლო როგორც მექანიკური, ისე ბუნებრივი ზრდის პროცენტმა. დამაფიქრებელია, რომ დაიკლო ბუნებრივი ზრდის პროცენტმა, თუმც შედარებით ძლიერ უმნიშვნელოდ. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ 1926 — 1930 წლებში, რომლებიც წარმოადგენენ მრეწველობის რეკონსტრუქციის ხანას თბილისის ზრდა როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად არა თუ არ შეჩერებულა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა (ახალი ქარხნების და ფაბრიკების აგება, ძველი ფაბრიკა - ქარხნების გადიდება - გაფართოვება, თბილისის რკინის გზის სახელოსნოების გადიდება, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების რიცხვის ზრდა და სხვ. და სხვ.) ყოველ შემთხვევაში, თბილისის მოსახლეობის ზრდის ტემპის ისე საგრძნობლად შემცირება, რაც ჩვენ გვაქვს ამ უკანასკნელი სამიოთხი წლის (1926—30) განმავლობაში, შეუძლებელია აიხსნას მარტო იმ გარემოებით, რომ 1922—1926 წლებში მოხდა წინა წლებში დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა მეტად ჩქარი ტემპით და შემდეგში ეს ტემპი შენელდა. ასეთი ახსნა არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად.

ჩემი აზრით, მოსახლეობის ზრდასთან შეფარდებით ტფილისში არ ხდება სანიტარულ - ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება; პირიქით, ზოგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ქალაქის სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუარესებაც...

ეს ერთი. მეორეც ის, რომ როგორც ძველი საცხოვრებელი ფართობის აღდგენა, ისე კიდევ უფრო ახალი საცხოვრებელი შენობების აგება სრულიად არ ხდება იმ ტემპით, რომელიც შეეფერება მოსახლეობის ზრდას. პირიქით, ეს ტემპი ბევრად ნაკლებია მოსახლეობის ზრდასთან შეფარდებით. ორივე ეს გარემოება, ჩემი აზრით, უარყოფით გავლენას ახდენს ტფილისის მოსახლეობის როგორც ბუნებრივ, ისე მექანიკურ ზრდაზე. ჩვენ ვიცით, რომ საბინაო კრიზისი ტფილისში არა თუ არ კლებულობს, არამედ რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მწვავდება. აი რას უნდა მიექცეს დღეს განსაკუთრებული ყურადღება როგორც თბილისის აღმასკომის, ისე თბილისის საბჭოს მხრით.

ტფილისი მთელი ამიერ-კავკასიის ბუნებრივი გეოგრაფიული ცენტრია. იგი ამასთან დიდი კულტურული ცენტრიცაა და სრულებით შემთხვევითი არაა ის, რომ თბილისი დედა-ქალაქია, როგორც საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის, ისე ამიერ - კავკასიის ფედერაციის. ამას თან ერთვის მისი შედარებით კარგი ადგილ-მდებარეობა და ჯანსაღი ჰავა. მართალია წინა ხანებში ტფილისის უარყოფით მხარეს შეადგენდა მრეწველობის შედარებით მეტად სუსტი განვითარება, რადგანაც მას არ ქონდა ამისათვის მახლობლად ნედლეულის ბაზა, ან თუ ქონდა, ტფილისში არ ხდებოდა მისი დამუშავება, (მაგ., მატყლის). ასეთი იყო ცარიზმის და ბურჟუაზიის იმპერიალისტური პოლიტიკა. ეს ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. საბჭოთა ხელისუფლებამ ძირიან - ფესვიანად შესცვალა ეს პოლიტიკა და ამ ცვლილების შედეგებს ჩვენ ყველანი უკვე ნათლად ვხედავთ. თბილისის სამრეწველო მნიშვნელობა მომავალში თანდათან იმატებს. მე არ ვლაპარაკობ მისი კულტურული მნიშვნელობის კიდევ უფრო მეტ გადიდებაზე, როგორც სხვადასხვა კულტურულ, საგამოკვლეო და სამეცნიერო დაწესებულებათა, ისე უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა რიცხვის ზრდის გამო. არაფერს ამას მსგავსს ადგილი არ ქონდა წინედ. გარდა ყველა ამისა, არის კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტორი, რომელიც აქამდის ან სრულებით არაა გამოყენებული, ან თუ არის ძლიერ ნაკლებ. მე ვამბობ ტფილისის გოგირდის ცხელ წყლებზე. თითქმის არ არის მეორე ქალაქი, რომელსაც ასეთი წყლები ქონდეს და მასთან იმ რაოდენობით, რაც თბილისს აქვს. ამ წყლებს, როგორც აბანოებს, არა მარტო ჰიგიენური მნიშვნელობა აქვთ, იმათ აქვთ სამკურნალო მნიშვნელობაც. აქამდის ტფილისი ვერ იყენებს შესაფერისად იმ დიდ და დაუფასებელ სიმდიდრეს, რომელსაც ეს წყლები წარმოადგენენ. ეჭვს გარეშეა, რომ ამ წყლების გამოყენება შეიძლება ბევრად უფრო ფართოდ და ბევრად უფრო მიზანშეწონილად, ვინემ ეს დღემდის ხდება. ჩემი აზრით თბილისის მინერალურ წყლების გამოყენება ერთ - ერთ დიდ ამოცანას წარმოადგენს თბილისის ზრდის საქმეში. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დაჩქარებით უნდა იქნას შესწავლილი და გადაჭრილი; მისი გადაჭრა უნდა დაუკავშირდეს ყველა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ტფილისის აღმასკომმა უნდა მიიღოს ქალაქის პირობების გასაუმჯობესებლად სულ ახლო მომავალში.

ამნაირად, ტფილისს აქვს დიდი შესაძლებლობანი შემდგომი განვითარებისათვის. ადგილ - მდებარეობის სილამაზის და ჰავის მხრით მას იშვიათად შეედრება სხვა რომელიმე ქალაქი. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სათანადოთ გამოყენება ყველა იმ შესაძლებლობათა, რომლებიც მას აქვს.

ყველა ამისთვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაჩქარებით დამუშავებულ იქნას მშენებლობის გენერალური გეგმა, ისეთი გეგმა, რომელიც უნდა შეეხოს: 1) ქალაქის ახალ დაგეგმვას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ახალი ქუჩების გაყვანა, ახალი მოედნების და ბაღ - სკვერების გაშენება, ძველი ქუჩების და მოედნების გაფართოება; 2) გეგმამ უნდა გაითვალისწინოს, თუ რომელი მიმართულებით უნდა გაიზარდოს ქალაქი; ეს უნდა იქნას აწონ-დაწონილი ყოველი მხრით და ისე მიღებული და არ ხდებოდეს ქალაქის ზრდა ამა თუ იმ მიმართულებით სტიქიურად, როგორც ამას დღემდე აქვს ადგილი. და არა თუ ამ ზრდის საერთო მიმართულება უნდა იქნას სისწორით განსაზღვრული, არამედ ზუსტად უნდა იქნას ნაჩვენები, თუ სად, რომელ ადგილას და უბანში და რომელი მიმართულებით უნდა აიგონ საცხოვრებელი სახლები და შენობები. სხვადასხვაგვარ სახელმწიფო, კოოპერატიულ და სამეურნეო დაწესებულებისთვის და, რომელ ადგილას ქარხანა - ფაბრიკები, საწყობები და სხვ. და სხვ. ასეთი გეგმის და ასეთი მიმართულების უქონლობის გამო მოხდა ის, რომ ტფილისის მაუდის ფაბრიკა აგებული იქნა ისეთ ადგილას, რაც პირდაპირ დანაშაულს წარმოადგენს. ეს არ მოხდებოდა, რომ ტფილისის საბჭოს წინდაწინ ქონებოდა მშენებლობისათვის შემუშავებული გეგმა. ამ მხრით მაუდის ფაბრიკა გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასეთი შეცდომებიდან ჩვენ უზრუნველყოფილი არა ვართ, თუ დროზე დაგეგმვა არ იქნა გატარებული. შეიძლება დავასახელოთ აქ კიდევ ერთი მაგალითი. არის განზრახვა აგებულ იქნას ტფილისში მრეწველობის სახლი. უკვე კიდევაც შეუდგენ ადგილის გამონახვას. ალბად არის სხვადასხვა პროექტი. ერთი ასეთი პროექტი, როგორც გადმოსცეს ერთ-ერთ გაზეთშიაც იყო გამოქვეყნებული და მერე როგორ ფიქრობთ: სად განუზრახავთ ამ სახლის აგება? რუსთაველის პროსპექტის რაიონში. აქ უნდათ დაანგრიონ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, და იმათ ადგილას ააგონ მრეწველობის ახალი სახლი. რა თქმა უნდა, ასეთი პროექტი არ გავა, მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ აღიჩნდენ ისეთი პირები, როელთაც ასეთი მავნე აზრი მოსვლიათ თავში. სხვა ქალაქებში და სხვა რესპუბლიკებში ასეთ სახლებს აგებენ განაპირას და თავისუფალ ადგილზე, (მაგ. ხარკოვში), და ამნაირად ხელს უწყობენ როგორც ქალაქის, ისე საცხოვრებელი მოედნის გაფართოვებას. აქ კი წინააღმდეგ იქცევიან. როცა გვექნება ტფილისის მრეწველობის გენერალური გეგმა ასეთ რამეებს ადგილი აღარ ექნება. ახლა ყველანი დამოუკიდებლად იქცევიან, და ქალაქის აღმასკომს ანგარიშს არ უწევენ; 3) ამავე დროის აუცილებლად საჭიროა, რომ გეგმამ გაითვალისწინოს აგრეთვე ძველი საბინაო ფონდის მიზანშეწონილად გამოყენება, ძველი შენობების დროზე შეკეთება ან სრულიად გადაკეთება ახალ მოთხოვნილებებთან შესაგუებლად; აქ უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე ზედასართულების დაშენება; 4) დასასრულ გეგმა უნდა შეეხოს ტფილისის მახლობლად და მის ირგვლივ მთელ რიგ აგარაკების მოწყობის საკითხს. ტფილისის გარშემო 10—15—20 კილომეტრის მანძილზე არის ბევრი ადგილი, სადაც საუცხოვო აგარაკების მოწყობა შეიძლება. მანგლისი და ალბულაღი ტფილისზე საკმარისად მოშორებული არიან. რაც შეეხება კოჯორს, იგი შედარებით ძალიან მაღალია და ბევრისათვის არ გამოდგება. ამიტომ საჭიროა ტფილისის მახლობლად მოეწყოს ასეთი საზაფხულო აგარაკები უმთავრესად მუშებისათვის. იმათი გამოყენება ზამთარშიაც შესაძლებელი იქნება. ვიმეორებ ასეთი ადგილები მოგვეპოვება, საჭიროა მხოლოდ ამას მიექცეს ყურადღება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ტფილისის აღმასკომი ამ მხრით არ ღებულობს ამა თუ იმ ღონისძიებებს. მაგრამ ეს არ კმარა.

აი დაახლოვებით ის, რაც მე მინდოდა მეთქვა მშენებლობის შესახებ ტფილისში. უნდა იცოდეთ, რომ ეს პატარა საკითხი არაა, — ესაა სოციალიზმის მშენებლობის ერთ - ერთი არსებითი მხარე და ამაში უნდა იქნეს აქტიურად ჩაბმული მთელი მუშათა კლასი, რადგანაც ყოველივე ეს მას უშუალოდ ეხება. პარტიულმა, პროფესიონალურმა, საბჭოთა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა. მოწოდებული არიან ხელმძღვანელონ ამ მშენებლობას და მას სათანადო დახმარება გაუწიონ. აქამდის კი ქალაქის საბჭო სათანადო ენერგიას ვერ იჩენდა ამ დარგში. ხოლო რაც შეეხება პროფესიონალური ორგანიზაციებს, ისინი სრულებით განზე იდგნენ ამ საქმიდან. ეს დაუშვებელია. ამიერიდან ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ფ. მახარაძე.

---

*) ვათავსებთ რა ამხ. ფ. მახარაძის წერილს, ჩვენ სიტყვას მივსცემთ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე სხვა ამხანაგებსაც. რედ.

[1] გაზ. „კომუნისტი", 1930 წ., 20 ივნისი.

მთელ რიგ რაიონებში უკვე დაიწყო პურის ჩაბარება

კახეთის დამამზადებელი პუნქტები მომარაგებული არ არიან საჭირო რაოდენობის ტომრებით და ბრეზენტებით

სასტიკი წინააღმდეგობა კულაკების და სპეკულიანტების ყოველგვარ ცდებს—ჩაშალონ პურის დამზადება

თბილისის რაიონში გაჩნდნენ სპეკულიანტები, რომლებიც აწეულ ფასებში იძენენ ხორბალს.—ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებს მათ წინააღმდეგ

პურის დამზადება დაიწყო

მემინდვრეობის კავშირის ცნობით, პურეულის დამზადება კახეთის ოლქში უკვე დაიწყო. 10-დან 15 ივლისამდე სიღნაღის რაიონში დამზადებულია სულ 371 ცენტნერი პურეული. აქედან 310 ცენტნერი პური და 61 ცენტნერი ქერი.

მოსავლის აღება და პურის დამზადება თელავის რაიონში

თელავის რაიონში გაზაფხულის და შემოდგომის პურის და ქერის მოსავლის ასაღები ფართობი უდრის 18,930 ჰექტარს. აქედან კოლმეურნეობებს ეკუთვნის 1.163 ჰექტარი, რაც შეადგენს მთელი მოსავლის 6,1 პროც.

მუშა ხელი რაიონს ეყოლება დაახლოვებით 21.872, მუშა საქონელი 28,390 სული, აქედან კოლმეურნეობებში 251 სული.

მანქანა-იარაღები რაიონს აქვს: სამკელი—11. სალეწი—6, ტრაქტორი—9, ტრიერი—20. ყველა ეს მანქანები კოლმეურნეობებშია, გარდა 14 ტრიერისა, რომლებიც ეკუთვნის გლეხკომებს და აგრო-პუნქტებს.

მკა რაიონში უკვე დაიწყო, მკა გასტანს 15-20 დღე. თითო მანქანით საშუალოდ უნდა მოიმკას 50 ჰექტარი; მანქანებით სულ მოიმკება 550 ჰექტარი, დარჩება ხელით ასაღები 18.380 ჰექტარი, რასაც დასჭირდება 118.380 მუშა-დღე, ანუ 7.900 მუშა ხელი ყოველდღე ორი კვირის განმავლობაში, როგორც ამ გამოანგარიშებიდან სჩანს, ჩვენს რაიონში მუშა ხელის სიჭარბეა. ჭარბი მუშა-ხელი გამოყენებული იქნება ვენახის და სხვა სამუშაოებზე.

გალეწვა იწარმოებს აგვისტოს შუა რიცხვებიდან დღეში უნდა გალეწოს თითო მანქანამ 400 ფუთი, მთელ სეზონში კი—16,000 ფუთი. ნავარაუდევი საერთო მოსავლიდან—1,041,150 ფუთიდან რჩება პურის დიდი რაოდენობა პრიმიტიული წესით. გასალეწი რაიონის ხელისუფლების მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები სამკელი და სალეწი მანქანების 100 პროცენტით დასატვირთავად, რისთვისაც შემოღებულია ღამე მკა და ღამე ლეწვა, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

თელავის რაიონში დასამზადებელი სასაქონლო პური უნდა გვევარაუდნა 78.000 ფუთამდე. მაგრამ წელს მოსულმა სეტყვამ ახმეტის და იყალთოის სას. საბჭოებში შემავალ 18 სოფელში დიდათ დააზიანა ნათესები და უნდა ვიფიქროთ, რომ გარდა ხელუხლებელ სათესლე ფონდისა შევძლებთ მხოლოდ 52.000 ფუთის დამზადებას. ხელუხლებელი სათესლე ფონდი რაიონში უნდა შეიქმნას საჭირო რაოდენობის 25 პროც., რაც შეადგენს 74.325 ფუთს.

მოსავლის აღების წარმატებით ჩასატარებლად სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭიროა იარაღ-მანქანების, კანაფის და სხვა მასალის მომარაგება, ჩვენს მიერ დროზე იყო დასმული ეს საკითხი მემინდვრეთა ამხანაგობის წინაშე, მაგრამ დღემდე ამ მასალების მარაგი მხოლოდ 50-60 პროც. მოგვეწოდება. ცენტრალური ორგანიზაციები ამ მხრივ უმოძრაობას იჩენენ და უბრალო მიმოწერებით კმაყოფილდებიან: „იქ მიმართე", „არა გვაქვს" და სხვა.

ჩვენს მიერ მიღებული იყო ზომები მოსავლის აღების მოსამზადებელ მუშაობის დროზე ჩასატარებლად, რისთვისაც გეგმა რაიონის მასშტაბით შედგენილ იქნა ჯერ კიდევ ივნისის შუა რიცხვებში. გამოიყო 24 პ. მ. ამხანაგი, რომლებიც 23 ივნისიდან გაიგზავნენ კოლმეურნეობებში. მათი ხელმძღვანელობით იქ დამუშავდა როგორც კოლმეურნეობების, ისე სოფლების გეგმები, ყურადღება მიექცა კოლმეურნეობებში სოც. შეჯიბრის, კვების, ანგარიშ-წარმოების მოწესრიგებას და, რაც მთავარია, გასულ წევრებზე ანგარიშის გასწორების და მოსავლის განაწილების საკითხების მოგვარებას, ამ ამხანაგების საშუალებით აგრეთვე დამუშავდა რუისპირის სას. სამ. არტელის გამოკვლევის შედეგი; ამ არტელს ახასიათებდა მთელი რიგი უმსგავსოებანი კოლექტივის შინამუშაობაში (უპარტიულობანი გამგეობის წევრებს, ძმა-ბიჭობა, ადმინისტრატორობა, შინა-კოლმეურნეობრივი დემოკრატიის გაუშლელობა და სხვა).

ჩვენს რაიონში იქნება პურის 12 მთავარი დამამზადებელი პუნქტი, აგრეთვე დამხმარედ მიჩნეულია კოოპერატივების ყველა წერტილი. გარდა ამისა გლეხთა მასასთან დაუახლოვების მიზნით ყველა მოშორებულ სოფლებში მოეწყობა მოძრავი დღეები. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო საქონლის ასორტიმენტის შერჩევას. გლეხს სჭირია არა მარტო ფართალი, არამედ შეკერილი ტანისამოსი, რკინა, მარილი, ნავთი და სხვა ათასი ნაწარმოები, ამ მხრივ თელავის სარეწკოპი ამზადებს რამდენიმე ათასი მანეთის საქონელს, უკვე პუნქტებიდან მიღებულია მოთხოვნილება თოხზე, ნამგალზე და სხვა, ცენტრალურმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხებისათვის საჭირო მასალის შერჩევას.

ჩვენს მიერ მიღებულია ზომები საწყობების შესაკეთებლად. შენდება აგრეთვე სადგურ თელავში ახალი საწყობი, რომელიც დაიტევს 30.000 ფუთ პურს. ტომრების მომარაგება ჯერ არ არის მოგვარებული. მემინდვრეთა ამხანაგობა წელს პირველად გამოდის დამზადების ასპარეზზე. მისი შტატი ახალია, გამოუცდელი. ამიტომ მეტი ხელის შეწყობა და ყურადღებაა საჭირო, საერთოდ კოოპერატიული ორგანიზაციების გაჯანსაღებას უნდა მიექცეს ყურადღება. ხშირად ყოფილა მომენტი, როცა კოოპერატიული დამზადებაში ხელს გვიშლის—კლასიური ხაზის დამახინჯებით. ცეკავშირთან კავშირით (ალიანი) და სხვ. ჩვენს მიერ მიღებულია ზომები ახმეტის მომხმარებელ კოოპერატივის გასაჯანსაღებლად, რომლის აპარატში შავსიულების და კულაკური ელემენტების საგრძნობი რიცხვია.

ადგილებთან კავშირის გასაძლიერებლად საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომმა გადადგა შემდეგი ნაბიჯები: სოფელი არ მიიღებს ცირკულიარს, არამედ მას გაეწევა ცოცხალი ხელმძღვანელობა. სოფლებზე მიმაგრებული პ. მ. ამხანაგები მუდმივ მოძრაობაში იქნებიან, რომლის პროცესშიაც შეასწორებენ და შეამოწმებენ ადგილების მუშაობას. ტელეფონთან განუწყვეტლივ იქნება პ. მ. ამხანაგი, რომელიც მიიღებს ცნობას ადგილებიდან და ჩაწერს სპეც. ცნობარში. გამოყოფილია 12 კომკავშირელი და ფიზკულტურელი, რომელთაც მიაქვთ გაგზავნილ ბრიგადებისათვის ახალი გაზეთები, სხვადასხვა მითითებები და პასუხი შეკითხვებზე.

მასიური მუშაობის გასაშლელად ჩვენს მიერ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებთან და მათ მასიურად გავრცელებასთან ერთად შემოღებულია მოძრავი თეატრი და კინო

არავინ არ უნდა გაუშვას მხედველობიდან ის, რომ წელს პურის დამზადება მიმდინარეობს ძლიერ რთულ პირობებში, როცა კულაკი კიდევ შეეცდება გამოიყენოს ჩვენი შეცდომები კოლმეურნეობების მშენებლობის დარგში და გადაიბიროს ღარიბი და საშუალო გლეხი. კულაკი ამ მხრივ არ დაზოგავს არავითარ ზომებს.

დღეს პურის დამზადება უკავშირდება კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას, კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლიერებას, ამიტომ საჭიროა თითოეულმა კომუნისტმა გაითვალისწინოს არსებული პირობები და დაშვებული შეცდომების ხასიათი.

საშუალო გლეხის განაწყენებას პურის დამზადების დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი. პურის დამზადება მათ შორის უნდა სწარმოებდეს დაჯერებითი მეთოდით. მასიური მუშაობის ფართოდ გაშლამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან. კოლმეურნეობის მოწყვეტას ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეებიდან ბოლო უნდა მოეღოს.

ამ ღონისძიების გატარების პროცესში აგრეთვე საჭიროა მზადება კოლმეურნეობების შემდგომ გასამხნევებლად და ახალის დასაარსებლად, რაიკომმა უკვე შეისწავლა ადგილები, სადაც პირველ რიგში საანეულე მიწების მოხვნასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება სრულ ნებაყოფლობის საფუძველზე მიწის საზოგადო შრომით დამუშავებელი ამხანაგობები.

პურის დამზადების პროცესში პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლა უნდა დადგეს ყურადღების ცენტრში. აქ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უდავოა მივიღებთ შემოტევას მემარჯვენე ელემენტების მხრიდან, რომელთა პრაქტიკოსები განსაკუთრებით ბევრია ჩვენში.

მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა პირველ რიგში უნდა დაისვას ჩვენს რაიონში. ამასთანავე ერთი წუთითაც არ უნდა შევანელოთ ყურადღება „მემარცხენე" ნახტომთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ასეთია თელავის რაიონის წინაშე მდგომი ამოცანები. რაიკომის მიერ მიღებული ზომები თავდებია იმისა, რომ ბოლშევიკურ თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე ჩვენ შევძლებთ პურის დამზადების წარმატებით ჩატარებას და კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას არა სიტყვით, არამედ საქმით.

ალ. წიფურია.

ტომრები გვაკლია

(კახეთი)

პურის დამზადების კამპანია ოლქში უკვე ფართოდ გაიშალა. რაიონების საკონტროლო ციფრები უკვე დაყვანილია სოფლებამდე. ზოგიერთ რაიონებში, სადაც მოსავლის აღების კამპანია ადრეულად დაიწყო, დამამზადებელ პუნქტებს უკვე მიეწოდა პირველი ტრანსპორტები დამზადებულ ხორბლეულისა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ პუნქტები უზრუნველყოფილნი არ არიან საკმაო რაოდენობის ტომრებით. მიუხედავად მთავრობის დირექტივისა, რომ აღრიცხული ყოფილიყო ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების განკარგულებაში მყოფ ტომრების მთელი რაოდენობა,—ოლქში მუშაობა ამ მხრივ ჯერ არავის ჩაუტარებია.

ამ გარემოებას დროზე გაუწია ანგარიში „სოიუზხლებ"-ს საოლქო კონტორამ და მოახდინა თავის პუნქტებში და საწყობებში მყოფ ტომრების მთელი რაოდენობის მობილიზაცია. ამ გზით შეგროვილია 8180 ცალი ტომარა. ამას გარდა „სოიუზხლებ"-ს ა.-კ. საოლქო კონტორის მიერ კახეთის ოლქის საჭიროებისათვის გადმოგზავნილია 6.200 ცალი ტომარა. მაგრამ ეს რაოდენობა ტომრებისა სრულიად არ არის საკმარისი კახეთის ოლქისათვის გასაზღვრულ დასამზადებელ პურეულის ნორმის საჭიროებისათვის. ამიტომ საჭირო იყო მემინდვრეობის კავშირის მიერ სასწრაფო ზომების მიღება კახეთის სრული უზრუნველყოფისათვის ამ მხრივ. მემინდვრეობის კავშირის განკარგულებაში მყოფ 16.000 ცალ ტომრიდან გადაწყვეტილი იყო 8.000 ცალის გადმოგზავნა კახეთის ოლქისათვის.

მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა და მისი სასწრაფოდ შესრულების აუცილებლობისა, აღნიშნული 8.000 ტომარა კახეთს ჯერაც არ მიუღია.

და ეს მაშინ, როდესაც წინარის წლის მიმღებ პუნქტებზე უკვე შემჩნეულია ტომრების ნაკლებობა.

მემინდვრეობის ადგილობრივი რაიკავშირებიც თავის მხრივ არ იჩენენ საკმაო მზრუნველობას ტარის საკმაო რაოდენობის მომარაგებისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ არც „სოიუზხლებს" და არც ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციებს სრულიად არ მოეპოვებათ პურის დამზადებისათვის საჭირო ბრეზენტები.

„სოიუზხლებ"-ს ა.-კ. საოლქო კანტორა აცხადებს, რომ ბრეზენტები მას აქვს საწყობებში, მაგრამ ინახავს იმ მომენტისათვის, როდესაც განსაკუთრებული გარემოება შეიქმნება, ე. ი. როდესაც სადმე წვიმა მოვა და სხვა.

ცხადია, წვიმების დროს „სოიუზხლებ"-ის თბილისის საწყობებში დაწყობილი ბრეზენტები თავის დროზე ვერ მიაღწევენ იმ ადგილს, სადაც სასწრაფო დახმარება იქნება საჭირო და დამზადებული პური ადვილად შესაძლებელია წვიმის ქვეშ სრულიად გაფუჭდეს ბრეზენტების მოლოდინში.

საჭიროა საკმაო რაოდენობის ბრეზენტების დაუყოვნებლივ გადმოგზავნა კახეთში წინასწარ, სანამ „სოიუზხლების" საოლქო კანტორა ცუდი ამინდის ცნობას მიიღებდეს.

თ. ტ.

სამკალი მანქანის შეკეთება

კერძო დამამზადებლები უნდა აილაგმონ

მემინდვრეობის კავშირის ცნობით, თბილისის ახლო მდებარე რაიონებში ბაზარზე გაჩნდნენ კერძო დამამზადებლები (უმთავრესად თბილისის კერძო მეპურეები), რომლებიც იძენენ პურეულს აწეულ ფასებში, რითაც ხელს უშლიან დამზადების კამპანიის ნორმალურ მსვლელობას. სპეკულიანტები იყენებენ ნაცნობ და ნათესავ ღარიბ გლეხებს, რომლების საშუალებითაც აწარმოებენ დამზადებას და მათივე საშუალებით გადმოაქვთ დამზადებული პურეული თბილისში. სოფ. მარნეულის და შაუმიანის ბაზრებზე კერძო დამამზადებლები ფუთ პურში აძლევენ 7 მან.—7 მ. 50 კაპ., ხოლო 1 ფუთ ქერში 1 მან.—1 მან. და 50 კაპ.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ კულაკები სოფლად თავის მოსავალს აძლევენ თავის „მეგობარს" და მოყვარე ღარიბ და საშუალო გლეხებს, რომლებიც ამ პურეულს ყიდიან კერძო ბაზარზე და ფულს კულაკებს აბარებენ. ამ გარემოებას ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს. მარნეულში მემინდვრეობის სარაიონო კავშირმა და მემინდვრეობის კავშირის რწმუნებულმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ თბილისის ჩარჩ-ვაჭრები მარნეულში პურს ამზადებენ ადგილობრივი გლეხების საშუალებით, რომ ამავე რაიონის კულაკები თავის მოსავალს ყიდიან კერძო ბაზარზე ღარიბ და საშუალო გლეხების საშუალებით და სთხოვეს მათ მიეღოთ ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ადმინისტრაციას არ შეუძლია ამ საქმის გამოკვლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბორჩალოს რაიონში დამზადების საქმის ნორმალურად გაშლას ხელს უშლის აგრეთვე ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია, რომელიც გამოდის ბაზარზე და პურეულს კერძო ფასებში ამზადებს თავის საჭიროებისათვის.

ამ გარემოებას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც თვითნებურად გამოდიან ბაზარზე და დამზადების მტკიცე ფასებს დაარღვევენ,—სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

ამასთან ერთად ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, რომ ისინი ვალდებული არიან ფხიზლად ადევნონ თვალყური დამზადების ბაზრის მდგომარეობას და სათავეშივე ჩაახშონ პურეულის დამზადების გეგმის ჩაშლის ყოველგვარი აშკარა თუ ფარული ცდები, რომლებიც კერძო დამამზადებლებისაგან გამომდინარეობს.

ეს ზომები დაჩქარებით უნდა მივიღოთ, რომ უზრუნველვყოთ დამზადების გეგმის გულიანად შესრულება.

ქ. ტ.

ყველა კუთხეებიდან

● ლანჩხუთის რაიონში შემოდგომის ნათესები დათესილი იყო 500 ჰექტარამდე, რომლის მომკა ახლო ხანში დამთავრდება. გლეხობა შიშობს, რომ ვერ მოახერხებს მის გალეწვას. მათ შეჰპირდნენ სალეწ მანქანებს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და მანქანები არსად სჩანს. ეს გულს უცრუებს გლეხებს შემოდგომის პურის დათესვაზე. საჭიროა დაპირება შესრულდეს.

ა. თალაკვაძე.

● საგარეჯოს კოლექტივებს მოსავლის აღებაში არავინ უწევს ხელმძღვანელობას. არა აქვთ სამუშაო გეგმა, მოკლებული არიან აგრონომიულ რჩევა-დარიგებას. არ ყოფილა მიღებული არავითარი ზომები მავნებლების წინააღმდეგ, მავნებლები კი ანადგურებენ ნათესებს. გლეხობა მკის ყანას, სალეწი მანქანები კი არ არის მზად. ეს გარემოება შეაფერხებს პურის დამზადებას. კაკაბეთში არის ერთი სალეწი მანქანა, რომელსაც ნაწილები აკლია. არც მემინდვრეობის კავშირი ზრუნავს მის შეკეთებაზე და არც არტელს აძლევენ შეკეთების ნებას. ფიქრობენ გაგზავნონ კომისია ბაქოში მანქანის ჩამოსატანად, მაგრამ ეს მანქანა გაისათ თუ მოესწრება. ყოველივე ეს ხელს შეუშლის პურის დროზე დამზადებას. საჭიროა ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება.

დამკვრელი.

მეტი ყურადღება სოფლის კედლის გაზეთებს

სოფლის კედლის გაზეთები და განსაკუთრებით კი საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და მოჯამაგირეთა კედლის გაზეთები, სათანადოთ ვერ ამართლებენ იმ ამოცანებს, რომელიც დასახა პარტიამ და ხელისუფლებამ სოფლად სოციალისტური მშენებლობის გასაფართოებლად.

ეს ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ ჩვენმა ცენტრალურმა რედაქციებმა და ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა ვერ გაშალეს ფართოდ მათზე ხელმძღვანელობა. საქართველოს მუშკორთა პირველმა თათბირმა გარკვევით სთქვა თავის დადგენილებაში, რომ:

„სოციალისტური მშენებლობის ზრდა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ერთის მხრივ, ხოლო კლასიური ბრძოლის გამწვავება სოფლად მეორეს მხრივ, ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს სასოფლო მეურნეობის მუშების, მოჯამაგირეების და მწყემსების შორის მუშაობის გაძლიერების და სოფლად სწორი კლასიური ხაზის გატარების შესახებ". ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მუშკორების და მოჯამაგირე კორესპონდენტების დარაზმვას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჩვენ ძალზე ცოტა გვაქვს გაკეთებული.

ადგილებზე ამჟამად დამთავრდა საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და მოჯამაგირეთა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადარჩევები, რომელიც ჩაატარა გაზეთ „სასოფლო მეურნეობის მუშა"-მ. ამ კამპანიამ ნათლად გამოამჟღავნა, რომ კედლის გაზეთები საბჭოთა მეურნეობებში მოწყვეტილი არიან მუშათა ფართო მასას და იმ ამოცანებს, რომელიც სდგას დღეს ყოველ საბჭოთა მეურნეობის წინაშე.

კედლის გაზეთების მუშაობაში მუშები ნაკლებად არიან ჩაბმული. ბაკურიანის სატყეო, სადაც 500 მუშა მუშაობს, მეურნეობის კედლის გაზეთის ძველ ნომრებში ერთ სიტყვას ვერ ნახავთ ბაკურიანის სატყეოზე, მუშების საჭირბოროტო საკითხებზე, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებაზე და სხვ. წინანდლის და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობების კედლის გაზეთები სრულიად არ აშუქებენ მეურნეობაში სოც-შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლის საკითხებს, მაშინ, როდესაც ორივე მეურნეობის მუშების 100 პროცენტმა თავი გამოაცხადეს დამკვრელებად. ასეთივე მდგომარეობაა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კედლის გაზეთში.

პარტხელმძღვანელობა სოფლად კედლის გაზეთებზე წინანდელთან შედარებით, გაუმჯობესდა, მაგრამ ზოგი პარტუჯრედი ჯერ კიდევ ვერ აფასებს სათანადოთ სოფლის მუშა-მოჯამაგირე კორესპონდენტთა მოძრაობას, მათ დარაზმვას კედლის გაზეთების გარშემო და დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან.

აი მაგალითიც: წნორის-წყალზე 200 სასოფლო მეურნეობის მუშა და მოჯამაგირე მუშაობს. მათ აქტივს სურვილი დაებადათ გამოეცათ კედლის გაზეთი, მაგრამ წნორის-წყლის პარტუჯრედის მდივანმა ამის ნება არ დართო. სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში შესასვლელ მოჯამაგირეთა მოსამზადებელ კურსების უჯრედის პ.მ. მდივანი აძლევს განკარგულებას კედლის გაზეთში ამოჭრან ის კარიკატურა, რომელიც მასზეა მოთავსებული. თელავის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, თავის „ბეჭდის დასმით" და ხელის მოწერის გარეშე კრძალავს სოფლიდან მუშკორის წერილის რედაქციაში გაგზავნას და სხვ.

ასე ესმით პარტიული ხელმძღვანელობა მუშსელკორთა მოძრაობაზე. ეს დამახინჯება პარტიის ხაზისა და თვითკრიტიკის აშკარად ჩახშობაა.

ყოველ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიასთან უნდა არსებობდეს მიღწევათა ბიურო, რომლის მიზანს შეადგენს მამხილებელ შენიშვნების გამოძიება. ასეთი ბიუროები საბჭოთა მეურნეობების ბევრ კედლის გაზეთებთან არ არსებობენ, ამის გამო კედლის გაზეთებში მოთავსებული წერილები უშედეგოთ რჩება, ხშირად მიღწევათა ბიუროს, არჩევენ მუშების საერთო კრებაზე. ასეთი ბიურო უკეთებს ცენზურას წერილებს და სხვ. ამავე დროს თითქმის არც ერთი კედლის გაზეთი არ აწარმოებს მუშკორთა აღრიცხვას, მათ სოციალური შემადგენლობის შესწავლას, მათში მასიურ მუშაობის გაშლას, თათბირების მოწვევას და სხვ.

საბჭოთა მეურნეობები პირველი დამხმარე უნდა იყვნენ კოლმეურნეობებისა. საბჭოთა მეურნეობის კედლის გაზეთებიც ამ მიზანს უნდა ანხორციელებდნენ. მაგრამ, ეს საკითხი მოუგვარებელია. საბჭოთა მეურნეობის კედლის გაზეთები არამც თუ ეხმარებიან კულტურულ საქმიანობაში კოლმეურნეობის კედლის გაზეთებს, არამედ შეჯიბრებაც კი არ არის გაშლილი ერთიმეორეში.

არ ექცევა აგრეთვე სერიოზული ყურადღება სოფლის მუშკორების დაწინაურებას, საბჭოთა მეურნეობებში. ამისათვის თავს არავინ იცხელებს. საბჭოთა მეურნეობის მუშებიდან ამა თუ იმ სამუშაოზე, ჯერ კიდევ არც ერთი მუშკორი არ არის დაწინაურებული. დროა ამ საკითხს მიექცეს ყურადღება.

საბჭოთა და სატყეო მეურნეობის კედლის გაზეთებს, მუშა-მოჯამაგირე კორესპონდენტთა აღზრდას და მათ დარაზმვას საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, მთავარი და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამას მოითხოვს ხუთწლიან გეგმის დაჩქარებით შესრულებისათვის ბრძოლა და ის ენტუზიაზმი, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა მეურნეობის მუშებში.

შ. ჯანგირიძე.

განვავითაროთ მეღორეობა

(კახეთი)

მესაქონლეობის აღდგენა განვითარებისათვის მთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარებასთან ერთად კახეთის ოლქში ეწყობა მესაქონლეობის ძლიერი საბჭოთა მეურნეობები. უკვე საკმაოდ ძლიერი და ორგანიზაციულად მტკიცე საბჭოთა მეურნეობები გვაქვს მეცხვარეობის დარგში. კერძოდ კახეთში მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში გაერთიანებულია 50.000 სული ცხვარი.

ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული კახეთის ოლქში მეღორეობის განვითარებას.

მეღორეობა კახეთში ძველადვე ითვლებოდა სას.-მეურნეობის ერთ ძლიერ დარგად. მის განვითარებისათვის კახეთში არსებობს ყველა საჭირო პირობები. შესაფერისი ჰავა, მეღორეობისათვის საჭირო საკვების დიდი მარაგი, ტყეთა სიმრავლე და სხვ.

საბჭოთა კავშირის სოფ. მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში მესაქონლეობის პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად მთელი თავისი სერიოზულობით წამოჭრილია საკითხი მეღორეობის და კერძოდ ბეკონის წარმოების განვითარების და გაძლიერების შესახებ.

მე-16 პარტყრილობისათვის წარდგენილ ამხ. იაკოვლევის თეზისებში ნათქვამია: „მეღორეობის ტრესტის ხაზით 1930-31 წლისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ღორების სასაქონლო გამოსავალი არა ნაკლებ 400.000 სულისა, 1931-32 წლისათვის არა ნაკლებ სამი მილიონი სულისა და 1932-33 წლისათვის არა ნაკლებ 7 მილიონი სულისა."

აქედან ნათლად სჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს მეღორეობის განვითარებას პარტია და ხელისუფლება.

მეღორეობის განვითარების დარგში სუსტად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სამეურნეო ორგანოების და კერძოდ სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო ცენტრების ხელმძღვანელობა. დღევანდლამდის კახეთში ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს არც ერთი კოლმეურნეობა მესაქონლეობის და კერძოდ მეღორეობის განხრით. ამ მხრივ უფრო მეტია გაკეთებული საბჭოთა მეურნეობების მიერ.

კახეთის საოლქო აღმასკომის სამეურნეო-საწარმოო ტრესტს ქიაურის საბჭოთა მეურნეობასთან მოწყობილი აქვს მეღორეობის სპეციალური საბჭოთა მეურნეობა.

მიმდინარე სამეურნეო წელს მიღებულ გრძელვადიან კრედიტის საშუალებით (80,000 მან.) კახეთის ტრესტმა შესძლო მეღორეობის მეურნეობისათვის მიეცა მძლავრი სამეურნეო-საწარმოო ერთეულის ხასიათი.

მეურნეობის გარშემო რამდენიმე ათეულ ჰექტარის ფართობზე მუხნარ ტყის არსებობა, შესაფერისი ჰავა და სხვა ადგილობრივი სპეციფიური პირობები სავსებით უზრუნველყოფენ აქ მეღორეობის განვითარებას.

სასურველია სათანადო უმაღლეს ორგანოების ყურადღების ცენტრში დაისვას ქიაურის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი, რათა კახეთში მეღორეობის განვითარება დაყენებული იქნეს მკვიდრ ნიადაგზე.

აქეთკენ მოგვიწოდებს ჩვენი პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის დასახული უახლოესი ამოცანები.

ვ. ქ.

ცდები თუთის ხისგან ხელოვნური აბრეშუმის მისაღებად

ა.-კ. მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის სამეცნიერო - საგამოკვლევო, ინსტიტუტი შეუდგა ცდების ჩატარებას თუთის ხის ქერქისაგან ხელოვნური აბრეშუმის მისაღებათ.

თუთის ხის ქერქისაგან დამზადებული ხელოვნური აბრეშუმი, რომელსაც „თუთის სელს" უწოდებენ, ჯერ ერთი ჯდება იაფი და მეორე — არაფრით განსხვავდება ნამდვილი აბრეშუმიდან.

ამიერ - კავკასიის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტმა მოსკოვიდან მოიწვია ხის ქერქისაგან ხელოვნური ძაფების მიღების საქმის ცნობილი სპეციალისტები — ქიმიკოსი პოტოპოვი და ინჟ. მიშინი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინსტიტუტში დაწყებული ცდების ჩატარებაში. ცდები მიზნად ისახავენ „თუთის სელის" მიღების ყველაზე უფრო ადვილ და იაფი ხერხის გამონახვას.

ცდების ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საქართველოს პირობებში, სადაც მეაბრეშუმეობა ფართოდაა გავრცელებული და სადაც ამის გამო თუთის პლანტაციებიც ბევრია. იმ შემთხვევაში, თუ ცდებმა დადებითი შედეგები მოგვცა, საქართველოს მეაბრეშუმეობას ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში ერთი - ორად გაიზრდება, რადგან ნამდვილი აბრეშუმს გარდა ყოველწლიურად იქნება მიღებული ხელოვნური აბრეშუმის იმდენი მარაგი, რომ დატვირთული იქნეს რამოდენიმე ახალი საქსოვი ფაბრიკა.

ბოსტნეულის და ხილის დამზადება ქუთაისის ოლქში საფრთხეშია

დამამზადებელ ორგანიზაციების სიმრავლე აძვირებს ბოსტნეულსა და ხილს.—დამზადება სწარმოებს ყოველგვარი გეგმის გარეშე. — საუკეთესო ხილს კერძო პირები ყიდულობენ იაფ ფასებში. — გადასაზიდ საშუალებათა უქონლობისა და რკინის გზის უთავბოლო მუშაობის გამო აუარებელი ხილი ლპება—არავითარი მუშაობა არ სწარმოებს ბოსტნეულისა და ხილის დასამზადებლად ზამთრისათვის. — დამამზადებელ აპარატში მავნე ელემენტებია მოკალათებულნი

როგორ სწარმოებს დამზადება

ქუთაისის ოლქში ამჟამად მზადდება ზაფხულის ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, და სხვ. უნდა ითქვას, რომ ხილის დამზადებაში მთელ რიგ უმსგავსოებას აქვს ადგილი. დამამზადებელი ორგანიზაციები ყოველგვარ გეგმის გარეშე მუშაობენ, ერთი მეორეს ეჯიბრებიან და ანარქია შეაქვთ დამზადების საქმეში. ხილის დამზადების ჩაშლას ერთი მეორეს აბრალებენ და იმის ძიებაში არიან, თუ ვინ იცნონ დამნაშავეთ. ყოველივე ამით სარგებლობენ კერძო ვაჭრები და ხილის ბაზარს იგდებენ ხელში.

„პრავდა"-ს და „კომუნისტი"-ს ბრიგადამ გამოიკვლია, ადგილობრივ მუშკორების დახმარებით, მოაწყო თავდასხმა ყველა იმ ორგანიზაციებზე, რომელთაც კავშირი აქვთ ბოსტნეულის და ხილის დამზადებასთან და მთელი რიგი უმსგავსოებანი აღმოაჩინა.

მთავარი დამამზადებელი ორგანიზაცია ქუთაისში არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რაიონული კავშირი, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული ა.-კ. „ბალბოსტანთან". რაიკავშირი დამზადებულ და დახარისხებულ ხილს აბარებს „ბალბოსტანს" ქუთაისის განყოფილებას, რომელიც გზავნის საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. არც რაიკავშირს და არც ბალბოსტანს, არ მოეპოვება ხილის დამზადების გეგმა, თუ გლეხი მიიტანს ხილს, რაიკავშირი მიიღებს მას, თუ არა და არავინ თავს არ იწუხებს გასცილდეს ქუთაისს და უშუალოდ, სოფლად მიყოს ხელი დამზადებას. ამით აიხსნება ის, რომ არის დღეები, როდესაც რაიკავშირი უფრო ნაკლებ ხილს ამზადებს, ვიდრე კერძო ვაჭრები. კერძო ვაჭრები ღამითვე გადიან ქალაქიდან, ქალაქში შემოსვლამდე გზაზე უხვდებიან ხილით დატვირთულ ურემს და საუკეთესო ხარისხის ხილს იგდებენ ხელში. კოოპერატიული დამამზადებელი ორგანიზაციები კი არხეინად გრძნობენ თავს და ელოდებიან გლეხებს. დამამზადებელი პუნქტები გვიან იხსნება, გლეხები მთელი ღამის განმავლობაში, დგანან რიგში და მეორე დღის 12 საათამდე ძლივს ღებულობენ ფულს. ასეთი სიძნელის გამო გლეხი იძულებული ხდება მიყიდოს ხილი კერძო ვაჭარს თუნდაც ნაკლებ ფასებში, ოღონდ ხილის ჩაბარებისთანავე მიიღოს ფული და გაბრუნდეს უკან.

სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება. რომ კერძო ვაჭარი უფრო იაფ ფასებში ყიდულობს ხილს, ვიდრე რაიკავშირი. მაგ.: ფასების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ რაიკავშირი შავქლიავს ყიდულობს გლეხებისაგან 4 მ. 4—80 კ. ფუთს, კერძო ვაჭარი კი 3 მ. 50 კაპ. პამიდორს რაიკავშირი ღებულობდა 16 მან. ფუთს, კერძო ვაჭარი კი 10 მანეთად. ასეთივე განსხვავებაა სხვა ხილეულობის ფასებშიაც. რაიკავშირის ფასებს ემატება კიდევ სხვადასხვა ზედნადები ხარჯები, „ბალბოსტანიც" თავის მხრივ უმატებს ფასს და მომხმარებელი კოოპერაცია გადიდებულ ფასში აწვდის მომხმარებელს ბოსტნეულსა და ხილს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხილეულობის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის არავითარი შეთანხმება არ არსებობს. როგორც ვთქვით ხილს ამზადებს რაიკავშირი, თბილისის მუშკოოპი, ბაქოს მუშათა კოოპერატივი, თავდაცვა-ავიაქიმი, საშეფო საზოგადოება და სხვ. უმაღლეს ორგანოების დადგენილებით კი ხილის დამზადებას უნდა აწარმოებდეს მხოლოდ „ბალბოსტანი", რაიკავშირების საშუალებით და თბილისისა და ბაქოს მუშათა კოოპერატივები. ამ დადგენილებას ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ ემორჩილებიან და ამიტომ [illegible] დამზადებული ხილის მეტი ნაწილი, გადასაგზავნ საშუალების უქონლობის გამო, ლპება და იკარგება.

რაიკავშირს, ქუთაისის ოლქში დამამზადებელი პუნქტები აქვს ქუთაისში, მუხიანში, ფარცხანაყანევში, გელათში, ორპირში, და [illegible]. ქუთაისში დამამზადებელი პუნქტები ცუდ ადგილას არის გახსნილი. მოთავსებულია, ისინი წითელ ხიდთან, ვიწრო დარიბებში, ბაზარი კი თითქმის ერთი ვერსით არის დაშორებული დამამზადებელ პუნქტს. ასე, რომ გლეხი ჩამოსვლისთანავე ხვდება კერძო ვაჭარს, რომელიც არჩევს კარგი ხარისხის ხილს, „ბალბოსტანს" ქუთაისის განაპირა უბანში, წყალტუბოს მიმართულებით გახსნილია ხილის დამამზადებელი პუნქტი, რომელიც დღემდე გამოყენებული არ არის, ვითომდა ტრანსპორტის უქონლობის გამო. ამგვარად შენობა, რომელიც 20.000 მანეთზე მეტი დაჯდა, მიტოვებულია.

ხილეულობის გადაგზავნის დეფექტები

ბოსტნეულობისა და ხილის წარმატებით დამზადება დიდათ არის დამოკიდებული ტრანსპორტზე, ამ მხრივ მდგომარეობა ქუთაისის ოლქში მეტად ცუდია.

არც ერთ დამამზადებელ ორგანიზაციას არ აქვს საკმაო გადასაზიდი საშუალება, „ყოველდღიურად „ბალბოსტანი" ქუთაისიდან გზავნის ორ ვაგონ ხილს, ამას გარდა ხილს უშუალოდ გზავნიან კიდევ თბილისისა და ბაქოს მუშათა კოოპერატივების წარმომადგენლებიც. ამ ხილის გადასაზიდათ რკ. გზის სადგურამდე საჭიროა არა ნაკლებ 20 ნახევრათ საბარგო ავტომობილისა. ქუთაისში კი არის სულ 2 ნახევრად საბარგო ავტომობილი და „საკავშირო სატრანსპორტო საზოგადოების" 20 ტაჩკა. ტრანსპორტის ეს რაოდენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ხილის გადატანა სადგურზე გვიანდება და ხშირად რჩება მეორე დღემდე. მეორე დღესაც რასაკვირველია, მეორდება ასეთივე მდგომარეობა და ამგვარად რამოდენიმე ვაგონი ხილი ფუჭდება.

დიდ უმსგავსოებას აქვს ადგილი რკინის გზაზე,—რკინის გზის ქუთაისის სადგურის უთავბოლო და უგეგმო მუშაობის გამო აუარებელი ხილი ფუჭდება. ხილეულობის გადასაზიდი იზოტერმიული ვაგონების მიწოდება არ არის მოგვარებული და ყუთებში გამზადებული ხილი რამოდენიმე დღის განმავლობაში აწყვია გარეთ მზეზე. არ არის საკმაო მტვირთავი მუშები (სულ 5 კაცია სადგურზე). ხშირად ერთი ვაგონის დატვირთვას მთელი დღე ჰგვიანდება. ეს კი დიდ ზიანს აყენებს ხილს. რკინის გზა უპირატესობას აძლევს კერძო პირებს, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხშირად უარს ეუბნებიან ვაგონის მიცემაზე, გარდა ამისა, კერძო პირებს რკინის გზა აძლევს უფლებას მონაწილეობა მიიღონ დატვირთვაში, კოოპერატიულ ორგანიზაციებს კი ამის უფლება არა აქვთ. ამგვარად კერძო სექტორი უფრო ჩქარა გზავნის ხილს, ვიდრე კოოპერატიული ორგანიზაცია. ამასთან ერთად რკინის გზა უფლებას აძლევს კერძო პირებს, სადგურ რიონში გახსნან დატვირთული ვაგონები და ჩატვირთონ კიდევ თავიანთი ხილი. ამის გამოც ბრკოლდება კოოპერატიული ორგანიზაციების ხილის თავის დროზე გადაგზავნა.

ხშირი შემთხვევაა, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციების ვაგონებს ხსნიან მატარებლიდან და სტოვებენ. კერძო ვაჭრებისას კი პირველ რიგში გზავნიან. საერთოდ სად. რიონი, ხილის გაგზავნის მთავარი დამაბრკოლებელი პუნქტია კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის. ამას წინად სადგ. ქუთაისში მოვიდა 2 ვაგონი ხილის დასატვირთავად. როდესაც გახსნეს ვაგონები აღმოჩნდა, რომ ორივე ვაგონი ხილით იყო სავსე. ერთი ვაგონი დატვირთული იყო საჯევახოში, მეორე კი იანეთში და იგზავნებოდა თბილისში. ამ უთავბოლობის გამო იმ დღეებში 2 ვაგონი ხილი გაფუჭდა ქუთაისში, ხოლო თვით ხსენებულ ვაგონებშიც ხილი უკვე ლპებოდა.

ყველა ამ მიზეზების გამო ბალბოსტნეულობის დამზადება როგორც ზაფხულში, ისე ზამთრის პერიოდისათვისაც, საფრთხეშია. ამ თავითვე უნდა მივიღოთ ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ტარა

თითქმის, ასეთივე გაუგებრობა და უგეგმობაა ტარის დამზადების დარგშიაც. ხელშეკრულების თანახმად ტარას ამზადებს ა.-კ. „ბალბოსტანი"—და აწოდებს რაიკავშირს.

ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების ცნობით, „ბალბოსტანს" უკანასკნელ დრომდე არ ჰქონდა საკმაო ტარა, რის გამო აუარებელი ხილი გაფუჭებულა. ამჟამად ტარა თითქო საკმაოა, მაგრამ არ არის გამოყენებული რაციონალურად. მაგ.: რაიკავშირი განუწყვეტელ ჩივის ტარის ნაკლებობაზე, ხოლო ამავე დროს კი რაიკავშირის ერთ ერთ დამამზადებელ პუნქტის სარდაფში, რამოდენიმე ასეული ყუთისათვის დახერხილი და გამზადებული ფიცარი ნესტისაგან ლპება. საწყობის ეზო შემოღობილია უმთავრესად საყუთე მასალით. რკინის გზაც დიდ გულგრილობას იჩენს ტარის მოვლა-პატრონობაში, იმტვრევა აუარებელი ყუთი ცუდი მოპყრობის გამო. მაგ.: ორპირში ტარით დატვირთულ 4 ვაგონს სცლიდა ერთი მუშა, იმისათვის, რათა მალე დაეცალა ვაგონები, მუშა ცარიელ ყუთებს ერთი მეორეზე მიყოლებით ისროდა ვაგონიდან, ამის გამო ყუთების თითქმის 30 პროც. დაიმტვრა. ბრიგადამ გამოარკვია, რომ ორპირის დამამზადებელ პუნქტს, სადგურის უფროსი არ აძლევს უფლებას მოიყვანოს თავისი მუშები ვაგონების გადმოტვირთვის დასაჩქარებლად. ასეთივე მდგომარეობაა სად. გელათშიაც.

დიდი ნაკლებობაა ლურსმანის. ლურსმანის სიმცირე აბრკოლებს ხილის დამზადებას. გარდა ამისა ბევრგან (მუხიანი, ფარცხანაყანევი) ლურსმანს არა ეკონომიურად ხმარობენ, საკმაო ნაწილი მიწაზე იყრება და არვინ აგროვებს მათ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

მზადება ზამთრის სეზონისათვის არ სწარმოებს

მალე დაიწყება ზამთრისათვის ბალბოსტნეულის დამზადება. ამჟამად გაცხოველებული მოსამზადებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს, მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ქუთაისის თითქმის არც ერთ ორგანიზაციას, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია. თვით ქუთაისის ვაჭრობის მომწესრიგებელ საოლქო განყოფილების გამგემ, ბრიგადას განუცხადა, რომ ზამთრისათვის ჯერ-ჯერობით არავითარ მუშაობას არ ვაწარმოებთ და არც ვფიქრობ რამეს ამ საკითხზე, რადგან ჩვენ ჯერ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ნაადრევ ხილის დამზადებასო.

ა.-კ. „ბალბოსტანის" მოთხოვნილებით ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველო ბიუროს ოქტომბრის რაიონში —ორპირში უნდა აეშენებინა ერთი სახმობი ქარხანა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა. ორპირში ღია ცის ქვეშ ჰყრია სახმობის ასაშენებელი მასალა, რომლის ნაწილიც დამსხვრეულია. ქუთაისის არც ერთ ორგანიზაციამ არ იცის ვისია ეს მასალა და რისთვის ყრია იქ. უკვე თვეა, რაც აღნიშნული მასალა ყრია ღია ცის ქვეშ და უპატრონოთ ლპება. ასევე უყურადღებოთ და უპატრონოთ ყრია ხე-ტყის მასალა ქუთაისის განაპირა უბანში, ახლად აშენებულ საწყობის მახლობლად. მოუწყობელია და მოუგვარებელია აგრეთვე ზოგიერთი დამამზადებელი პუნქტებიც. ბალბოსტნეულობის დამზადება უმთავრესად რაიკავშირის საშუალებით ხდება. უკანასკნელი კი არავითარ მოსამზადებელ მუშაობას არ აწარმოებს ზამთრის სეზონისათვის. ამას აქედანვე უნდა მიექცეს ყურადღება, რათა ზამთრისათვის ბოსტნეულისა და ხილის დამზადების კამპანია არ ჩაიშალოს.

როგორ იყენებენ მუშათა ბრიგადებს

მუშათა ბრიგადების ამოცანაა გაუწიოს მასიური კონტროლი ამა თუ იმ ორგანიზაციას და დაეხმაროს მას არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. სამწუხაროდ ეს ამოცანა არა აქვთ შეგნებული ზოგიერთ ორგანიზაციების პასუხისმგებელ მომუშავეებსაც კი. თბილისის მუშკოოპს, საქართველოს პროფსაბჭოს ყოფა-ცხოვრების სექტორთან შეთანხმებით ქუთაისში გაუგზავნიათ მუშათა ბრიგადა, ბრიგადა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. იგი არ მუშაობს თავის დანიშნულებისამებრ, არამედ გადაქცეულია თბილისის მუშკოოპის დამამზადებლად და ასრულებს მუშკოოპის სხვადასხვა დავალებებს. „პრავდა" და „კომუნისტი"-ს ბრიგადის ქუთაისში ყოფნის დროს, მუშკოოპის წარმომადგენელი არ იყო ქუთაისში. დამზადებას აწარმოებდა მუშათა ბრიგადა, მუშკოოპის წარმომადგენელი კი ამ დროს თბილისში დასეირნობდა. მუშათა ბრიგადის ასე გამოყენება დაუშვებელია, რაც აუცილებლივ უნდა იცოდეს მუშკოოპის გამგეობამ.

დამამზადებელ აპარატში საეჭვო პირები არიან მოკალათებული

როგორც ზევით აღვნიშნეთ ბალბოსტნეულობის დამზადებას აწარმოებს ა.-კ. „ბალბოსტანი" რაიკავშირის საშუალებით. „ბალბოსტანი" აშენებს საწყობებს და ამარაგებს დამამზადებელ პუნქტებს საყუთე მასალით, — ტარით, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება „ბალბოსტანის" მოვალეობა. იგი ვალდებულია აგრეთვე შეისწავლოს ბაზრის მდგომარეობა, გამოიკვლიოს როგორ მუშაობას აწარმოებს რაიკავშირი გლეხობაში „ბალბოსტანის" მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად, აღმოაჩინოს ახალი ხილეულობის რაიონი და მოაწყოს იქ დამამზადებელი პუნქტები, ფართოთ გაშალოს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა და სხვ. ასრულებს თუ არა „ბალბოსტანი" ამ ამოცანას? უნდა ითქვას, რომ არა, „ბალბოსტანი" ვერ უძღვება ამ საქმეს და ეს იმიტომ, რომ „ბალბოსტანის" აპარატი სავსეა ასეთი ხალხით, რომელთაც მივლინებებისა და ფულის აღების გარდა არაფერი აინტერესებთ. მივლინებები ცენტრიდან რაიონებში ძალიან ხშირია, მაგრამ მივლინებაში მყოფნი თითქმის მთელ დროს ქუთაისში ატარებენ მაგ.: „ბალბოსტან"-ის გამგეობის ერთი ერთი წევრი, დადიანი, განუწყვეტლივ მივლინებაშია და მაინც არ იცის თუ რა ხდება დამამზადებელ პუნქტებში და საერთოდ ხილის ბაზარზე. ბრიგადას მიაწოდეს ცნობები, რომ დადიანი ქუთაისში ჩასვლისას, უფრო მეტ დროს ქეიფობაში ატარებს.

„ბალბოსტანის" აპარატში მრავლად შეხვდებით დადიანს მსგავს „სპეცებს", რომელთაც „ბალბოსტანის" პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა ვერ ელევიან.

ქუთაისის რაიკავშირშიც საკმაოდ მოიპოვება ყოფ. ვაჭრები, გაფლანგველები და სხ. ანტისაბჭოთა ელემენტები. ყველა ამათგან ბალბოსტნეულისა და ხილის დამამზადებელი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს.

დასკვნა

ბოსტნეულისა და ხილის დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობა უგეგმოთ სწარმოებს, დამამზადებელ ორგანიზაციების რიცხვი უნდა შემცირდეს. „ბალბოსტანი"-ს გამგეობამ მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ადგილებზე თავის აპარატს, დამამზადებლმა ორგანიზაციებმა არ უნდა განსაზღვრონ თავიანთი მუშაობა დამზადების მარტო ტექნიკური ოპერაციებით, არამედ სათანადო მუშაობა უნდა გაშალონ გლეხობაში ხილის მოშენების, მოვლის და დამზადების გაუმჯობესებისათვის. დამამზადებელი აპარატი უნდა გაიწმინდოს მავნე და უსაქმურ ელემენტებისაგან და მოხდეს მისი [illegible].

ბოსტნეული და ხილის დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობას ხელს უშლის ამ საქმის მცოდნე პირთა სიმცირე, რისთვისაც ქუთაისში ან მის ახლო, გახსნილი უნდა იქნას კურსები ამ დარგისათვის საჭირო მუშაკთა მოსამზადებლად.

უნდა მოწესრიგდეს ბოსტნეულისა და ხილის დასამზადებელი ფასები და მაქსიმალურად შემცირდეს ზედნადები ხარჯები. სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული გადასაზიდ საშუალებათა თავის დროზე და საკმაო რაოდენობით მისაწოდებლად დამზადების ადგილებზე.

რკინის გზის გულგრილ დამოკიდებულებას ბოსტნეულისა და ხილის გადაზიდვისადმი ბოლო უნდა მოეღოს. რკინის გზის სადგურებზე ხილის გაჩერებისათვის დამნაშავე პირები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

საჭიროა აქედანვე მოხდეს გარდატეხა ზამთრისათვის მზადებაში, რათა არ ჩაიფუშოს ბოსტნეულისა და ხილის დამზადების გეგმა.

გაზ. „პრავდა"-ს და „კომუნისტი"-ს ბრიგადა

მ. კნიაჟიცკი, ვ. ნანუაშვილი.

„ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში"

ახალი სესხის მიზანი და დანიშნულება

სესხები უდიდეს როლს თამაშობენ სოციალისტურ მშენებლობაში. საკმაოა აღინიშნოს, რომ 1929-30 წ. სესხებმა სახალხო მეურნეობას უნდა მისცენ 1.335 მილიონი მანეთი, კაპიტალური მშენებლობის ხარჯები კი მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში, სახელმწიფო ბიუჯეტით, შეადგენს 8.800.000 მანეთს, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ყოველი სამი ფაბრიკიდან, რომელიც ბიუჯეტის ხარჯზე შენდება, ერთი შენდება სესხების საშუალებით შეკრებილი თანხების ხარჯზე.

სწორედ ამ უდიდესი როლის გამო სახელმწიფო სესხები მხურვალე გამოხმაურებას პოულობენ მშრომელ მასებში. ასე, მაგალითად, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი გამოშვებულ იქნა 750.000.000 მანეთის თანხით, მაგრამ რეალიზაცია იმდენად წარმატებით მიმდინარეობდა, რომ მთავრობა ორჯერ შეიქნა იძულებული გაედიდებია მისი თანხა და 950.000.000 მანეთამდე აეყვანა იგი. შემდეგ, წარსულ წელში, დამკვრელთა საკავშირო ყრილობაზე წამოყენებული იქნა ლოზუნგი: „ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში". ამ ლოზუნგის პრაქტიკულად განსახორციელებლად მუშათა კლასი ანვითარებს სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობას. ამავე მიზნით საბჭოთა კავშირის უდიდესი სამრეწველო საწარმოების მუშებმა წამოაყენეს იდეა ახალი სესხის გამოშვებისა სახელწოდებით—„ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში".

ამ იდეის წამოყენებასთან ერთად, პროლეტარიატის მოწინავე ნაწილმა მთავრობას მისცა ნაკაზი სესხი გამოეშვა ისეთ პირობებში, რომლებიც: 1) უზრუნველჰყოფდნენ მთავრობისათვის ნასესხები თანხების ხანგრძლივობას და 2) გაადვილებდნენ და გააიაფებდნენ ობლიგაციების მეპატრონეთა მომსახურებას.

ცნობილია, რომ ფაბრიკის ან ქარხნის აგება მოითხოვს საკმაო დროს—ორ-სამ წელიწადს, ზოგჯერ მეტსაც. აშკარაა, რომ სესხები ვერ შეასრულებენ თავის მთავარ დანიშნულებას, თუ სახელმწიფოსათვის ნასესხები ფული ვადაზე ადრე იქნება წაღებული უკან.

სესხი უნდა იყოს გრძელვადიანი. სახელმწიფოსათვის ნასესხები თანხის ვადამდე ადრე წაღება უკან საზიანოა, რადგან ჩაფუშავს უქადის სამეურნეო მშენებლობის ყველა გეგმებს. უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ მშრომელთა ოჯახში არიან პირები, რომელთაც არ ესმით სესხების როლი ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში ან თავიანთ პირად ინტერესებს მთელი მუშათა კლასის ინტერესებზე მაღლა აყენებენ და ვადამდე ადრე ჰყიდიან ობლიგაციებს. ამ მოვლენით შეშფოთებულმა პროლეტარიატის მოწინავე ფენებმა წინადადება მისცეს მთავრობას—დააწესოს თვით მშრომელთა საზოგადოებრივი კონტროლი ობლიგაციების მოხმარებაზე.

მშრომელებს აქვთ ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის, გლეხის მეურნეობის განმტკიცების და, ბოლოს, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები, იმართება თითეული ამ სესხის ტირაჟი, იბეჭდება სატირაჟო ცხრილები და სააგიტაციო ლიტერატურა. მშრომელი, რომელსაც აქვს რამდენიმე სესხის ობლიგაცია, იძულებულია თვალყური ადევნოს მრავალრიცხოვან ტირაჟებს, თვალყური ადევნოს პროცენტების დროზე მიღებას და სხვ. ყველაფერი ეს აბრკოლებდა ყველა იმ სარგებლობის გამოყენებას, რომელთაც მშრომელებს აძლევს ობლიგაციები და აძვირებდა სახელმწიფო სესხებს. სწორედ ამიტომ წარმოიშვა მშრომელთა განკარგულებაში მყოფ ყველა ობლიგაციების ახალი სესხის ობლიგაციებზე გადაცვლის აზრი.

მოწინავე პროლეტარების მიერ გამოთქმულმა ყველა ზემოხსენებულმა მოსაზრებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს 1930 წ. 23 თებერვალს გამოცემულ კანონში ახალი სესხის—„ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში"—გამოშვების შესახებ.

სესხების გრძელვადიანობის საკითხი წყდება ქალაქად და სოფლად, ყველა საწარმოებთან და დაწესებულებებთან, ხელის შემწყობი კომისიების დაარსებით. ეს კომისიები, რომელთა თვით ამა თუ იმ კოლექტივში შემავალი მშრომელები ირჩევიან, თითეულ ცალკე შემთხვევაში სწყვეტენ ობლიგაციის პატრონის მიერ თავისი ობლიგაციების გაყიდვის, თუ დაგირავების საკითხს. ხელისშემწყობ კომისიას, რომელიც კარგად იცნობს ობლიგაციების ამა თუ იმ მეპატრონეს მატერიალურ მდგომარეობას, შეუძლია ჩქარა და სწორად გამოიტანოს გადაწყვეტილება მიღებულ განცხადებების შესახებ.

1930 წ. 23 თებერვლის კანონი ითვალისწინებდა ინდუსტრიალიზაციის სამივე სესხის ობლიგაციების გადაცვლას ახალ სესხზე. მაგრამ, ვინაიდან ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი იმავე პირობებშია გამოშვებული, როგორც ახალი სესხი, ამიტომ ახალ სესხზე გადაცვლილი უნდა იქნას მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის და აგრეთვე გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები. ობლიგაციების გადაცვლა შეიძლება მხოლოდ 1931 წ. 1-ლ იანვრამდე, ვინაიდან ამ ვადის შემდეგ წყდება პროცენტების დარიცხვა გადაუცვლელ ობლიგაციებზე და აგრეთვე მოგებათა გაცემა. მაშასადამე, ობლიგაციების გადაცვლა 1931 წლის 1 იანვრამდე ობლიგაციების პატრონისათვის უზრუნველჰყოფს იმ სარგებლობას, რომელიც მას ჰქონდა წინათ. ახლა მას აღარ მოუხდება თვალყურის დევნება მოგებათა მრავალრიცხოვანი ცხრილებისათვის, რომლებშიც გამოუცდელი კაცი ადვილად დაიბნეოდა და სხვ.

ახალი სესხის ობლიგაციების ნაწილი დანიშნულია ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გადასაცვლელად, მეორე ნაწილი კი—მშრომელთა შორის გასანაღდებლად უახლოესი ორი წლის განმავლობაში, მთავრობა განსაკუთრებული დეკრეტით დააწესებს, თუ რა თანხის სესხი იქნას გამოშვებული 1930-31 წელს და რამდენი—1931-32 წელს. ახალი სესხის გამოშვებული იქნება 10 წლის ვადით, მაგრამ მისი ნაწილობრივ დაფარვა დაიწყება ბევრად უფრო ადრე, პირველივე ტირაჟებიდან. საქმე იმაშია, რომ ყოველ წელიწადს გაიმართება ოთხ-ოთხი ტირაჟი (გარდა უკანასკნელი წლისა, როცა გაიმართება მხოლოდ ორი ტირაჟი), სულ 38 ტირაჟი. სახელმწიფო ანაღდებს, როგორც მოგებას, ისე მომგებიანი ობლიგაციის მთელ ღირებულებას (ობლიგაცია ღირს 50 მანეთი). რათა გლეხებსა და დაბალ ხელფასიან მუშებს მიეცეს ობლიგაციების შეძენის საშუალება, ობლიგაციების ნაწილი გამოშვებულია 25 მ., 5 მ. და 2 მან. 50 კაპ. ღირებულების (2 მ. 50 კ.) ობლიგაციები გამოშვებულია მხოლოდ და მხოლოდ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციებზე გადასაცვლელად.).

ახალი სესხი წლიურად 10 პროც. სარგებელს იძლევა, იგი იქნება ორი სახის: პროცენტიან-მომგებიანი და უპროცენტო-მომგებიანი. პროცენტიან-მომგებიანი სესხით ობლიგაციების პატრონი 6 პროც. მოგებას წლიურად მიიღებს კუპონებით და სესხის რეალიზაციით შემოსული მთელი თანხის 4 პროც. გადახდილ იქნება მოგებათა სახით, უპროცენტო-მომგებიანი სესხის მიხედვით კი მთელი 10 პროცენტი გადახდილი იქნება მოგებათა სახით. უპროცენტო სესხის მიხედვით მოგებათა შანსი 2 ნახ. მეტია, ვიდრე პროცენტიანი სესხით.

ახალი სესხის რეალიზაცია და წინანდელი სესხების ობლიგაციების გადაცვლა ახალი სესხის ობლიგაციებზე დაიწყო 15 ივლისიდან. ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა დამკვრელი ტემპები უნდა განავითარონ ახალი სესხის რეალიზაციის დროს. სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მშრომელებმა შეიძინონ ახალი სესხის ობლიგაციები, ყოველმა მშრომელმა სახელმწიფოს უნდა ასესხოს ორი კვირის ხელფასი.

ახალ სესხზე ხელის მოწერით ჩვენ ვაჩქარებთ საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო ძლიერებას და უზრუნველვყოფთ ხუთწლიანი გეგმის ნამდვილად შესრულებას ოთხ წელიწადში.

გ. ს.

სესხის რეალიზაცია ადგილებზე

ქუთაისი, 17 ივლისი. ქალაქში დაიწყო სესხზე „ხუთწლედი—4 წელიწადში" ხელის მოწერის კამპანია. მაგრამ თბილისიდან დღემდე არ არის მიღებული არც ხელმოწერის ფურცლები, არც საგიტაციო მასალა და არც პლაკატები ქართულ ენაზე.

ხელის მოწერის კამპანია ქალაქში გასტანს 30 ივლისამდე, სოფლებში—15 აგვისტომდე.

მოსამზადებელი მუშაობა ლენრაიონში საუკეთესოდ არის ჩატარებული

17 ივლისს შესდგა ლენრაიონის პარტუჯრედის, პროფაქტივის და სესხის ხელის შემწყობ კომისიების წარმომადგენელთა პარტიული თათბირი, რომელზედაც ახალი სესხის —„5 წლედი ოთხ წელში" — შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. შონიამ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ ლენრაიონში ობლიგაციების გაყიდვა - დაგირავებაზე მასიური კონტროლი ყველაზე უკეთ არის დაყენებული. თითეული განცხადება ობლიგაციების გაყიდვა - დაგირავების შესახებ აქ განსახილველად გადააქვთ მთელი კოლექტივს, ან ცალკე ცეხის საერთო კრებაზე. ეს ზომა საგრძნობ დადებით შედეგებს იძლევა, უზრუნველჰყოფს ობლიგაციების მხოლოდ მძიმე გაჭირვების დროს გამოყენებას და მასიურ კონტროლს სათანადო სიმაღლეზე აყენებს. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაიონს სახელმწიფო სესხების საქმეში აკლია მუდმივი ხელმძღვანელობა, რაც ფინსახკომის სისუსტეთ უნდა ჩაითვალოს. გამოირკვა, რომ ფინსახკომის მიერ დამზადებული და ადგილებზე დაგზავნილი მასალა ლენრაიონს ჯერაც არ მიუღია.

მიუხედავად ამ დეფექტებისა მოსამზადებელი მუშაობა ლენრაიონში საუკეთესოდ არის ჩატარებული. თითეულ ცალკე კოლექტივს დამუშავებული აქვს ახალი სესხის რეალიზაციის მიზნები და ამოცანები. ეს მთლიანად რაიკომს უნდა მიეწეროს, რომელმაც სესხის საკითხს თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია.

„ორი კვირის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად"

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის და სამრეწველო ბანკის თანამშრომელთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. გრიგოლიას მოხსენება ახალი სესხის რეალიზაციის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა მუშა-მოსამსახურეთა მთელმა 100 პროცენტმა მოაწეროს ხელი ახალ სესხზე ორი კვირის ხელფასის რაოდენობით. გარდა ამისა კრებამ დაადგინა ხსენებულ დაწესებულებების თანამშრომლებმა უკლებლივ და მაქსიმალურად ჩაებან რეალიზაციის კამპანიაში, კრებამ სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატი და თბილისის ყველა საკრედიტო დაწესებულებები.

—:—

ერთი თვის ხელფასი

ახალ სესხზე „ხუთწლედი ოთხ წელიწადში" ვადაზე ადრე ვაწერ ხელს ერთი თვის ხელფასის ოდენობით და ვიწვევ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყველა თანამშრომლებს.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს საცდელ კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი

მ. მარქაროვი.

პურის წიგნაკების აღრიცხვით გამოწვეული შეცდომები უნდა გამოსწორდეს

ერთი კვირაა თბილისში სწარმოებს პურის წიგნაკების ხელახალი აღრიცხვა. ამ სამუშაოს ჩასატარებლად შრომის ბირჟიდან გამოწვეული იქნა უმუშევრები. სამწუხაროთ ყველა მათგანმა ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა ისე, როგორც ეს საჭირო იყო. ბევრი მოქალაქე სავსებით გამოტოვებულია აღწერიდან. ბევრ ოჯახებში არც კი მისულან აღმრიცხველები. აღრიცხვის გარეშე დარჩენილ მოქალაქეებმა თვით უნდა მიმართონ სამილიციო რაიონებში არსებულ პუნქტებს თავიანთ რაიონში და გაატარონ წიგნები აღრიცხვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე დღის შემდეგ აღრიცხვაზე გაუტარებელ წიგნაკების მფლობელნი სურსათ-სანოვაგეს ველარ მიიღებენ. სარაიონო პუნქტებში მორიგეობენ სათანადო მოხელენი, რომლებიც აწარმოებენ წიგნაკების აღრიცხვას.

ზოგიერთმა აღმრიცხველმა მომხმარებლებს პურის წიგნაკები ჩამოართვა უკანონოდ, ბევრმა შესცვალა ერთი ლიტერი მეორეზე დაუსაბუთებლად, ზერელედ. ამ გარემოებამ გამოიწვია საქმის გართულება და კომისიის წევრები იძულებული არიან გამოასწორონ ჩადენილი შეცდომები. დაახლოებით ჩამორთმეულია 1000-მდე წიგნაკი, მაგრამ აქედან უმრავლესობა უკანვე დაუბრუნდება მეპატრონეებს.

მიუხედავად შეცდომებისა, წიგნაკების აღრიცხვამ ბევრი სიყალბე და უკანონობა გამოაშკარავა, მრავალია შემთხვევა ყალბი წიგნაკების, არის შემთხვევები, რომ პურის წიგნაკები აღმოჩნდა არა მშრომელ ელემენტებსაც. ჯერ კიდევ შეუძლებელია საბოლოოდ ამის გამორკვევა, მაგრამ შეიძლება ეხლავე ითქვას, რომ პურის წიგნაკების აღრიცხვამ მოიტანა მრავალმხრივ სარგებლობა. გარდა იმისა, რომ შესამჩნევად შემცირდება პურის წიგნაკების რიცხვი და მოხდება სანოვაგის მომჭირნეობა, აღრიცხვამ სისწორეში მოიყვანა და აღადგინა საბინაო დავთრები. ბევრ სახლში არ აღმოჩნდა საბინაო დავთარი სათანადოთ შევსებული, ბევრი მოქალაქე, როდესაც მიდის თბილისიდან, ან უკანვე ბრუნდება, არ იწუხებს თავს საბინაო დავთარში ჩასაწერად.

განსაკუთრებით ბევრია შემთხვევა, როცა ოჯახის წევრები გადიან ქალაქიდან სოფლად და ამან გამოიწვია პურის წიგნაკების ჩამორთმევა. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა ბევრი მუშა ზაფხულობით აგზავნის ცოლ-შვილს სოფლად, მაგრამ პურს, შაქრის და სხვა სანოვაგეს უგზავნის მათ თბილისიდან. აღმრიცხველებმა ასეთებს ყველას ჩამოართვა წიგნაკები და მისცა მხოლოდ იმდენი სულის, რამდენიც ქალაქშია ამჟამად. რა თქმა უნდა ჩამოსვლისას, ოჯახის წევრებიც მიიღებენ წიგნაკებს, მაგრამ ისმის საკითხი: რათ უნდა იზარალოს მუშამ იმიტომ, რომ მან სოფელში გაგზავნა ცოლ-შვილი? რათ უნდა დაეკარგოს მას თავისი ულუფა? ამ გარემოებას მთავარმა კომისიამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. აღწერას არ ჰქონია მიზნად შეავიწროვოს და წაართვას მშრომელ მოსახლეობას პური და შაქარი, არამედ აღწერის მიზანი იყო „მკვდარი სულების" და ყალბი წიგნაკების აღმოჩენა. ასეთები მრავალი აღმოჩნდა. მიზანი მიღწეულია და ამიტომ მუშა-მოსამსახურეთ არავითარი სანოვაგე არ უნდა დააკლდეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას დროებით ცოლ-შვილი თუნდაც ჰყავდეს სოფელში გაგზავნილი.

ძველი მუშა.

ქრონიკა

საქართველოს კურორტებზე

უკანასკნელი კვირის განმავლობაში საქართველოს კურორტებმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. საცხოვრებელი ბინების კრიზისი უკვე შესამჩნევი გახდა თითქმის ყველა კურორტებზე.

საქართველოს კურორტებზე დიდძალი მოაგარაკეები მოამგზავრებიან მეზობელ რესპუბლიკებიდანაც.

კაოლინის ბუდობების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის გეოლოგიური სამმართველოს ტეხნიკოსთა პარტიამ დაამთავრა კაოლინის (თიხისა, საიდანაც ფაიფურს ამზადებენ) ბუდობების წინასწარი გამოკვლევა სოფ. ზარათის მახლობლათ (ყოფ. ქუთაისის მაზრა).

კაოლინის ფენებიდან ამოღებული ნიმუშები ჩამოტანილია თბილისში ლაბორატორიული ცდების მოსახდენად.

თბილისის ალმასკომში

◆ **თბილისის საბჭოს სექციათა ჯგუფები წარმოებებთან.** თბილისის ალმასკომის საორგანიზაციო განყოფილებამ დაიწყო მუშაობა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებთან თბილისის საბჭოს სექციათა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად. ჯგუფების ჩამოყალიბება უნდა დამთავრდეს ოქტომბრისათვის. ჯგუფების მიზანია სექციების მუშაობისათვის ხელის შეწყობა.

◆ **სამკითხველოები პიონერთა ბანაკებში.** თბილისის პოლიტგანმა გახსნა სამკითხველოები თბილისის ოლქში მოწყობილ პიონერთა ყველა ბანაკებში.

განათლების კომისარიატში

◆ **სამზადისი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოსაღებად.** განათლების კომისარიატი შეუდგა მოსავლის წინასწარ დამუშავებას საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ.

◆ **სტიპენდიები დუხობორების შვილებს.** განათლების კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, რომ მოსწავლე დუხობორების შვილებისათვის სასტიპენდიო ფონდიდან გამოყოფილ იქნეს 15 სტიპენდია.

სხვადასხვა

◆ **ავტო-სარემონტო ქარხანა.** „სოიუზტრანსის" თბილისის განყოფილებამ შეადგინა გეგმა თბილისში ახალი ავტოსარემონტო ქარხნის ასაგებათ. ქარხანა აიგება დიდუბეში.

◆ **ქინა-ქინის ხეების კულტურა.** გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტმა საქართველოში მიავლინა პროფ. კერნი ქინა-ქინის ხეების კულტურის გაფართოების საკითხის შესასწავლად.

◆ **ოქროს საძიებელი სამუშაოები ბორჩალოში.** ბორჩალოში მუშაობს ფერადი ლითონების საკავშირო გაერთიანების ექსპედიცია გეოლოგ კურუკის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია იკვლევს ოქროს დამუშავების შესაძლებლობას ბორჩალოს მდინარეების კალაპოტში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სასოფლო მოძრავი თეატრი გორის ოლქში.** გორის საოლქო ალმასკომმა მოაწყო სასოფლო მოძრავი თეატრი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. თეატრის წარმოდგენებს აურაცხელი გლეხობა ესწრება. თეატრს ხელმძღვანელობს ამხ. გ. ბუხნიკაშვილი.

◆ **თურქული მოძრავი თეატრი.** ცეკავშირის მიერ მოწყობილი თურქული მოძრავი თეატრი ამ დღეებში სამუშაოდ მიემგზავრება ბორჩალოს და ყარაიას რაიონებში.

—:—

„პროლეტარული მწერლობა"

დაიბეჭდა და გამოვიდა ჟურნალ „პროლეტარული მწერლობა"-ს № 6, ივნისი 1930 წ. შინაარსი: **პ. ჩხიკვაძე**—სართულები (რომანი). **პ. მ. საყვარელიძე**—დღენი და წლები (წიგნი პირველი) **კ. ლორთქიფანიძე**—საპასუხო სიტყვა (ლექსი), **ე. პოლუმორდვინოვი**—ჭიათურა (ნარკვევი) **მიხ. ჩიქოვანი**—ორი თვე (ნარკვევი), **ბენ. ბუაჩიძე**—პროლეტარული ლიტერატურის რიგების გადასახლებისათვის, **შ. რადიანი**—პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორია და მარქსიზმი, **გ. ნატროშვილი**—იმერეთის სერვანტესი (დ. კლდიაშვილი) ბიბლიოგრაფია.

მორიგი გამარჯვება კულტურულ ფრონტზე

1920 წელს, დიდი მიწისძვრის დროს, ქ. გორში, სხვა შენობასთან ერთად, დაინგრა გორის თეატრის საზამთრო და საზაფხულო შენობა.

საბჭოთა ხელისუფლება 1921 წლიდან შეუდგა ზრუნვას თეატრის მოსაწყობად, მაგრამ ამ საქმეს წინ ელობებოდა საჭირო თანხების უქონლობა. ამავე დროს გორის მშრომელები თეატრის უქონლობის გამო მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ კულტურულ გართობას და საზრდოს. თბილისის თეატრებიც ვეღარ მიდიოდნენ საგასტროლოდ გორში, რადგან მუშათა კლუბის ერთად ერთი სცენა ძლიერ პატარაა და შეუძლებელი იყო იქ პიესების დადგმა.

გორის საზაფხულო თეატრის შენობა

ახალი თეატრის აგება და მოწყობა ითავა გორის ქალაქის საბჭომ საოლქო ალმასკომის დახმარებით. ქალაქის საბჭომ მოიმარაგა საჭირო მასალა და შეუდგა თეატრის აგებას.

ახალი საზაფხულო თეატრის გახსნა შესდგება დღეს, 19 ივლისს.

ახალი თეატრი ლამაზად არის მოწყობილი. პარტერი ფართოა, სცენის მოწყობილობა იძლევა საშუალებას დაიდგას რთული პიესები.

გორის თეატრის გახსნა წარმოადგენს საქართველოს მშრომელთა მორიგ გამარჯვებას კულტურულ ფრონტზე. ამიერიდან გორი უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი თეატრით, რომელიც შეუწყობს ხელს გორის მშრომელი მოსახლეობის კულტურულ წინსვლას და მათ გათვითცნობიერებას.

ელ.

კავკასიის მშრომელ ქალთა თათბირი

ქალთა გასამხედროების საკითხებზე

თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა ცალკე ეროვნებათა მშრომელ ქალებში

ამხ. კოკორინის მოხსენების შემდეგ, თათბირმა მოისმინა ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოსთან არსებულ ქალთა სექციის წარმომადგენლის ამხ. **ხეჩუბიანის** მოხსენება სექციის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სექცია დაარსდა 7 თვის წინეთ და ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო შესამჩნევად გაეღრმავებინა ქალთა შორის მუშაობა—სხვადასხვა სახის კურსების გახსნით, მშრომელ ქალთა გასამხედროების სპეციალური კურსების მოწყობით, წრეების დაარსებით და სხვ.

ამჟამად სექცია უკვე შეუდგა სამზადისს ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად საჭირო კადრების მომზადებისათვის. უახლოეს ორ თვეში ახალი კადრები გაიგზავნებიან სამუშაოზე.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებები. ილაპარაკეს ინგუშეთის, ჩრდილოეთ-ოსეთის, ყაბარდოს, დაღესტნის, საქართველოს, სამხრეთ-ოსეთის, აზერბეიჯანის, აფხაზეთის და კავკასიაში მოსახლე თითქმის ყველა ეროვნებათა მშრომელი ქალების წარმომადგენლებმა.

მათი სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის ეროვნებათა მშრომელ ქალებს შორის, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება მხოლოდ ეხლა იწყებს მუშაობას. ამ მუშაობას აბრკოლებს ადგილობრივი ენების მცოდნეთა სიმცირე, რისთვისაც ჩრდილოეთ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭომ გახსნა სპეციალური კურსები მუშაკების ადგილობრივათ მომზადებისათვის.

დაღესტნიდან ჩამოსულმა დელეგატმა ქალმა—ამხ. კადილოვამ აღნიშნა, რომ დაღესტანელი მშრომელი ქალი ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული ძველი ადათ-ჩვეულებებისაგან. მათში საზოგადოებრივი მუშაობის დაწყება მეტად შეფერხებულია. მან საჭიროდ აღიარა, რომ კადრების მომზადებისას ეს გარემოება მხედველობაში იქნას მიღებული და მოსამზადებლად გაგზავნილ იქნენ თვით ადგილობრივი მშრომელი ქალების წარმომადგენლები.

საქართველოდან ილაპარაკეს ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს ქალთა სექციიდან—ამხ. კანდელაკმა, სენაკის მაზრის მშრომელ ქალთაგან—ამხ. შენგელიამ და ჭიათურის რაიონის მშრომელ ქალთაგან—ამხ. მელიქაძემ. ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საქართველოშიაც თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ისეთ დაბრკოლებებს არა აქვს ადგილი, როგორც ჩრდილოეთ-კავკასიის ეროვნებებში.

საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება

თათბირის მესამე სხდომაზე გაგრძელდა ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებები. ილაპარაკეს უმთავრესად ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მშრომელი ქალების წარმომადგენლებმა, რომლებმაც საყვედური გამოსთქვეს, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საბჭო ვერ უწევს ადგილებს ცოცხალ ხელმძღვანელობას, გამოკვლევებს ატარებს ზერელედ და ამით ბრკოლდება თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის ფართოდ გაშლა.

ადგილებიდან გამოსული ორატორები შეჩერდნენ აგრეთვე თანხების სიმცირეზე, რაც მუშაობის გაშლის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზია. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწევრო გადასახადების თავთავის დროზე შეკრების საქმეს, მიღებულ იქნეს ზომები საავიაციო ლატარიის ბილეთების მთლიანად გასაღებისათვის და სხვ.

ორატორებმა გამოსთქვეს აზრი თავიანთი მუშაობაში გამოცდილების ურთიერთისათვის გაზიარების მიზნით ხშირად მოხდეს ჩრდილოეთ-კავკასიისა და ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს შორის ამ მუშაობის გამოცდილების გაზიარება. საჭიროთ იქნა აგრეთვე აღიარებული, რომ მუშაობის უფრო გაცხოველების მიზნით ჩრდ.-კავკასიისა და ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს შორის გაიმართოს სოციალისტური შეჯიბრება.

18 ივლისს, შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. რეზოლიუციებში აღნიშნულია ყველა ის დეფექტები, რაც ახასიათებდა თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობას მშრომელ ქალთა შორის.

რეზოლიუციებში ჩამოთვლილია ის პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებასაც ამ თავითვე უნდა შეუდგნენ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები.

მზადება პირველ აგვისტოსათვის

წელს 1-ლ აგვისტოს ანტიიმპერიალისტური დღის ჩატარება უმაღლეს ორგანოების მიერ დავალებული აქვს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას. თანახმად საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს დირექტივებისა, ავიაქიმის რესპუბლიკანურმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა 1-ლი აგვისტო ფართოდ უნდა გამოიყენონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის იდეების პოპულიარიზაციისა და საზოგადოებაში ახალი წევრების მიზიდვისათვის.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი უკვე შეუდგა სამზადისს 1-ლი აგვისტოსათვის. შექმნილია ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან პარტიის, კომკავშირის, პროფორგანიზაციების, რეგიდასის და სხვა საზოგადოებების წარმომადგენელნი.

1-ლ აგვისტოს მოეწყობა ავიაქიმის წევრების და ავიაქიმრაზმების აღლუმი.

კლუბებსა და წარმოება-დაწესებულებებში გაიმართება მიტინგები, თავდაცვის საღამოები, მოეწყობა ავიაციის დღესასწაული და საჰაერო ქიმიური თავდაცვის ინსცენიროვკა, ჩატარებული იქნება შეჯიბრებები სროლაში.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა გუშინ ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუგზავნა დეპეშა და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამზადისს 1-ლ აგვისტოსათვის. ადგილებზე მუშაობის ჩასატარებლად და სახელმძღვანელოდ მივლინებული იქნებიან პასუხისმგებელი ამხანაგები. მოკლე ხანში გამოცემული იქნება სპეციალური ლიტერატურა, პლაკატები და ლოზუნგები.

საგამოკვლევო სამუშაოები ფლორიდინის ბუდობებზე

სოფ. გუმბრში (ქუთაისის მახლობლად), დიდი ხანია შემჩნეული იყო ფლორიდინის (გუმბრინის) თიხის ბუდობები, რასაც ადგილობრივ მახლობელ სოფლებში ხმარობდნენ თავისაბანი მიწისათვის და შალეულობის სარეცხად.

გასულ წლებში პროფ. ალ. თვალჭრელიძის მიერ შემოწმებული იქნა გუმბრში აღმოჩენილი მადანი და დადასტურდა, რომ ფლორიდინის მიწა გაცილებით უფრო კარგი ხარისხისაა, ვიდრე ნავთისა და შალეულობის საწმენდათ ამერიკიდან შემოზიდული ამგვარივე მიწა.

ა.-კ. საგამოკვლევო გეოლოგიურმა სამმართველომ ამ გარემოებას მიაქცია სათანადო ყურადღება და წლისვე გადასდო 45.000 მანეთი გუმბრინის მარაგის გამოკვლევისათვის. დეტალური ძიება სწარმოებს ინჟ. გეოლოგის ნ. ბეჟანიშვილის ხელმძღვანელობით. უკვე გაყვანილია რამდენიმე შაბორილი, საიდანაც ირკვევა, რომ ფლორიდინის სისქე აღწევს 3-4 მეტრს. მუშაობის წარმოებას ნაწილობრივად აფერხებს მუშა-ხელის სიმცირე, მიუხედავათ ამისა, თუ მუშაობა არსებული ტემპით გაგრძელდა, საგამოკვლევო ძიება დასრულდება მიმდინარე წლის შემოდგომამდე.

ა.-კ. კავშირგაბმულობის აპარატის წმენდაზე

აზნაურთა ბუდე

ა.-კ. კავშირგაბმულობის სამმართველოს აპარატიდან წმენდაში უკვე გატარდა შვიდი კაცი.

აპარატის გამწმენდ კომისიის სხდომებიდან და მუშათა ბრიგადების მიერ შეკრებილ მასალებიდან ირკვევა, რომ აპარატში ყოველივე რიგზე ვერ არის. იქ ბლომად მოუყრია თავი ყოფილ ხალხს, რომლებიც დღეს იქ თბილ ადგილებზე მოკალათებულნი, არხეინად გრძნობენ თავს და საქმეს კი არ არგიან. ყოფილთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ ყოფ. თავად-აზნაურები და მეფის ოფიცრობა. მეფის ერთგულ მსახურთ თავისი ძირითადი პროფესია-სამხედრო სამსახური და ბრწყინვალე მუნდირ-ეპოლეტები გაუცვლიათ კანცელარიულ კალამზე. ისინი თუმც ამ მათთვის უცხო ხელობას ვერ ეგუებიან, მაგრამ აპარატში მაინც სხედან. სხედან „საქმიანი ხალხის" გამომეტყველებით და მათ ვერავინ სძრავს ადგილიდან, თუმც იყო ცდა ზოგიერთი ორგანიზაციების მხრივ, რომ ამ ხალხისაგან გაეთავისუფლებიათ აპარატი, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. იყო ცდა მუშათა დაწინაურებისა აპარატში, მაგრამ ამ ცდამაც შედეგს ვერ მიაღწია.

ზის ყოფილი ხალხი კავშირგაბმულობის აპარატში არხეინად და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. „ყოვლის შემძლე" პროტექციის ხელი ამ აპარატში ბატონობს მტკიცედ და მას ვერვინ უდგება წინ. ამას მოწმობენ ფაქტები.

მაშ რით აიხსნება, თუ არა პროტექციით ისეთი „მუშაკის ყოფნა" კავშირგაბმულობის აპარატში, როგორიცაა ვლადიმერ იანოვიჩი. ეს კაცი განაგებს საფინანსო ნაწილს, თუმცა თვითონაც არ უარჰყოფს, რომ წარმოდგენა არ აქვს საბუღალტერო ტეხნიკაზე, იგი აზნაურთაგან წარმოსდგება. მეფის არმიის ყოფილი ოფიცრის და ყოფილი სენატორია. კერენსკის მთავრობის დროსაც ნდობით სარგებლობდა იანოვიჩი, იგი მაშინ მსახურობდა სამხედრო სამინისტროს პოლიტგანყოფილებაში.

ოქტომბრის გადატრიალება რუსეთში იანოვიჩს „არ მოეწონა". გამოექცა საბჭოთა ხელისუფლებას და თავი შეაფარა „დემოკრატიულ" საქართველოს.

საბჭოთა აპარატში იანოვიჩი იმ კატეგორიის ადმინისტრატორებს ეკუთვნის, რომელნიც უფროსებს ფეხქვეშ ეგებიან, ხოლო ხელქვეითების მიმართ უაზრო სისასტიკესა და ყოყოჩობას იჩენენ.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ერთხელ კიდეც მოითხოვა იანოვიჩის, როგორიც უცხო ელემენტის მოხსნა სამსახურიდან, მაგრამ ამაოდ. იანოვიჩი დარჩა თავის ადგილზე. პროფორგანიზაცია უძლური აღმოჩნდა მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იანოვიჩს უყვარს თავის გარშემო ერთგული ხალხის შემოკრება. ყველა იმათ, რომლებიც გაბედავენ მის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას ან რომლებიც მას ჭკუაში არ დაუჯდება, იანოვიჩი თავიდან იცილებს.

ცხადია იანოვიჩი და მისი მსგავსი ხალხი საბჭოთა აპარატს სარგებლობას ვერ მოუტანს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ფინანსიური ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობს ისეთი კაცი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს საბუღალტერო ტეხნიკაზე, ვერ იქნება თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

აქედან ლოღიკური დასკვნა—ასეთი ხელმძღვანელებისაგან აპარატი განთავისუფლებული უნდა იქნეს. ასეთია მუშათა ბრიგადის აზრიც.

ა—ნი.

რა ხდება ადგილებზე

ქუთაისის აბრეშუმის ძაფსალეჩი ფაბრიკამ კვლავ ვერ შეასრულა გეგმა

ქუთაისი, 18 ივლისი. ქუთაისის აბრეშუმის ძაფსალეჩმა ფაბრიკამ, რომელიც შეტანილია შავ დაფაზე წლის პირველ ნახევარში სამრეწველო-საფინანსო გეგმა 4 პროცენტით შეუსრულებლობისათვის, ივლისის პირველ 10 დღეს (ორი თვის შეჩერების შემდეგ) კვლავ ვერ შეასრულა სამრეწველო-საფინანსო გეგმა. ფაბრიკამ დაამზადა 1716 კილოგრამი გრეჟა 1.777-ის ნაცვლად. 10 დღის განმავლობაში აღრიცხულია 41 კაც-დღე სამუშაოს გაცდენა არასაპატიო მიზეზებით. ფაბრიკაში მუშაობს 1000 კაცი, აქედან ახლად მიღებულია 200 კაცი. ფაბრიკის მუშაობის შეწყვეტამდე შემდგარი მუშათა ბრიგადები უკვე დაიშალა, ხოლო ახალი ბრიგადები ჯერ არ მოწყობილა. (ადს).

ფაბქარხადგილკომების გადარჩევა

ქუთაისი, 17 ივლისი. დამთავრდა წვრილი საწარმოების 77 ფაბქარხადგილკომის გადარჩევა. ეს ფაბქარხადგილკომები 7.403 კაცს აერთიანებენ. კამპანიის დროს პირველ კრებებს ესწრებოდა მუშების საერთო რიცხვის 79 პროცენტი, საანგარიშო კრებებს ესწრებოდა 83,5 პროცენტი, კამათში მონაწილეობა მიიღო 906 კაცმა, გასული წლის 418-ის ნაცვლად; გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო მუშების 86 პროცენტმა, შარშანდელი 78 პროცენტის ნაცვლად. შემმოწმებელ ბრიგადებში მონაწილეობა მიიღო 2.280 კაცმა. ფაბქარხადგილკომების შემადგენლობა გადიდდა და 60 პროცენტით განახლდა, არჩეულთა 40 პროცენტი საუკეთესო დამკვრელებისაგან შესდგება. (ადს).

ტყაჩის თვითღირებულების შემცირება

ბორჯომი, 17 ივლისი. ბორჯომის სატყაჩე ქარხანამ შესძლო ტყაჩის თვითღირებულების შემცირება 15 კაპიკით. წლის განმავლობაში ეს ქარხანას 150.000 მანეთის ეკონომიას მისცემს. ქარხანა დღემდე ზარალს იძლეოდა, ეხლა კი ხარჯებს დაჰფარავს (ადს).

მოსავლის პირი

ბორჯომი, 17 ივლისი. რაიონული ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების ცნობებით, მოსავალს ბორჯომის რაიონში კარგი პირი უჩანს. სიმინდის და პურის მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია. ბალახი მაღალია. იონჯა საუცხოო მდგომარეობაშია. მაღალ მთაგორიან ადგილებში მოსავლის აკრეფა 2 კვირის შემდეგ დაიწყება, ბარში კი—ამ დღეებში. კარგი პირი უჩანს შემოდგომის ნათესსაც.

ხდება ანეულის მომზადება შემოდგომის ნათესისათვის. (ადს).

ყველის ახალი ქარხანა

ცხინვალი, 17 ივლისი. კუდაროს სოფლის საბჭოს რაიონში, რომელიც 400 მეურნეობას აერთიანებს, დამთავრდა ოთხი დიდი ყველის ქარხნის აგება და მოწყობა. თითო ქარხანა საშუალოდ დაჯდა 2.000 მანეთად. თვითეულ ქარხანაში ამჟამად ხდება 300 ძროხის პროდუქციის გადამუშავება. ქარხნების საერთო დღიური გამომუშავება უდრის 320 კილოგრამ ყველს და 32 კილოგრამ ერბოს. ეს დატვირთვა შეადგენს ქარხნების საწარმოო ტეხნიკური შესაძლებლობის მხოლოდ ერთ მეათედს. ქარხნების აგება შედეგად მოჰყვა გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიას. აიგო ქარხნები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით და სახსრებით. ამ ქარხნებით სოფლის საბჭოს რაიონის მთელი მოსახლეობა გაერთიანებულია მეცხოველეობის ამხანაგობებში.

ამ რაიონში დიდი პერსპექტივები აქვს მეძროხეობას და ერბო-ყველის წარმოებას. საძოვრებისა და საქონლის საკვების სიუხვე შესაძლებელს ხდის ძროხების რიცხვის 10.000 სულამდე აყვანას. თუ ძროხის ჯიში გაუმჯობესებული იქნება, ეს ნიშნავს მთელი რაიონის უდიდეს სამეურნეო ცვლილებას. ქარხნები აგებულია სწორედ ამ პერსპექტივის გათვალისწინებით. გლეხობა დიდის ინტერესით ეკიდება მერძეობის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს და ხალისით შედის ქვედა საფეხურის კოლმეურნეობებში (ადს).

შემთხვევები

დაჭრა

მაუდის ქარხნის მახლობლად ვასილ ნიკოშინმა, ქეიფის დროს დანით მძიმედ დასჭრა ანასტასია პარფიონოვა.

თავის მოწამვლა

იოდის ხსნარით თავი მოიწამლა ტატიანა კაზაროვამ (არსენალის ქ. № 27).

მე-3 სართულიდან გადმოვარდნა

კომუნალურ ქუჩაზე № 22 მესამე სართულიდან გადმოვარდა 6 წლის ბავშვი ირაკლი თოთლაძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

აფერისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტები მოსე გურიელი, მიხეილ გოკიელოვი და სამსონ ფალავაშვილი. 17 ივლისს ეს ჯგუფი შეხვდა ლენინაკანიდან ჩამოსულ გლეხს აშოტ კაიგაზოვს, რომელიც თათრის მოედანზე იძენდა ოჯახისათვის საჭირო ნივთებს. ერთი აფერისტთაგანი გამოელაპარაკა კაიგაზოვს და ვითომდა საქონლის შეძენის მიზნით გამოსტყუა მას 208 მანეთი და მიიმალა.

სისხლის სამართლის მილიციამ პირველად შეიპყრო გოკიელოვი და გურიელი. ფალავაშვილმა დროებით ნაცნობს შეაფარა თავი, საიდაც დააპატიმრეს.

ხანძარი ფოთში

13 ივლისს, ღამის 2 საათზე ცეცხლი გაუჩნდა პარკის უბანში თივის ზვინს. თივის რაოდენობა აღწევდა 1.000 ფუთამდე. ხანძარი ემუქრებოდა რამოდენიმე შენობას და სამეურნეო ნაგებობებს, რომელიც შემჩნეულ იქნა ქალაქის სახანძრო რაზმის მიერ. ხანძარი ჩაქრობილ იქნა 1 საათსა და 40 წუთის მუშაობით. ზარალს, გარდა თივის განადგურებისა, ადგილი არ ჰქონია. როგორც ირკვევა, ხანძარი განზრახ არის გაჩენილი.

რკინისგზაზე

ბორჯომის ხაზი გაწმენდილია

ამ ორი-სამი დღის წინად ბორჯომის რაიონში მოვიდა ძლიერი, კოკისპირული წვიმა. წვიმამ ახალდ.-ბორჯომს შუა გამოიწვია ზვავის ჩამოწოლა რკინის გზის ხაზზე, ჩამოინგრა ხაზის სამხრეთით მდებარე მთა. ლიანდაგზე ჩამოცარდა ათასი კუბიკური მეტრის მოცულობის ქვა. მას თან მოჰყვა წყალში არეული მიწისა და ქვიშის დიდი მასა, რომელმაც დაფარა ხაზი ასი მეტრის მანძილზე. ატალახებული მიწის მასის სიმაღლე აღწევდა ერთ მეტრს.

ზვავის ჩამოწოლისას ბორჯომისაკენ მიდიოდა სახალხო მატარებელი, მაგრამ მას ხიფათი არ შეხვედრია, რადგან რამოდენიმე წუთით გაასწრო ზვავის ჩამოწოლას.

მატარებლების მოძრაობა შესწყდა. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაიწვიეს გზის შემკეთებელი მუშები, რომლებიც 17 ივლისამდე აწარმოებდნენ განუწყვეტელ მუშაობას დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ შედეგს ვერ აღწევდნენ იმდენად დიდი მოცულობის იყო ხაზზე დაწოლილი ზვავი. 17 ივლისს მუშების დასახმარებლად სტალინისიდან გაიწვიეს რკინისგზელთა ლეგიონის წითელარმიელები. მხოლოდ წითელარმიელების მისვლის შემდეგ გაიშალა მუშაობა ჩქარის ტემპით და ხაზი გაიწმინდა საღამოს ექვს საათზე.

ამ დრომდე მგზავრების მოძრაობა სწარმოებდა ერთი მატარებლიდან—მეორეში გადასმით.

ამჟამად პირდაპირი მოძრაობა აღდგენილია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 19 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ვლადიმერ პარტუგიმოვი, ანდრონიკ კარაპეტიანი, არამ მინასბეკოვი, პავლე ქორქაშვილი, არტემ ნურალოვი, ნატალია გურჯიაშვილი, ნადეჟდა ლეჟავა, ვარსიკ ეგიაზარიანცი, აიკანუშ მანუკიანი, ალექსანდრე პატალეევი, ატომ ზახარიანი, შალვა შარმიაშვილი, ევგენი გოგიჩაშვილი, რომან ცუცქირიძე, პარმენ ჭუმბურიძე, ვარლამ ტაბიძე, დავით ბალიაური, მატრონა ბოგდანოვა, ხარლამპი გუნია, ზაქარია ჩხუბიაშვილი, ბაბო სახოკია, მარიამ ამაჩხანიანი, პარმენ მხეიძე, ანდრო კვირია, ლევან ახალშენიშვილი, აგასი აკოპიანი, გარეგინ ოგანესოვი, ალექსანდრე წერეთელი, ფრიდრიხ რეკი, ნიკოლოზ გვინჩიძე, ივანე ბახტაძე, ბრილ ცაბაძე, გიორგი ხაბიდაშვილი, სადიკ ისა-ოღლი მუსაევი, ილია გარემაშვილი, სერგო არუთინოვი, სოფიო ძამოევა, ლაზარე აბაევი, იოსებ ბაქაძე, მარიამ დარსაველიძე, მკრტიჩ ზაზიანი, არკადი ბიკანიანი, გრიგოლ კერესელიძე.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. დუდუჩავას (ცეკავშირი), კვინიკაძეს (საქ. ღვინო), ა. ბუჯიაშვილი (საქ. რძე), გურიელს (საქ. ღვინო), კვირკველიას (მესაქონლეობის კავშირი), შომახიას („ზაკუტილი"), ჯაფარიძეს (ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული), მელიმონაძეს (სოფლის კავშირი), ბესელიას („ზაკმიასოპრომ") და ნაჭყებიას (საქ. შინამრეწველთა კავშირი) შემოიარონ ც. კ-ის განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 22) ამხ. ჩარკვიანთან.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. იპოლიტე თოფურიას, ამხ. სტიტ პავლეს ძე სიმხოვიჩს, რომანოზ გოგიშვილს და ვიქტორ ლუკას ძე კვირკველიას 20 ივლისს გამოცხადდნენ ცენტ. საკ. კომისიაში (ოთახი № 20) ამხ. ლომიძესთან.

დღეს, 19 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: პოპოვი (ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველო), ზაქრაძე (ლენრაიკომი), გრიგორიანი (26 კომ. სახ. რაიკომი), კირვალიძე (მუშგლეხინი), ბაბუციძე (დეპო), ბაღდასაროვი (არსენალი), ბანერაშვილი („ზაკავტოპრომტორგი"), მისკინი, ვაშაძე (მკერავი № 2), აზაროვი (26-ის სახ. ქარხანა), ბარათაშვილი (ავეჯეულობის ფაბრიკა), გარსევანოვი, ამირხანოვი (საფეიქრო ფაბრიკა), ერემინი (თელასი), ნასყიდაშვილი (დეპო), იაგნეტინსკი (არმია), მეშველიანი (მაუდის ფაბრიკა), მირზახანოვი (ტყავის ქარხანა № 1), ნაზარეტიანი (სტამბის გამგე), რონზანი (ლითონტრესტი), მღებრიშვილი, სამოილოვი (პოლიგრაფსკოლა), პეტროზოვი (ფეხსაცმელების ფაბრიკა).

—:—

დღეს, 19 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის შენობაში (რუსთაველის პრ. № 20) ამხ. ბერბერაშვილთან მოწვეულია დამსილოსხებელი შტაბის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ქვემოდჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ლაბარტყავა და მელქაძე (საქ. ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი), მეხნიაშვილი (ქალაქის გარერაიონი), ლოლობერიძე და შუვალოვი (მიწსახკომი), პროფ. ჯანდიერი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ბაქრაძე და ცომაკურიძე საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), მშვენიერაძე. დოლონაძე და მესხი (კოლმეურნეობათა ცენტრი), თოფჩიშვილი, სოლაშკო, ბენიაშვილი და სერებრიაკოვი (მემინდვრეობის კავშირი), ხუციშვილი და დედაბრიშვილი (ბაღ-ბოსტანკავშირი), სანაკოევი და ავაქოვი სას.-სამ. მუშების კავშირი).

აღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ სილოსის კამპანიაში მათი მონაწილეობის მისაღებად.

[illegible]

საზაფხ. ე ი ე რ ი
(სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
განსაკუთრ. გმ რული ეპოპეია
მეზღვართა შეთქმულება
პროგრამის გარეშე გიგანტების პატაკი. ესტრადაზე—იონოვას და მანევიჩის გასტროლები.

საზაფხ. ა პ ო ლ ო
(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს 15 წ.
ყვირილი ღამეში
პროგრამის გარეშე თურქესტან-ციმბირ. რკ. გზა. ესტრადაზე—იონოვას და მანევიჩის გასტრ.-ბი.

სპარტაკი (ყოფ. არფასტო)
I სეანსის დასაწყ. 7 ს.
ახალი მხატვრული ფილმი
ხიდი ვიაზე
პროგრამის გარეშე
მ უ ნ ჯ ი მ ო წ მ ე ნ ი. 0—16

საზაფხულო
პ ა ლ ა ს ი
1-ლი სეანსის დასაწ. 7 საათ.
უცხოეთის კომედია
ნამდვილი ჯენტლმენი
მალე „სამი ჯიმი" 0-16

მუშკოოპის ყველა მეპაიეთ, კოოპაქტივს და მუშაკებს.
გრძელდება მუშკოოპის
„26" კომუნარის რაიონის სავაჭრო პუნქტების თანამშრომელთა წმენდა
სახალხო კავების კლუბში (კარლ მარქსის მოედანი)
18, 19 და 21 ივლისს, საღამოს 7 საათიდან.
ვთხოვთ ყველას, ვისაც აქვს განცხადებები თანამშრომელთა შესახებ, დაესწროს წმენდას.
ვინაიდან შემმოწმებელი კომისია მუშაობას ამთავრებს, იმ ფარდულების თანამშრომელნი, რომელთაც წმენდა არ გაუვლიათ, წმენდას გაივლიან ამავე დღეებში.
ნ. 1071
შემმოწმებელი კომისია.

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ 20 და 21 ივლისს, დილის 11 საათიდან დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
საჯარო ვაჭრობა
ოლქფინგანისადმი დავალიანებების ასანაზღაურებლად, ხაზინის ქ. № 3-ში (ყოფ. ხაზინის შენობაში). გაიყიდება შიფონერკები, ბუფეტ. შკაფები, მაგიდები და სხვა საოჯახო ნივთები.
ნ. 1069

ბალანსი
ტყვიავის მ/კოოპერატივისა 1928/30 წლისა

დასახელება მუხლებისა	აქტივი		პასივი	
	მანეთი	კაპ.	მანეთი	კაპ.
ს ა ლ ა რ ო	1116	71	—	—
მიმდ. ანგ-ბი ბანკებში და ცეკაში	4375	47	—	—
საქონელი გას. ღირებ. საწყ. და განყ.	26469	78	—	—
დანარიცხი საქონელზე	—	—	3650	—
სხვა და სხვა პირნი და დაწესებ.	10549	53	13566	66
გაცემული თამასუქები	—	—	4217	47
ანგარიშ. ვალდებულნი პირნი	931	81	—	—
ნასესხი და ანაბარი	—	—	1178	19
საპაიო თანხა	—	—	20995	41
შენობები და ინვენტარი	6463	01	—	—
ადგილ. ნაწარმ. მასალა და ნედლ.	2684	81	—	—
თანხები და ფონდები	—	—	12675	62
ფასიანი ქაღალდები და აქც. და პაები	7107	31	—	—
წარმოება და გადამუშავება	477	—	—	—
საქონელი დანხმ. სავაჭრო წამოწყ.	2763	84	—	—
მიღებული თამასუქები	289	66	—	—
წინასწარ გაწეული ხარჯები	60	—	—	—
მოგება 1928/29 წ.	—	—	7605	58
	63288	93	63288	93

გამგეობის თავმჯდომარე ნიკო. პავლიაშვილი.
წევრი ვახო სამადაშვილი.
ბუღალტერი ს. ჰადური.

მასწავლებლები
უმაღლესი სოფლით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პიროგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25—22

საქართველოს ჯანსახკომისარიატი
აცხადებს, რომ 23 ივლისს 12 საათზე შ ე ს დ გ ე ბ ა
დახურული საჯარო ვაჭრობა
ქალ. ჭიათურაში 3 სართულიანი ქირურგიული კორპუსის ასაგებად (10.350).
პირობების გაგება შეიძლება ჯანსახკომის კანცელარიაში (ძნელაძის ქუჩა № 3C) ყოველ დღე 12 საათიდან. ნ. 1070

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ. № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენოთერაპია, რადიუმ-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბაშიძე—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი კიკნაძე—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. ბონდილევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-მდე. საათამდე, კვირას გარდა.
ნერვი პატალოგ: პროფ. ყიფშიძე მიიღებს შემდეგ დღეებში: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 7—8 საათ. ნერვიული ფსიქოთერაპია—ექ. გოცირიძე მიიღებს შემდეგ დღეებში: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 7—8 საათ.
შინაგან სნეულ.—5—6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. ტ სამვანო—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე. ყური, ყელი, ცხვირი—7—8 საათ. პროფ. ნ. ახპიხოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე—ორშ., ოთხშ. და პარასკ. უროლოგია ტ ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე. ბავშვთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.
მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87..819
ნ. 25—19

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— მუშკოოპის წიგნაკი № 53912—მიხეილ ყარამანის ძე ლომიძის სახ. 3854
— პურის წიგნაკი 2 სულის ბავშვის ლ. „გ"—ზურაბ და ვახტანგ მანჯავიძეების სახ. 3855
— რკ. გზის საგზაო ბილეთი № 118—მამანტი თეოფანეს ძე კაჭარავას სახელზე. 3849
— საპენსიო წიგნაკი—მარიამ ჩადუნელის სახ. 3842
— პურის წიგნაკი—პავლე ვერულავას სახ. 3837
— პურის წიგნაკები—დავით ანტონის ძე იორდანიშვილის სახ. 3850
— პირადობის და სიღარიბის მოწმობები—ალე ქოთხოევის სახ. 3848

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ა ხ ა ლ ბ ი ნ ა ზ ე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეთი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11, მიღება სად. 7—8 ს. ტელეფ. 21—45

ე ქ ი მ ი
ი. მჭედლიშვილი
წ ა ს უ ლ ი ა
ავადმყოფების მიღებას განაახლებს სექტემბრის პირველ რიცხვებში.
25—1

დაიკარგა
თეთრი პატარა ძაღლი
„ბალონკა"
მნახველს ვთხოვ მოიყვანოს კალინინის ქ. № 76.
მიიღებს გასამჯელოს.
3840

საჭირო განმარტება
ბორჯომის წყლების
ქარხნების სამმართველოსაგან
ამ ბოლო ხანებში, თბილისის მომხმარებლებში უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ კოოპერატიულ და სხვა სავაჭრო წერტებში, საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ბორჯომის წყალი, რის გამო ბორჯომიწყლების სამმართველოს აძლევენ შენიშვნებს პრესის საშუალებით, წერილობით და სიტყვიერადაც; იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ბორჯომის წყალი ნაკლების რაოდენობის მზადდება და სხვა...
ყოველივე ეჭვების გასაფანტავათ ბორჯომიწყლების სამმართველო ამით აცხადებს, რომ წყლის დამზადება და განსაკუთრებით, თბილისისთვის მოწოდება ხდება გეგმაზე გადაჭარბებით, მაგრამ სიძნელეები ქმნის წყლების დარიგება კლიენტების წერტებზე, რაც გამოწვეულია ტრანსპორტის უქონლობით თბილისის ბაზარზე.
ზემოაღნიშნული გარემოების გამო სამმართველო სთხოვს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რათა მათთვის საჭირო ბორჯომის წყლის რაოდენობა გადაზიდონ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით იმ ანგარიშით, რომ სავადასხადო ხარჯები განაღდებული იქნება ჩვენს მიერ სათანადო ტარიფიკაციის მიხედვით.
ნ. 1072
ბორჯომის წყლების ქარხნების სამმართველო.

დღეს, 19 ივლისს, სად. 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია საქართველოს პროფსაბჭოს აქტივის კრება საშუდ. საზოგადოების ქალაქის აქტივთან ერთად.
დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:
მუშების მონაწილეობა პურის დამზადების კამპანიაში—მომხსენებელი ამხ. იმედაძე.
პროფაქტივის და შეფაქტივის დასწრება სავალდებულოა.
საქ. პროფსაბჭ. საორგანიზაც.-საინსტრუქტ. სექტორი.
1. 1073
საშუდ საზოგადოების თბ. საბჭოს სამდივნო.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ვ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე ქ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 3—1

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვ. მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და სად. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—[illegible]

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სახლუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩილდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიქინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა იღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. სად. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—63. 25—2

განუზომელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე მატრონე, შვილები: მარუსია, ვიქტორ, გავრუშა, ვალია, პლატონ, რძალი ქეთო, სიძე შურა გეგენავა, შვილის შვილი გურამი და სიდედრი ელენე დარჩია იუწყებიან, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
დიმიტრი ასალოს ძე კუპრაძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 3838

დამწუხრებული მშობლები ილია და ნინო, და თინა, ძმა კაკო, ბაბუა ივანე, ბებია ნატალია, ბიძები: ენუქი და კალისტრატე; მამიდა ლიუბა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტი
მიხეილ (მიშა) ილიას-ძე
ხ ე ტ ე რ ე ლ ი
დაკრძალვა 20 ივლისს, 6 საათ., გამოსვ. ფეიქართა ქ. № 2. ნ. 1074

დამწუხრებულნი ბებია თებრონე, ბიძები: ისიდორე, ნიკოლოზ და ანდრია მეგრელიშვილები და დეიდა ოლია ჭუმბურიძისა აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტის
მიხეილ (მიშა) ილიას-ძე
ხ ე ტ ე რ ე ლ ი ს
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, კვირას 20 ივლისს, გამოსვენება 6 საათზე ფეიქართა ქ. № 2. ნ. 1074

ღრმეს მწუხარებაში მყოფი მეგობრები: ერისტი და გიორგი კვანტალიანები, კოწია ჟორჟოლიანი, საშა აბრამიძე, ბენია ბეროძე, ვასიკო არველაძე, ჟორჟიკა ხახალეიშვილი, ჟორა გეგუჩაძე, სერგო ბიბიჩაძე, დავით ტორაძე იუწყებიან მათი საყვარელი მეგობრის
ამხ. მიშა (მიხეილი) ილიას ძე
ხ ე თ ე რ ე ლ ი ს
დაკრძალვა მოხდება 20 ივლისს, ქ. ქუთაისში. 3839

გაუბედურებული მეუღლე თამარი ქალით ლეილათი, მშობლები: თებრონე და გრიგოლ ხუნდაძეები, კასიანე და რისიმე გოგიჩაიშვილები შვილებით, დები: ცაცუნია, ნინა, ნადია, მარუსია და ტატიანა; ძმები: ვანო, გრიშა და ჟორჟიკა, სიძეები: ვლადიმერ წულაძე და შალვა კალანდაძე; დის შვილები: დიანა და გურამი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი
კლიმენტი გრიგოლის ძე ხუნდაძე
გამოსვენება წით. ჯვრის საავადმყოფოს პროზექტურიდან სადგურში დღეს, 4 საათზე, დასაფლავება ლანჩხუთში, 22 ივლისს. 3845

ღრმად დამწუხრებულნი: ილარიონ, სონა, თამარი, გიორგი, ტარასი, გრიშა, რძალი თამარი, შვილის შვილებით არჩილი და ირაკლი მახარაძეები, სიძე ვალიკო მინდელი პატარა გვიდით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი
კლიმენტი გრიგოლის ძე ხუნდაძე
გამოსვენება წით. ჯვრის საავადმყოფოდან 19 ივლისს, 4 საათზე, დაკრძალვა ლანჩხუთში (გურია), 22 ივლისს. 3844

დამწუხრებულნი: შვილი გრიშა, თამარა, შვილიშვილები ეთერი, გვნია, რძლები: ოლია, დარიკო, ძმა პარმენ ნიჟარაძე და სოფოს გაბელიასი იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი
ოლღა (ოლია) არჩილის ასული
ბარძიმიშვილი-ნიჟარაძესი
გამოსვენება წითელი ჯვრის საავადმყოფოდან დღეს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3853

სამუდამოთ გულდაკლული ცოლი ნასტა ლორთქიფანიძისა, ქვისლები: დიმიტრი ცოლით ესიტაშვილი, პეტრე ცოლით ბალარჯიშვილი, სიმამრი ცოლით და ცოლის ძმა ცოლით ორჯოდაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 3 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი
შ ა ლ ი კ ო და ვ ა ს ი კ ო
ლორთქიფანიძეების
ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე. 3843

დამწუხრებული მშობლები: ნოე და ვალენტინა, ბიძები: არკადი, ევგენი, ანატოლი, იურა, დათიკო, მამიდები: ევგენია და მარგალიტა, ბაბუა [illegible] აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ უდროვოთ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ხუტუ (ვახტანგი) ნოეს ძე კვერნაძე
გამოსვენება დღეს, ლენინის ქუჩა, № 60, 5 საათზე—ვერის ახალ სასაფლაოზე. 3891

ბიძა დავით ყაფლანის-ძე ასათიანი, მამიდა ევგენია ასათიანი, მამიდაშვილები: ნუნუ და ელისო ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობმეგობრებს უსაყვარლესი
ხუტუ (ვახტანგ) ნოეს-ძე კვერნაძის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ლენინის ქ. № 60 ვერის ახალ სასაფლაოზე. 3857

ნათლიები გალაქტიონი ვასილის-ძე და ალექსანდრა გიორგის ასული ბაბუნაშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, მათთვის დაუვიწყარ
ხუტუ (ვახტანგი) ნოეს-ძე კვერნაძის
გარდაცვალებას. 3891

მუშკოოპის სამნეო განყოფილების სარემონტო და საალმშენებლო სექციის მოსამსახურენი მწუხარებას გამოთქვამს ამავე განყოფილების თანამშრომლის ნოე კვერნაძის ვაჟი-შვილის
ვახტანგი (ხუტუ) ნოეს-ძე კვერნაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 3817

მუშკოოპის სამნეო განყოფილების სარემონტო სექციის მუშები მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სექციის თანამშრომლის ვაჟი შვილის
ვახტანგი (ხუტუ) კვერნაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 3847

გულმოკლულნი: მეუღლე კარლო კაციას-ძე, დედამთილი მინა, მულები: ვერა, გოგოლა, ტაგულა, ალექსანდრა, ქეთო, შუშანა და მაზლი ვანო კალანდაძეები დავსტირით საყვარელ
ვერიკო (დიდებულიძე) კალანდაძისა
გარდაცვალებას. გამოსვ. დღეს სრულ 6 ს., კამოს ქ. № 67. 3856

თბ. ალმასკომის კომუნალურ მეურნეობის თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე განყოფილების ტეხნიკოს ლეონიდე კალანდაძის მეუღლე.
ვერა დიდებულიძე-კალანდაძისა
გამოსვენება ბინიდან, კამოს ქ. № 67 19 ივლისს, 6 საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე. 3851

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი დედა ანნა, დები: ჟენია და ნადია; ძმები: დიომიდე, გრიგოლ და ალიოშა, რძლები: კატო და სარა ცინცაძეები, სიძე პლატონ ფირცხალაიშვილი, ბებია ფოტინე ჩაგანავა, დეიდები: მარია, ელპიტი და სონია იუწყებიან მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ტრაღიკულად დაკარგული
ვალიკო ივანეს-ძე ცინცაძის
ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 22 ივლისს, 1-ელ საათზე ქ. ლანჩხუთის სასაფლაოზე. ნ. 1076

მამა ილია ფოფხაძე, ქმარი ანდრო კოსტავა, და ძმები დავით და გიორგი ფოფხაძეები უსაზღვრო მადლობას უძღვნიან ტყიბულის საავადმყოფოს პერსონალს იმ გულწრფელ დახმარებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენი დაუვიწყარ
მ ა შ ო ს
ავადმყოფობაზე. ნ. 1075

გულდათუთქულნი: დედა ციციკო, ძმები: გიორგი და არტემი, რძლები იდუთი და პეპელა სიხარულიძე, შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 17 ივლისს, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი
ივანე ანტონის-ძე სიხარულიძე
დასაფლავება ბაღდადში. ნ. 1068

ტირაჟი—57.199

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.